# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 5 ივნისი 2001 №102 (1375) | ფასი 50 თეთრი


# არწაგმება წაგმებაა

## 1:2 მოსალოდნელი მარცხი მოულოდნელი სცენარით



ნუკრი მარჯანიშვილის ფოტო

საქართველო — იტალია. პირველი ქართული გოლი იტალიელთა კარში გოგა გახოკიძემ (№17) მიითვალა



კახა კალაძე: ცრემლი და ფეხბურთი

# გამოღვიძება

## ოთხი წლისა და ოთხი თვის შემდეგ საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებმა თბილისში მოიგო

ოთხი წელიწადი და ოთხი თვე იყო გასული საქართველოს საკალათბურთო ნაკრების ბოლო საშინაო, თბილისური გამარჯვებიდან: 1997 წლის 29 იანვარს ქართველებმა 80:78 დაამარცხეს ბელარუსები.

კვირას თბილისის სპორტის სასახლე მივიწყებული გამარჯვების მოწმე შეიქნა: ჩვენმა ეროვნულმა გუნდმა 91:75 დაამარცხა ბულგარეთი და ევროპის 2003 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირი მოგებით დაიწყო.

მთავარი კი ის გახლავთ, რომ ამ გამარჯვებას საფუძველი ჩაუყარეს, როგორც საქართველოს ნაკრების ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მაგრამ უკვე გამოცდილმა წევრებმა, ისე ახალთაობის კალათბურთელებმა, 17-18 წლის ყმაწვილკაცებმა, რომლებმაც პირველად ითამაშეს სპორტის სასახლეში.

იხილეთ მეათე-მეთერთმეტე გვერდები





საქართველო — ბულგარეთი 91:75. ნიკა ცქიტიშვილმა ბულგარელებს ეფექტურად ჩაუტენა

2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. VIII ჯგუფი. 2 ივნისი

# საქართველო 1:2 იტალია

თბილისი. „ეროვნული". 21.00. 30 000 მაყურებელი

0:1 დელვეკიო (45), 0:2 ტოტი (67), 1:2 გახოკიძე (80)



ბურთი ცალკე, დამიანო ტომაზი (მარცხნივ) და არჩილ არველაძე ცალკე

1. ზოიძე
2. სილაგაძე
5. ხიზანიშვილი 3. აბრამიძე 6. კალაძე 10. კობიაშვილი
4. რეხვიაშვილი
7. ნემსაძე 11. მენთეშაშვილი
9. ქეცბაია
8. ყაველაშვილი

11. დელ პიერო 9. დელვეკიო
10. ტოტი
2. პანკარო 7. ძამბროტა
8. ტომაზი
4. ტაკინარდი
3. მალდინი 6. ნესტა 5. კანავარო
1. ბუფონი

იტალია

შეცვლა: ნემსაძე — 14. შ. არველაძე (35), დელ პიერო — 15. დი ლივიო (58), მენთეშაშვილი — 13. ა. არველაძე (61), ნესტა — 14. მატერაცი (74), ხიზანიშვილი — 17. გახოკიძე (79), დელვეკიო — 17. მონტელა (79)

გაფრთხილება: ტაკინარდი (51), გახოკიძე (81)

მსაჯები: ე. იტურალდე გონსალესი; ა. გერერო, ჩ. რივერა; ს. როდრიგესი (ყველა ესპანეთი)

ფიფას კომისარი: კენეტ რიდენი (ინგლისი)
ფიფას ინსპექტორი: საბრი ჯელიკი (თურქეთი)

ჯარიმა: 22:19; კუთხური: 6:3; კარისკენ დარტყმა: 11:5; კარში დარტყმა: 3:3; თამაშგარე: 2:6

# მეოთხედაც სამართალი არწაგებით წააგეს

**იმისთვის**, რომ საკუთარი თავის წინაშე მართლები ვიყოთ, საჭიროა ვაღიაროთ: საქართველოს ნაკრებმა წააგო! ამის მერე, ვისაც როგორ უნდა: ზოგს შეუძლია ღირსეული დამარცხებით იამაყოს, ზოგს კი მაინც დაწყდეს გული, იმიტომ, რომ წაგება არ უყვარს. თუნდაც ღირსეული.

ისე კი ფაქტია, შაბათს ჩვენი ნაკრებისა არ შეგვრცხვა! მაგრამ, მეტი არაფერი. სამი ქულა იტალიას, საქართველოს — ნული!

რაც შეეხება არგუმენტს, თითქოს იტალიასთან აუცილებლად უნდა წაგვეგო, ფრიად საეჭვოდ გვეჩვენება. დამოკიდებულების საქმეა და არა ბურთის გორების. დღეს იმავ იტალიამ მავანის ჰიპნოზური გავლენით, რომ იფიქროს საქართველოსთან უნდა წავაგოო, წააგებს.

ახლა კი, მოგახსენებთ რამდენიმე მიზეზს, რომელთაც ჩვენი აზრით, განაპირობეს ის, რომ საქართველოს ეროვნულმა გუნდმა წინაზე უკეთ ითამაშა.

პირველი: საქართველო იტალიას მეოთხედ შეხვდა და მეოთხედ ვიხილეთ ემოციური თამაში. ვფიქრობ, თუ ბედმა კიდევ გადაგვყარა ერთმანეთს, კვლავ ასე მოხდება. თუკი ქართველთა და გერმანელთა ნებისმიერი მატჩი ჩვენი სრული კაპიტულაციით იწყება, იტალიასთან ასე არ არის. როგორც ჩანს, საქმე გვაქვს ცნებასთან, უხერხული მეტოქე.

მეორე: საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებმა იცოდნენ, რომ აუცილებელ გამარჯვებას არ თხოვდნენ და ფსიქოლოგიურად თავისუფალნი იყვნენ, მათ ღირსეულად წაგების ნება ჰქონდათ, ეს კი გაცილებით იოლია, ვიდრე მოგება. ხომ გახსოვთ, რა მოხდა რუმინეთთან, როდესაც ხალხის აზრით გუნდს უნდა მოეგო?

მესამე: იტალიასთან თამაში სერია A-ს კლუბების სელექციონერთა წინაშე თავის გამოჩენას ნიშნავს. თითოეულ ფეხბურთელს კარგ გუნდში გაყიდვის შანსი ეძლევა, ეს კი სტიმულია.

ამის შემდეგ, ორიოდ სიტყვით კახა კალაძეზე ვთქვათ. შეხვედრის წინ, ეგრეთ წოდებული მოთელვა საქართველოს ნაკრებმა ძირითადის ათი კაცით და სათადარიგოებით ჩაატარა, კალაძე არ ვარჯიშობდა. ეს ბიჭი გატაცებულ ძმაზე ნერვიულობით დამეებს თეთრად ათენებს და დანამდვილებით ვიცით, რომ შეხვედრის წინა ღამითაც არ სძინებია. ყოველივეს მიუხედავად კი მან ითამაშა და ძალიან ზუსტადაც. ცხადია, ის შეზღუდული იყო, ბუნებრივია დამშვიდებული და მომზადებული კალაძე სხვაა, მაგრამ ის, რაც კახამ გვაჩვენა, ნამდვილი პროფესიონალიზმი და თავის საქმეში გაწაფული კაცის მოქმედებები გახლდათ. ამისთვის დიდი მადლობა მას.

ყველაზე უცნაური კი, საყოველთაო აზრით, პირველ ტაიმში კაპიტნის, გიორგი ნემსაძის შეცვლა გახლდათ. მოგვიანებით, პრესკონფერენციაზე მწვრთნელებმა ეს ტრავმით ახსნეს, თუმცა ნემსაძეს — ისევ საყოველთაო აზრით — ტრავმირებულისა არაფერი ეტყობოდა. მოდით, რა იყო და როგორ, ადრე თუ გვიან, თავად ნემსაძემ გვითხრას,



ალესანდრო დელ პიერომ (№11) ჩაწოდება მოასწრო



მიხეილ ყაველაშვილი (შუაში) არ გაატარეს

ეროვნული ბიბლიოთეკა



იტალიური სენდვიჩი მენთეშაშვილით

ერთი კი დაზუსტებით ვიცით, ეს ტაქტიკური ცვლილება არ ყოფილა. ვიმეორებთ, თავად მწვრთნელებმა თქვეს ტრავმის გამო შევცვალეთო. არადა, სამწუხაროა, რადგან კაპიტანი კარგად თამაშობდა. მოედნის შუაშიც გვარიანად იბრძოდა და შეტევებსაც კარგად იწყებდა, მისმა შეცვლამ კი აწყობილი გუნდი ტაიმის ბოლომდე არია და სწორედ ტაიმის ბოლოს გაგვიტანეს იტალიელებმა.

საერთოდ, სტუმრებმა ორივეჯერ ჩვენი მცველების „ჩაძინებით“ ისარგებლეს. მართალია, ამბობენ, თითქოს ერთ-ერთი გოლი თამაშგარედან გაგვიტანეს, მაგრამ იმასაც ამბობენ, რომ ჩვენს საჯარიმოშიც იყო საპენალტე სიტუაცია.

განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ მიხეილ ყაველაშვილი. ჩვენი აზრით, ყაველაშვილმა ძალიან კარგად ითამაშა, თუმცა... ვერსად გაექცა მისთვის ასე ჩვეულ უცნაურ სენს — საბოლოო დარტყმები კვლავ უზუსტო ჰქონდა. საგანგებოდ გულდასაწყვეტი კი მეორე ტაიმის ერთი ეპიზოდი გახლდათ, როდესაც მან ალესანდრო ნესტას საუცხოოდ გადაუგდო თავზე ბურთი და შემობრუნებულს აშკარა საგოლე პოზიცია ებოძა, მაგრამ... გოლი არ გავიდა.

გოლი იტალიის ნაკრების კარში მოგვიანებით გავიდა, როდესაც მოედანზე ახალშესულმა გოგა გახოკიძემ, პირველივე შეხებით, ბურთი მეკარე ბუფონის ფეხებს შორის ბადისკენ გააძვრინა. და ეს გახლდათ ქართველების პირველი გოლი „სკუადრა აძურას“ კარში. პირველი ოთხ ემოციურ შეხვედრაში...

გახოკიძემ კი მალევე ყვითელი ბარათი მიიღო. ეს იმას ნიშნავდა, რომ მასპინძლები კიდევ შეეცდებოდნენ მეტოქის დალაშქვრას, მაგრამ... ამ გაფრთხილების შემდეგ ბლოკნოტში აღარაფერი ჩაგვინიშნავს.

და, რა ვქნათ ახლა? დავასკვნათ, რომ ქართულ ფეხბურთში, უფრო სწორად კი ნაკრებში აღმავლობა დაიწყო? მოგვიტევეთ და ასეთი დასკვნისგან მეტისმეტად შორს ვართ. თქვენი ნებართვით, ამაზე ლაპარაკი მაშინ დავიწყოთ, როდესაც ზედიზედ ორ-სამ შეხვედრაში ვიტყვით, რომ უნდა მოვიგოთ და მოვიგებთ ან, ყველას თუ ვერ მოვიგებთ, ქულათა მნიშვნელოვან მარაგს მაინც დავაგროვებთ. როდესაც ცნება, სამარცხვინოდ წაგება საერთოდ გაქრება ჩვენი სინამდვილიდან და ღირსეულად წაგებაც არ გაგვახარებს.

ერთ-ერთი ყველაზე დადებითი ემოცია კი ის გახლდათ, თამაშის შემდეგ, გასახდელს მიახლოებული ალექსანდრე რეხვიაშვილი შინდისფერი მაისურის კოცნით რომ დაგვემშვიდობა.

შინდისფერი მაისურის გამარჯვება — აი, რა არის მთავარი!

**ილია ბაბუნაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 6 | 5 | 1 | 0 | 15:3 | 16 |
| რუმინეთი | 5 | 3 | 0 | 2 | 5:5 | 9 |
| უნგრეთი | 4 | 1 | 2 | 1 | 9:6 | 5 |
| საქართველო | 4 | 1 | 0 | 3 | 5:6 | 3 |
| ლიტვა | 5 | 0 | 1 | 4 | 2:16 | 1 |

**6 ივნისი: უნგრეთი — საქართველო; ლიტვა — რუმინეთი**



იტალიელების პირველ გოლში ირაკლი ზოიძის გამტყუნება უსამართლობა იქნებოდა

# პრესკონფერენცია

საპრესკონფერენციო დარბაზს პირველებმა ჯოვანი ტრაპატონიმ და იტალიელ ჟურნალისტთა ამქარმა მიაკითხეს. სტუმართა პრესატაშემ გვთხოვა, ჯერ ჩვენ გვაცალეთ, პრესკონფერენცია პირდაპირი ეთერით გადაიცემა იტალიაში, მერე კი ტრაპატონი თქვენთვისაც მოიცლისო.



ჯოვანი ტრაპატონი

**ჯოვანი ტრაპატონი:**

— ძალიან კმაყოფილი ვარ დელვეკიოთი. მას მთელი მატჩის განმავლობაში წნეხის ქვეშ ჰყავდა მოქცეული მეტოქე და შესანიშნავი გოლიც გაიტანა.

— დელ პიერო არ ბრწყინავდა, მაგრამ ნახევარდაცვასა და თავდასხმას აკავშირებდა, გუნდისთვის სარგებლობა მოჰქონდა.

— საქართველოს რამდენიმე მაღალი დონის ფეხბურთელი ჰყავს, რომლებიც კარგ კლუბებში თამაშობენ და საკმაო გამოცდილებაც აქვთ. ამიტომ იყო, მათი მხრიდან სირთულეებს რომ წავაწყდით, მაგრამ მაინც მოვიგეთ.

— ეს გამარჯვება ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია, თუმცა გადაჭრით ჯერ ვერ ვიტყვი, რომ ჯგუფში პირველობა უკვე განაღდებული გვაქვს.

— ნესტა იმიტომ გამოვცვალე, რომ მცირე ტრავმა მიიღო და აღარ გავრისკეთ.

— მართალია, მატჩებს განსხვავებული შემადგენლობებით ვატარებთ, მაგრამ მეკარის და დაცვის ხაზის შეცვლას ვერიდებით. ეს ჩვენი პრინციპია.

ამის მერე ტრაპატონიმ დარბაზი დატოვა, ჩვენს მწვრთნელებს კი, უპირველეს ყოვლისა, გიორგი ნემსაძის შეცვლის შესახებ ვკითხეთ. პირველმა სიტყვა **რევაზ ძოძუაშვილმა** ითხოვა.

— ნემსაძე პირველივე ვარჯიშზე დაშავდა. როცა მატჩი დაიწყო, შევატყვეთ, რომ ვერ ითამაშებდა და ამიტომაც ვიჩქარეთ მისი გამოცვლა.

— რაც შეეხებათ ზურაბ მენთეშაშვილსა და ვალერი აბრამიძეს, გეტყვით, რომ ყველა ფეხბურთელს, ასე ვთქვათ, თავისი დრო აქვს. როცა მოთამაშე აღმავლობას განიცდის, ფეხბურთის წესითა და კანონით, მას საშუალება უნდა მისცე, ითამაშოს. მენთეშაშვილი და აბრამიძე ურიგოდ არ გამოიყურებოდნენ.

— მეორე გაშვებული გოლისას კალაძეს შეეძლო გადავერჩინეთ, მაგრამ...

— პირველ გოლში კი მთლად დაცვას ვერ დავადანაშაულებთ. აქ უფრო მეტოქე ფორვარდის ოსტატობამ განაპირობა ყველაფერი.

— სტანდარტული მდგომარეობების გამოყენება ფეხბურთლებმა კლუბებში უნდა ისწავლონ, თორემ მარტო ჩვენი ძალისხმევა ფუჭია. საქართველოს გუნდებში კი სპეციალური ფიცრებიც არ აქვთ, ცოცხალი კედლის მაგივრობა რომ გასწიოს და ფეხბურთელებმა საჯარიმო დარტყმებში ივარჯიშონ.

**დავით ყიფიანი:**

— მეორე გოლი აშკარა თამაშგარედან გაგვიტანეს. იტალიასთან კი ერთი გოლიც დიდი ფორაა. პირველ ტაიმშიც იყო ეპიზოდი, მსაჯმა აშკარა თამაშგარე მდგომარეობაზე თვალი რომ დახუჭა, რამაც ჩვენი მცველები ერთობ დააბნია — ასეთ რამეს არ ელოდნენ. ხომ გახსოვთ, უნგრეთი 2:1 უგებდა იტალიას და მსაჯმა რა გაუკეთა უნგრელებს. საწყენია, რომ დავმარცხდით, წასაგები თამაში არ იყო.

— პირველი გოლის დროს პოზიციური შეცდომა დაუშვა კობიაშვილმა. ძამბროტას საშუალება მისცა, ჩვენს საჯარიმოში ჩაეწოდებინა და უკანა მცველმაც დაზღვევაზე ვერ ივარგა.

— კახა კალაძეს მადლობა უნდა ვუთხრათ, რომ ითამაშა. თუმცა მან და კობიაშვილმა თავიანთი შესაძლებლობებზე ნაკლებად გაისარჯნენ.

— შოთა არველაძე სასტარტო შემადგენლობაში იმიტომ არ დავაყენეთ, რომ თავად პატიოსნად გვითხრა, თამაში არ შემიძლიაო. თუმც მერე მაინც შევუშვით მინდორზე და ისიც კარგად ჩაერთო.

— რუმინეთთან შედარებით ჩვენმა ფეხბურთელებმა მართლაც განსხვავებულად ითამაშეს. ის მატჩი აუცილებლად უნდა მოგვეგო და ეს ზედმეტ ფსიქოლოგიურ ტვირთად დააწვათ მოთამაშეებს. მაშინ, რუმინეთთან შეხვედრისთვის გუნდის ფსიქოლოგიურად მომზადებაში შეცდომები დავუშვით. იტალიასთან კი ზეწოლა ნაკლები იყო.

— საგოლე მომენტების გამოუყენებლობა არასათანადო ოსტატობის ბრალია. მაღალი დონის ფორვარდები თითიდან გამოწოვენ ხოლმე გოლებს. ისეთ ძლიერ დაცვასთან, როგორიც იტალიას ჰყავს, ბევრ მომენტს ვერ შექმნი და რაც მოგეცემა, ის მაქსიმალურად უნდა გამოიყენო.

— კობიაშვილი 16-18 მეტრიდან კარგად კი ასრულებს საჯარიმო დარტყმებს, მაგრამ 25 მეტრიდან ძალიან ძნელია კედელს გადავლებული, მოჭრილი დარტყმით გაუტანო გოლი ბუფონის. ამიტომაც, სხვაგვარად ვასრულებდით საჯარიმოებს, ჩაწოდებებსაც აზრი არ ჰქონდა — არ გვყავს ისეთი ფეხბურთელები, იტალიელთა ასეთ დაცვას მაღალი ბურთები რომ მოუგონ.

— ნემსაძის შეცვლა მხოლოდ ტრავმით არ იყო განპირობებული. ერთ-ერთი ფაქტორი ისიც გახლდათ, რომ ის სუსტად თამაშობდა. მართალია, მისი შეცვლის შემდეგ გოლი გავუშვით, მაგრამ ასე რომ არ გაგვეკეთებინა, იმის გარანტია გვქონდა, რომ იტალია გოლს ვერ გაგვიტანდა? თანაც მის ნაცვლად შესულმა შოთა არველაძემ თამაში გაამწვავა. ნემსაძის შეცვლაში ტრაგედიას ვერ ვხედავ და საერთოდ, არავის შეცვლა არ უნდა იყოს ტრაგედია. აგერ, თვით დელ პიეროც ხომ გამოცვალეს...

**დავით თავართქილაძე**

ყოველკვირეული
გაზეთი
სარბიელი
თავის ფასში
ტელეფონით!
ხელმოწერა მიიღება 1 თვით, 2 თვით,
3 თვით, 6 თვით, 12 თვით.
98-89-09, 26-10-80, (899) 55-30-97
ფოსტის ყუთები და
დამონტაჟება უფასოა!
„პრეს-მობილი“

## იტალიური პრესა მატჩის შესახებ

### LA REPUBBLICA

## TRAP AZZECCA LE SCELTE L`ITALIA PASSA IN GEORGIA

# ტრაპის არჩევანი ამართლებს

## იტალია ამარცხებს საქართველოს

• ტრაპის აკრიტიკებენ, რომ მონტელას სასტარტოში დაყენებას არ აპირებდა, მაგრამ დელვეკიოს კარგი თამაშის წყალობით ტრაპი კრიტიკას გადაურჩა.

ანკონაში თამაშთან შედარებით იტალიამ საქართველოსთან თბილისში უკეთესად ითამაშა, რადგან ნახევარდაცვა სხვა ფეხბურთელებით დააკომპლექტა — ძამბროტა, ტომაზი, ტაკინარდი და პანკარო.

მეტოქემ რთულ მდგომარეობაში ჩაგვაგდო ქეცბაიას, კობიაშვილისა და შოთა არველაძის კარგი თამაშით.

ნესტას შეცვლა მომგებიანი გამოდგა — ყაველაშვილის ამოკეტვა მოხერხდა. ხოლო დელ პიეროს გაყვანითა და დი ლივიოს შემოსვლით ნახევარდაცვა გაძლიერდა.

გახოკიძის გოლის შემდეგ მეტოქემ უფრო მოუმატა და სერიოზულად ათამაშდა. ეს გამარჯვება მცველების გამარჯვებაცაა.



REUTERS

ქართველთა კარში პირველი გოლი მარკო დელვეკიოსი (№9) იყო

### LA GAZZETTA DELLO SPORT

## L` ITALIA SOFFRE MA VINCE IN GEORGIA

# იტალია შეაწუხეს, მაგრამ საქართველოს მაინც მოუგო

იტალიამ შეძლო ამოცანის შესრულება — სამი ქულის მოპოვება.

საქართველომ კარგად ითამაშა პირველ ტაიმში და მეორის ოცი წუთი, მაგრამ ეს არასაკმარისი იყო მათთვის.

მატჩის დასაწყისში საქართველომ ტემპს მოუმატა. ოცი წუთის განმავლობაში იტალია თავის ნახევარს მიაჯაჭვა. ქეცბაია მარცხნიდან უტევდა, ყაველაშვილი კი ცენტრიდან და მარჯვნიდან. პირველი ტაიმის ბოლოს საქართველომ ჩაკეტილად ითამაშა.

ყიფიანმა ნემსაძე არველაძით შეცვალა და ქეცბაია უკან გადავიდა. ამან საშუალება მისცა იტალიას წინ გადასულიყო.

ტრაპატონის შეგირდები ვერ იყენებდნენ მეტოქის დაცვაში შექმნილ სივრცეებს. დელ პიეროსთვის ორი ივნისი კარგი არ იყო.

იტალია ქულებს აგროვებს. ტოტი კი არაჩვეულებრივია.

ტრაპატონის ბიჭებისთვის ეს თამაში გართობა არ გახლდათ. იტალიამ თავის ძალის დემონსტრირების მშვენიერი მაგალითი გვიჩვენა. ამ თამაშის შემდეგ შეუძლია თავს განტვირთვის საშუალება მისცეს.

**თარგმნა დავით ცაავამ**



REUTERS

იტალიურმა მედიამ ფრანჩესკო ტოტი გამოარჩია

---

**2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. VIII ჯგუფი. 6 ივნისი**

# უნგრეთი — საქართველო

**ბუდაპეშტი. „ნეპშტადიონი".**

# უშველეთ გურულებს!



**კობა ინასარიძე**

**ბუდაპეშტიდან**

**იტალიასთან** მატჩის მეორე დღესვე ბუდაპეშტს გამოფრენილი საქართველოს ნაკრები უნგრელებთან უკვე დამარცხდა — მადიარებთან სამსაათიანი ბრძოლა ქართველთათვის უშედეგოდ დამთავრდა. მასპინძლებმა თავისი გაიტანეს და 3 ივნისს ჩარტერული რეისით ჩამოფრენილი ჩვენებური ფეხბურთელები, მწვრთნელებიანად და ფეხბურთის ფედერაციისა და სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელებიანად აეროპორტის სასაზღვრო ზონაში დაახლოებით ოთხი საათი აყურყუტეს. ნაშუადღევს ჩამოსულნი გვარიანად გატანჯეს და ოთხი საათი სრულდებოდა, დელეგაციის ბოლო წევრს რომ მისცეს ვიზა. იქამდე კი თავადაც დავიტანჯე — ორსაათიანი ლოდინის შემდეგ მესაზღვრემ, როგორც იქნა, პასპორტი დამიბრუნა და ჩვენებურებიც გამოჩნდნენ. ქართველთაგან ერთადერთი, ვინც საზღვარი წუთში გადაკვეთა, თემურ ქეცბაია გახლდათ. მას კვიპროსული პასპორტი ჰქონია და უნგრეთში შესვლაც არ გასჭირვებია. ქართველებთან ერთად რუსებიც დაიქანცნენ. თურმე სწორედ 3 ივნისიდან უნგრელებს, ევროკავშირის რეკომენდაციით, ვისი წევრიც ეს ქვეყანა უახლოეს მომავალში გახდება რუსეთთან, მოლდოვასთან, უკრაინასთან და კიდევ ერთ-ორ ყოფილ საბჭოურ ქვეყანასთან სავიზო რეჟიმი შემოუღია.

ქართველთა პროტესტი და მუქარა, თბილისში უარესად დაგხვდებით და თქვენს ფეხბურთის ფედერაციასაც ასეთი წვალებისთვის ვუსაყვედურებთო, წყლის ნაყვა იყო. ვიდრე დელეგაციის თითოეული წევრის პასპორტი საგულდაგულოდ არ შეამოწმეს, საზღვარი არ გადაკვეთინეს.

ნაკრების მწვრთნელები — რევაზ ძოძუაშვილი და დავით ყიფიანი იძულებულნი გახდნენ, ფეხბურთელები სასტუმროსკენ ოთხ ჯგუფად გაემგზავრებინათ ჯერ მიკროავტობუსებით, შემდეგ მსუბუქი მანქანით და ბოლოს იმ ავტობუსში, რომელიც ნაკრებს დახვდა, თავადაც ჩასხდნენ. ამის გამო ნაკრებს 3 ივნისის ვარჯიში გაუცდა, მწვრთნელების თქმით, ბიჭები გადაღლილები იყვნენ და მხოლოდ საუნასა და მასაჟს დასჯერდნენ. სიტყვამ მოიტანა და, ეროვნული ნაკრები სამოთხეში ცხოვრობს — უზარმაზარ მდინარე დუნაის კუნძულზე, ხუთვარსკვლავიან „ოტელ ტერმალში". კუნძულს, რომელზეც „ტერმალის" გარდა კიდევ ორი სასტუმრო და სხვადასხვა გასართობია, ქალაქთან ორი ხიდი აკავშირებს. სხვათა შორის, ამ ორმა ხიდმა, არპალმა და მარგიტმა, რამდენიმე ხიდთან ერთად მთლიანად ქალაქი გააერთიანა. მდინარისგან მარჯვენა მხარეს უწინ ბუდა ეწოდებოდა, რაც ძველი რომაელებისთვის, აქ რომ ბატონობდნენ წყალს ნიშნავდა, ძველი ბუდელებისთვის კი მათი ერთ-ერთი ბელადის სახელი იყო. პეშტი, დუნაისგან მარცხენა და ცენტრია, სადაც, სასტუმრო „შტადიონში", „ნეპშტადიონიდან" წუთის სავალზე ქარველთა ახალგაზრდული გუნდია დაბანაკებული. პეშტს კი თურმე ძველსლავური ფუძე აქვს, რაც გამოქვაბულს ნიშნავს. ეს ორი ქალაქი, ბუდა და პეშტი, მესამეც — ოუბუდი, 1872 წელს გაერთიანებულა და ერთი წლის შემდეგ უნგრეთის დედაქალაქადაც გამოცხადდა.

ბუდაპეშტის ისტორიამ ცოტა კი შემიყოლია, მაგრამ იმდენად ლამაზია აქაურობა, განსაკუთრებით ცენტრი ვაცი და მისი მიმდებარე ტერიტორია, რომ ნამდვილად ღირს ორი სიტყვის თქმა და ბაზრობა-სიბინძურეებით თვალებდაღლილ და გაღიზიანებულ ქართველთათვის ერთი რჩევაც — ჩადით ბუდაპეშტში, ისიამოვნეთ და ნახეთ, როგორი უნდა იყოს ქალაქი. ერთი კია, აქაური ენისას კაცი სიტყვასაც ვერ გაარჩევს. მაგალითად, ბოდიში გურულებთან, მაგრამ — იყიდეთ წაბლი — უნგრულად დაახლოებით ასე გამოითქმის — უშველეთ გურულებს!

ეროვნულ გუნდში კი ახალი ბევრი არაფერია. ნაკრებმა გუშინ დილით სასტუმროს ირგვლივ, ტყეში ირბინა და ექვსი საათიდან სრული დატვირთვით დაიწყო ვარჯიში. ნელ-ნელა, მაგრამ მაინც, ეტყობა, რომ ფორმას იბრუნებს გიორგი ქინქლაძე, რომელსაც უწამლეს და, ალბათ, ხვალ ითამაშებს კიდეც. ეროვნულ გუნდთან ერთად არიან „ვიტ ჯორჯიას" თავდამსხმელი ლევან მელქაძე და „როსტსელმაშის" მეკარე დავით ხმელიძე, რომლებმაც იტალიასთან ახალგაზრდებში ითამაშეს. ნაკრებთან ერთად გუშინ ივარჯიშა საქართველოდან ერთადერთმა უნგრელმა ლეგიონერმა ვალერი ზირაქიძემ, რომელიც ადრე ხაშურის „ივერიაში" და რუსთავის „გორდაში" თამაშობდა, ახლა კი უნგრეთის უმაღლესი ლიგის ტატაბანიას „ლომბარდის" წევრია. ძოძუაშვილისა და ყიფიანის განკარგულებაში არიან ისინიც, ვინც იტალიასთან ითამაშა და სამატჩო განაცხადში იყო. კვლავაც დალონებული და მოწყენილი კახა კალაძე, რომელიც აქედან პირდაპირ მილანში გაემგზავრება და თბილისში 18 ივნისს ჩამოვა. მწვრთნელებს ჯერჯერობით უნგრელებთან სათამაშო ტაქტიკაზე არაფერი უთქვამთ, არც აპირებენ. დღეს კი საქართველოს ნაკრები „ნეპშტადიონზე", სადაც ჩატარდება კიდევაც მატჩი, დილის 11 საათზე ივარჯიშებს.

ახალგაზრდული ნაკრები კი, როგორც ვთქვით, სამტრიბუნიანი „ნეპშტადიონიდან" ყურისძირში ცხოვრობს. მათ ჩამოსვლის დღესვე ივარჯიშეს და გუშინაც. რამდენიმე ფეხბურთელს მიკროტრავმა კი აწუხებს, მაგრამ ვახტანგ კოპალეიშვილის თქმით, საშიში არაფერია და თამაშისთვის ყველა მზად იქნება. მწვრთნელს მელქაძისაც ეიმედება და იმედოვნებს, რომ ძოძუაშვილი და ყიფიანი მას დაუთმობენ.

ეროვნული ნაკრების მატჩს უნგრეთში დიდი ინტერესით ელიან. 2 ივნისს აქაური ტელევიზიის ერთ-ერთმა არხმა — SPOTR 1 საქართველო — იტალია პირდაპირ აჩვენა და გუშინწინ ეს თამაში კიდევ ორჯერ გაიმეორა. უნგრეთის ნაკრების მწვრთნელი ბერტალან ბიჩკეი თურმე განსაკუთრებულად შოთა არველაძისა და თემურ ქეცბაიას უფრთხის, ამბობს, ძალიან მაგრები არიანო.

ხვალ ქართველების წინააღმდეგ შესაძლოა ვერ ითამაშოს გერმანული „კოტბუსის" გაუნგრელებულმა რუმინელმა ნახევარმცველმა ვასილი მირიუტამ, რომელსაც ფეხი აქვს ნატკენი. ოჯახური პირობების გამო, უფრო სწორად კი იმის გამო, რომ მეუღლე ფეხმძიმედ ჰყავს და ტყუპების მოლოდინშია, შესაძლოა ვერც ბელა ილეში დაუპირისპირდეს ჩვენებურთ, არადა, ის მასპინძლებისთვის დიდი ძალაა. უნგრეთის ეროვნულ გუნდში გამოძახების მიუხედავად არც რუმინეთის წინააღმდეგ უთამაშიათ და ალბათ, არც ხვალ იქნებიან „დუნაფერისა" და უნგრეთის ჩემპიონატის გამორჩეული ფეხბურთელები ტოკული და როშა, ისინი კლუბმა არ გაუშვა ეროვნულ გუნდში — „დუნაფერი" უნგრეთის ჩემპიონობისთვის „ფერენცვაროშს" ებრძვის და მწვრთნელსაც ორივე სათავისოდ დაუტოვებია.

სამაგიეროდ, ნაღდად ითამაშებენ ბუნდესლიგის ჰერტელები, მეკარე გაბორ კირალი, ნახევარმცველი პალ დარდაი და შტუტგარტელი კრისტიან ლისტეში.

და კიდევ: ქართველებისა არ იყოს, უნგრეთში ჩამოსულ სტუმრებს მასპინძლები არ დახვდებიან, ისინი ბუქარესტიდან გუშინღა ჩამოფრინდნენ. აი, ეს თუ აქვთ ხვალინდელ მეტოქეებს საერთო, თორემ სხვა...

სხვა ხვალისთვის იყოს.

1868 წლიდან: "მიხეილის" საქალაქო საავადმყოფო
1924 წლიდან: რესპუბლიკური საავადმყოფო პლეხანოვზე
1973 წლიდან: რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო ვაჟა-ფშაველაზე
2000 წლიდან: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიკოს ნ. ყიფშიძის სახელობის
**ცენტრალური კლინიკა**

**მისამართი**
380109. ვაჟა-ფშაველას 29
**ტელეფონები**
კანცელარია: 39 23 89
ცნობათა ბიურო: 39 22 89
მიმღები განყოფილება: 39 26 32
**საუკუნოვანი გამოცდილება უახლესი ტექნოლოგიები**

# მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
# ე ვ რ ო პ ა

## ჩვენი ჯგუფი



რუმინეთი — უნგრეთი. ვიორელ მოლდოვანი (№9): ვაი, ველარ ვხედავ ბურთს

REUTERS ბუქარესტიდან

# მე ვარ უნგრელი, მაშასადამე... რუმინელი

**რუმინეთი 2:0 უნგრეთი**

1:0, 2:0 ნიკულაე (3, 53)

რუმინეთი: სტელია, კონტრა, რადოი (მროდანი 64), დუმიტრუ, კივუ, ჩობოტარიუ, ნიკულაე, დ. მუნტიანუ, მოლდოვანი, კოდრია, ილიე (კ. მუნტიანუ 75)

მწვრთნელი: ლადისლაუ ბოლონი

უნგრეთი: კირალი, დ. კორსოში, ჩ. ფეჰერი, მატიუში, შებოკი, პეტო, სოვუში (კაბატი 73), დარდაი, ფ. ჰორვატი (ა. კორსოში 46), ლისტეში, ჰამარი (დომბი 41)

მწვრთნელი: ბერტალან ბიჩკეი

მსაჯი: ერიკ პულა (საფრანგეთი)

21 000 მაყურებელი

**საქართველო 1:2 იტალია**

0:1 დელვეკიო (45), 0:2 ტოტი (67), 1:2 გახოკიძე (80)

35 000 მაყურებელი

**ისტორიულ** მეტოქე უნგრეთთან მატჩი მთელი რუმინელი ხალხისთვის უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის წილისყრის მერე მთელი რუმინეთი ელოდა ამ დღეს. საზოგადოების ყველა ფენის თვალსაჩინო წარმომადგენლები საუბრობდნენ ამ შეხვედრაზე.

ორი წლის წინ რუმინეთმა ისტორიაში პირველად დაამარცხა მეზობელი უნგრეთი. ის მატჩი სხვა რამითაც იყო ღირსშესანიშნავი. ჩვენს ნაკრებს დაუბრუნდა გეორგე ჰაჯი, გამარჯვების მთავარი შემოქმედი.

ახლა საქმე ცოტა სხვაგვარად იყო. რუმინეთის ნაკრები, რომელიც რეკონსტრუქციის გზაზეა, მაშინდელთან შედარებით უფრო სუსტია. თანაც მის მწვრთნელ ლადისლაუ ბოლონიზე დიდი ზეწოლა იყო. პირველ რიგში მისი უნგრული წარმოშობის, შემდეგ კი მისი ლისაბონის „სპორტინგში" შესაძლო გადასვლის გამო, რაც რუმინელებმა მეტად უარყოფითად მიიღეს.

ამ გამარჯვების შემდეგ კი აბსოლუტურად ყველა კმაყოფილია და ფიქრობს, რომ თუ ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გავა, ბოლონი პორტუგალიაში არ წავა.

რუმინეთის პირველი გოლის მერე ბოლონის თვალები აუცრემლდა. მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე კი მან ესეც განაცხადა: „ვამაყობ, რომ ამ ქვეყნის (რუმინეთი, რ.ტ.) ამ ეროვნული უმცირესობას (უნგრულს, რ.ტ.) მივეკუთვნები!"

თავად მატჩმა კი მთლიანად მასპინძელთა უპირატესობით ჩაიარა. ჩვენს ნაკრებს გამარჯვება წამითაც არ გაუხდია საეჭვოდ. ანგარიშში სხვაობა გაცილებით მეტი იქნებოდა, რუმინელებს საგოლე მომენტების ნახევარი მაინც რომ გამოეყენებინათ. ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა სამმა ფეხბურთელმა, რომლებიც რუმინეთის ჩემპიონატში გამოდიან. ესენი არიან მცველი მატეი მირელ რადოი, ნახევარმცველი ფლორენტინ დუმიტრუ (ორივე „სტიაუა") და თავდამსხმელი მარიუშ კონსტანტინ ნიკულაე („დინამო"). სწორედ ნიკულაემ გაიტანა ორივე გოლი, ხოლო საგოლე პასები ორჯერვე ადრიან ილიესგან მიიღო.

**რაზვან ტომა ბუქარესტიდან საგანგებოდ „სარბიელისთვის"**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 6 | 5 | 1 | 0 | 15:3 | 16 |
| რუმინეთი | 5 | 3 | 0 | 2 | 5:5 | 9 |
| უნგრეთი | 4 | 1 | 2 | 1 | 9:6 | 5 |
| საქართველო | 4 | 1 | 0 | 3 | 5:6 | 3 |
| ლიტვა | 5 | 0 | 1 | 4 | 2:16 | 1 |

6 ივნისი: უნგრეთი — საქართველო; ლიტვა — რუმინეთი

## I ჯგუფი

# რუსეთი ჯვარმა იხსნა

**რუსეთი 1:1 იუგოსლავია**

1:0 კოვტუნი (25), 1:1 მიატოვიჩი (32)

რუსეთი: ნიგმატულინი, ხოხლოვი, ჩუგაინოვი, სმერტინი, ალენიჩევი, კოვტუნი, ონოპკო, კარპინი, ტიტოვი, მოსტოვოი, ბესჩასტნიხი (ბუზნიკინი 72)

იუგოსლავია: რადაკოვიჩი, მირკოვიჩი (ბუნიევჩევიჩი 85), ჯოროვიჩი, ობრადოვიჩი, ჯუკიჩი, დმიტროვიჩი, ლაზეტიჩი (დრულოვიჩი 75), ი. ტომიჩი, მიხაილოვიჩი, მიატოვიჩი (კეჟმანი 64), მილოშევიჩი

მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)

65 000 მაყურებელი

**სლავურმა** ფრემ რუსები კიდევ უფრო მიუახლოვა კორეა — იაპონიას, იუგოსლავიას კი მეორე, ანუ საპლეიოფო ადგილის შანსი დაუტოვა.

მოსკოვის მატჩამდე სტუმართა ბანაკში დიდი ცვლილებები მოხდა: შეიცვალა მწვრთნელი, ძირითადში დაბრუნდნენ მილოშევიჩი და მიატოვიჩი. კარში კი „პარტიზანის" დებიუტანტი მეკარე რადაკოვიჩი ჩადგა. რუსებს კარპინი და სმერტინი დაუბრუნდათ. ხოლო ბოლო დროის ლიდერი გუსევი თადარიგში გაამწესეს.

25-ე წუთზე რუსებმა გაიტანეს. თუმცა ყველასათვის გამოცანად დარჩა, კოვტუნს შემთხვევით გამოუვიდა თუ მისი ჩინებული დარტყმა ოსტატობის ნაყოფი იყო. კარპინმა მარცხენა ფრთაზე შორი პასით მოძებნა კოვტუნი, ამას კი ფეხზე აეჭრა თუ დაარტყა, არავინ იცის, მაგრამ ბურთი რადაკოვიჩის კარის ცხრიანში აღმოჩნდა.

მასპინძელთა ეს უპირატესობა სულ შვიდ წუთს გაგრძელდა. იუგოსლაველთა კიდევ ერთმა დებიუტანტმა დმიტროვიჩმა მარცხენა ფრთიდან საჯარიმოში ჩააწოდა, რუსთა მცველები შეცდნენ და მილოშევიჩმა ძლიერი თავური დაარტყა, ნიგმატულინმა ძელთან მოიგერია, იქ კი ყველას მიატოვიჩმა დაასწრო და გაათანაბრა.

იუგოსლაველებს გამარჯვებაც შეეძლოთ. დამთავრებამდე შვიდი წუთით ადრე თავის საჯარიმოსთან კოვტუნმა კეჟმანი წააქცია და მიხაილოვიჩის საჯარიმო რუსთა კარის ჯვარედინს მოხვდა.

„უკმაყოფილო არ ვარ, თუმცა თამაშის ბოლოს ძალიან სახიფათოდ შემოგვიტიეს — თქვა მატჩის შემდეგ რუსთა მწვრთნელმა ოლეგ რომანცევმა — სტუმრებმა სწორი ტაქტიკა აირჩიეს, კონტრშეტევებზე მათ კარგად გამოუვიდათ თამაში. ჩვენზე კი რა გითხრათ, ვერ ვიტყვი, რომ ცუდად ვითამაშეთ. სატურნირო სტრატეგიიდან გამომდინარე, სასურველს მივაღწიეთ, ფავორიტს ოთხი ქულა წავართვით".

„კარგი თამაში გამოვიდა. მგონი, რაც მინახავს, ეს რუსთა საუკეთესო მატჩი იყო — თქვა იუგოსლაველთა ერთ-ერთმა მწვრთნელმა დეიან სავიჩევიჩმა — ჩვენ კი მოგებაც შეგვეძლო, მაგრამ მიხაილოვიჩის დარტყმა სასწაულით არ გავიდა. თუმცა, შედეგით კმაყოფილი ვართ. მსოფლიოზე გასვლის შანსი ისევ გვაქვს, თანაც ყველაფერი ჩვენსავე ხელშია".

**სოლომონ გულისაშვილი**

**ფარერები 0:1 შვეიცარია**

0:1 ფრეი (80)

ფარერები: მიკელსენი, იოჰანესენი, ი. ჰანსენი, ე ბორგი, ჰ. ჰანსენი, ო. ჰანსენი, ბენიამინსენი, ჯ. იონსონი, კ. იაკობსენი, არგე (ი. იაკობსენი 78), ჯ. პეტერსენი (ჰ. პეტერსენი 84)

შვეიცარია: პასკოლო, ზელვეგერი, კვენტინი, ენჩოსი, მიულერი, ფოგელი, სესა (ნკუფო 57), ვიკი, ლომბარდო, სფორცა (ლონფატი 68), ფრეი (მანინი 82)

მსაჯი: დუგ მაკდონალდი (შოტლანდია)

4 000 მაყურებელი

**სლოვენია 2:0 ლუქსემბურგი**

1:0, 2:0 ზაჰოვიჩი (35, 65პ)

სლოვენია: სიმეუნოვიჩი, მილინოვიჩი, გალიჩი, კნავსი, ნოვაკი, ჩეჰი, კარიჩი (რუდონია 46), ზაჰოვიჩი, პავლინი, ციმეროტიჩი (ოსტერცი 80), აჩიმოვიჩი (პავლოვიჩი 62)

ლუქსემბურგი: ფილე, შულსი, დევილი, ტაისი, ჯ. შტრასერი, საიბენე, პეტერსი, ჰოლცი, ჰასი, კარდონი (გ. ბრაუნი 82), ს. შნაიდერი

მსაჯი: ბერნარდ ბრუგერი (ავსტრია)

5 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 6 | 4 | 2 | 0 | 8:2 | 14 |
| შვეიცარია | 6 | 3 | 2 | 1 | 14:5 | 11 |
| სლოვენია | 6 | 2 | 4 | 0 | 10:7 | 10 |
| იუგოსლავია | 5 | 1 | 3 | 1 | 5:4 | 6 |
| ფარერები | 5 | 1 | 1 | 3 | 5:9 | 4 |
| ლუქსემბურგი | 6 | 0 | 0 | 6 | 1:16 | 0 |

6 ივნისი: შვეიცარია — სლოვენია; ლუქსემბურგი — რუსეთი; ფარერები — იუგოსლავია

## II ჯგუფი

# ერთი უნდა მოკვდეს!

**ირლანდია 1:1 პორტუგალია**

1:0 როი კინი (65), 1:1 ფიგუ (79)

ირლანდია: გივენი, კარი, ჰარტი, დანი, სტონტონი, როი კინი, გ. კელი, კინსელა (დოჰერტი 46), ნ. ქუინი (ჰოლანდი 75), რობი კინი დაფი (60), კილბეინი

პორტუგალია: რიკარდო, ჟორჟე ალმეიდა, რუი ოლივეირა (ჟოაუ პინტუ 73), ბეტუ სევერუ, კარლუშ ნაგაუროში (ლ. პერეირა 46), ნუნუ ბენეტუ, ბარბოსა (ნუნუ როჩა 66), ფიგუ, რუი კოშტა, პაულეტა, არმანდო ტეიშეირა

მსაჯი: კნუდ ერიკ ფისკერი (დანია)

35 000 მაყურებელი

**ლუიშ ფიგუმ** შეხვედრის დამთავრებამდე 11 წუთით ადრე გაათანაბრა ანგარიში. პირველი ტაიმი პორტუგალიელთა სრული უპირატესობით მიმდინარეობდა და გოლი რომ არ გავიდა, მხოლოდ ძელისა და ირლანდიელი მეკარის, შეი გივენის დამსახურება გახლდათ. შესვენების შემდეგ კი მასპინძლები გონს მოეგნენ, რაც 62-ე წუთზე გოლმაც დაადასტურა: როი კინმა მეტოქის საჯარიმოში შეაღწია და ბურთი მეკარე რიკარდო პურიერას მიღმა კარში შეაგდო.

შემდეგ კი, როგორც მოგახსენეთ, ფიგუმ გაქვითა და პორტუგალია ისევ უკეთეს გუნდად იქცა. სტუმრებმა მასპინძელთა დაცვა გვარიანად გააწვალეს, მაგრამ გოლის შეგდება ველარ შეძლეს.

საგულისხმოა, რომ გოლების ავტორებმა, ფიგუმ და კინმა, ყვითელი ბარათები მიიღეს და ხვალინდელ ტურში ვერ ითამაშებენ. ირლანდია ესტონეთს მიემგზავრება, პორტუგალია კი კვიპროსს მასპინძლობს.

„შესვენებისას რომ გეკითხათ, გიპასუხებდით, რომ ფრეზე ყაბულს ვარ. სტუმრებმა ძალიან კარგად ითამაშეს, მათ მსოფლიო კლასის ფეხბურთელები ჰყავთ, ჩვენ კი შეი გივენმა გადაგვარჩინა. საბედნიეროდ, მეორე ტაიმში ინიციატივა ხელთ ვიგდეთ და დაახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში მოწინაალმდეგეს ვჯობდით, ერთი პირობა, ვიფიქრე მოვიგებთ-მეთქი" — განაცხადა ირლანდიელთა მწვრთნელმა მიკ მაკარტიმ.

**ესტონეთი 2:4 ჰოლანდია**

1:0 ოპერი (65), 1:1 პიიროია (70ა.გ.), 2:1 ზელინსკი (78), 2:2 ვან ნისტელროი (86), 2:3 კლუივერტი (89), 2:4 ვან ნისტელროი (90)

ესტონეთი: კაალმა, სავიაუკი, სტეპანოვი, პიიროია, როობა, რეიმი, ჰაავისტუ (რანი 70), ნოვიკოვი (ზელინსკი 46), ვიქმაე, კრისტალი, ოპერი

ჰოლანდია: ვან დერ სარი, რაიციგერი, ფ. დე ბური, ჰოფლანდი, ზენდენი, კოკუ, მაკაი (ვან ჰოიდონკი 78), ბაუმე (ლანძაატი 60), ჰასელბაინკი (ვან ნისტელროი 60), კლუივერტი, ოვერმარსი

მსაჯი: გერი რიჩარდსი (უელსი)

9 500 მაყურებელი

**ჰოლანდიას** კიდევ აქვს მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლის შანსი. ეს შანსი მას იმ ორმა გოლმა შეუნარჩუნა, ტალინის სტადიონზე, ესტონელთა კარში, ბოლო ორ წუთში რომ გავიდა.

დიახ, ესტონეთი იგებდა, შეხვედრის დასრულებამდე კი ოთხი წუთი რჩებოდა.

„მთლიანად თამაშით კმაყოფილი ვარ, უბრალოდ ზოგ ეპიზოდში სიმწვავე გვაკლდა — განაცხადა პრესკონფერენციაზე ჰოლანდიელთა მწვრთნელმა ლუის ვან გაალმა — ფეხბურთელთაგან ყველას სურს მაქსიმუმის გაღება, მაგრამ ეს ყოველთვის როდი ხდება".

ესტონეთს კი, ბოლოს და ბოლოს ქულის იმედი ჰქონდა, მაგრამ 89-ე წუთზე პატრიკ კლუივერტმა, ერთ წუთში კი რუუდ ვან ნისტელროიმ ტაბლოზე სრულიად საოცარი ანგარიში დააფიქსირეს.

ესტონეთის მწვრთნელმა არნო პიიპერსმა მატჩის შემდეგ განაცხადა, რომ მისმა ფეხბურთელებმა ახლა თავი ხელში უნდა აიყვანონ და ირლანდიის ნაკრებს ღირსეულად დაუპირისპირდნენ.

„ხვალ დილით ისევ უნდა ვივარჯიშოთ და ირლანდიისთვის მოვემზადოთ. ამ წუთას მოთამაშეები ცუდ ხასიათზე არიან, მაგრამ ვალდებულნი არიან გონს მოეგონ".

და ისევ ვან გაალი: „ჩვენი ბედი კვლავ ჩვენს ხელთაა. უდიდესი მატჩი გველის ირლანდიასთან. ჩვენ, ირლანდია ან პორტუგალია — ერთ-ერთი უნდა მოკვდეს".

**ბაბუნა ბედია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ირლანდია | 7 | 4 | 3 | 0 | 16:5 | 15 |
| ჰოლანდია | 7 | 4 | 2 | 1 | 21:8 | 14 |
| პორტუგალია | 6 | 3 | 3 | 0 | 12:5 | 12 |
| ესტონეთი | 6 | 2 | 1 | 3 | 8:12 | 7 |
| კვიპროსი | 6 | 2 | 1 | 3 | 10:16 | 7 |
| ანდორა | 8 | 0 | 0 | 8 | 4:25 | 0 |

6 ივნისი: ესტონეთი — ირლანდია; პორტუგალია — კვიპროსი



REUTERS ბუქარესტიდან

ირლანდია — პორტუგალია. ფიგუ (№7), რა თქმა უნდა, ფიგურა იყო

# მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
# ევროპა

III ჯგუფი

## ცოტა ყირამალა



დანია — ჩეხეთი. მასპინძელი ბრაიან ნილსენი (მარცხნივ) და რომან ტისი

**დანია 2:1 ჩეხეთი**

1:0 სანდი (6), 1:1 ტისი (40), 2:1 ტომასონი (82)
დანია: სორენსენი, ჰაინცე, ჰენრიკსენი, ლაურსენი, ჰელვეგი, ტოფტინგი, ბ. ნილსენი (იენსენი 58), ტომასონი, იორგენსენი (ა. ნილსენი 82), რომედალი (გრონკიაერი 73), სანდი
ჩეხეთი: სრნიჩეკი, ოიმნა, ტისი (რადა 60), ოუჟედნიჩეკი, ვოტავა, ბერგერი, გალაშეკი, ნედვედი, პობორსკი (კუკა 85), ლოკვენცი (კოლერი 68), შმიცერი
მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)
41 669 მაყურებელი

**კოპენჰაგენში** წაგებამ ჩეხეთის ნაკრები პირველიდან მესამე ადგილზე დააქვეითა.

მატჩამდე ჩეხი პაველ ნედვედი ამბობდა, დანიაში საბრძოლველად ჩავდივართ და რადაც უნდა დაგვიჯდეს, სამი ქულა უნდა ავიღოთო. სამის არა და ერთი ქულის მოპოვება ჩეხებს ალბათ შეეძლოთ, რომ არა იონ დალ ტომასონის ზუსტი თავური დარტყმა საფინალო სასტვენამდე რამდენიმე წუთით ადრე. ეს გოლი მარტინ იორგენსენის აქტიურობას და გამოზომილ ჩაწოდებას მოჰყვა.

მოგების შემდეგ დანიელთა მწვრთნელმა მარტინ ოლსენმა განაცხადა: „ჩეხებისგან მთელი მატჩის განმავლობაში გველოდა ხიფათი, მაგრამ სადავების ხელში ჩაგდება შევძელით და წარმატებასაც მივაღწიეთ“.

სულ სხვა განწყობით ილაპარაკა ჩეხთა თავკაცმა იოზეფ ხოვანეცმა: „უკეთეს შედეგს ველოდი. თამაში კარგი გამოვიდა, მაგრამ წაგებამ დაგვაღონა“.

კიდევ რომ არ გაირთულონ საქმე, ჩეხებს ხვალ შინ ჩრდილოირლანდიელებთან აუცილებლად გამარჯვება სჭირდებათ და როგორც ამბობენ, ამ შანსს ხელიდან უკვე აღარ გაუშვებენ.

**ჩრდ. ირლანდია 0:1 ბულგარეთი**

0:1 გ. ივანოვი (52)
ჩრდ. ირლანდია: ტეილორი, ნოლანი (ჯ. ქუინი 86), ა. ჰიუზი, გრიფინი, მერდოკი, ჯონსონი, გილესპი, ლენონი (მალრინი 78), ჰელი, მ. ჰიუზი, ს. ელიოტი (გ. ფერგიუსონი 78)
ბულგარეთი: ზდრავკოვი, კიშიშევი (პეევი 23), მარკოვი, ჩომაკოვი, პაჟინი, ბ. ივანოვი, მ. ხრისტოვი (სტოილოვი 87), მ. პეტკოვი, გ. ივანოვი, ბალაკოვი, მ. პეტროვი (კირილოვი 77)
მსაჯი: მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)
7 663 მაყურებელი

**რაც ვერ** მოახერხეს ჩეხებმა კოპენჰაგენში, ის შეძლეს ბულგარელებმა ბელფასტში. ისინი სამი ქულით გაემგზავრნენ რეიკიავიკში, სადაც ხვალ ჩინებულ ხასიათზე მყოფნი შეხვდებიან ისლანდიას.

ბრიტანელთა მწვრთნელმა სემი მაკილროიმ წაგება დაცვის უხეირო თამაშით ახსნა. კუნძულელი კოლინ მარდოკი, რომელიც თამაშამდე ბულგარელებს ყველაზე მეტად ემუქრებოდა, უხეშად შეცდა და ბურთი მეტოქე გეორგი ივანოვს ჩააბარა, მანაც საჩუქარი შეირგო და მასპინძლები დასაჯა.

„სულ ერთი და იგივე შეცდომებს ვუშვებთ. ვცდილობთ, რაიმე გამოვასწოროთ, მაგრამ არაფერი გამოდის, მეტოქეც არ გვპატიობს. მიმაჩნია, რომ დღეს მოგებაც შეიძლებოდა. ძალიან საწყენია“ — განაცხადა მაკილროიმ.

„ნამდვილად რთული მატჩი იყო. არჩეულმა ტაქტიკამ გაამართლა. სტუმრად საჭირო სამი ქულა მოვიპოვეთ და ჯგუფში ლიდერები გავხდით, ისლანდიაშიც იმავეს ვაპირებთ და წარმატების შემთხვევაში კორეა — იაპონია შორის ეგებ სულაც არ იყოს — ინატრა ბულგარელთა მწვრთნელმა სტოიჩო მლადენოვმა.

**ნიკა შუბლაძე**

**ისლანდია 3:0 მალტა**

1:0 გუდმუნდსონი (7), 2:0 დადასონი (38), 3:0 გუდიონსენი (68)
ისლანდია: არასონი, ჰელგასონი, ვიდარსონი, გრეტარსონი, გუნარსონი, კრისტინსონი (კოლვიდსონი 74), გუდმუნდსონი, სვერისონი (მარტეინსონი 74), გუდიონსენი, სიგურდსონი, დადასონი (ჰელგუსონი 74)
მალტა: მუსკატი, საიდი, ტურნერი, ხაზტერი, ტეუმა, დიმეში, აგიუსი, გიგლიო (სუდა 74), მიფსუდი, ბრინკატი (კამილერი 46), მალია (ნვოკო 69)
მსაჯი: რომან ლაიუკსი (ლატვია)
3 554 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბულგარეთი | 6 | 4 | 1 | 1 | 11:6 | 13 |
| დანია | 6 | 3 | 3 | 0 | 11:4 | 12 |
| ჩეხეთი | 6 | 3 | 2 | 1 | 7:2 | 11 |
| ისლანდია | 6 | 3 | 0 | 3 | 10:9 | 9 |
| ჩრდ. ირლანდია | 6 | 1 | 1 | 4 | 5:8 | 4 |
| მალტა | 6 | 0 | 1 | 5 | 1:16 | 1 |

6 ივნისი: ისლანდია — ბულგარეთი; დანია — მალტა; ჩეხეთი — ჩრდ. ირლანდია

V ჯგუფი

## თეთრი ჯგუფი შავი გოლებით

**სომხეთი 0:0 ბელარუსი**

სომხეთი: აბრამიანი, სუკიასიანი, ხოჯოიანი, დემირჭიანი (ა. დოხოიანი 65), ვარდანიანი, ხაჩატრიანი, პეტროსიანი, მინასიანი (ართავაზ ქარამიანი 36), კ. დოხოიანი, სარქისიანი, არმან ქარამიანი (გევორქიანი 69)
ბელარუსი: ტუმილოვიჩი, იახიმოვიჩი, ოსტროვსკი, ლუხვიჩი, შტანიუკი (კულჩი 84), გურენკო, ხაცკევიჩი, ბელკევიჩი, შუნეიკო (რომაშჩენკო 80), ვასილიუკი, მილევსკი (ისაკოვიჩი 72)
მსაჯი: ანტონ გენოვი (ბულგარეთი)
10 000 მაყურებელი

**ჩვენს** მეზობლებს გაუმართლათ — მალოფეევის ბიჭებს მრავალრიცხოვან მომენტთაგან ერთიც რომ გამოეყენებინათ, ბელარუსები შინ სამი ქულით დაბრუნდებოდნენ. განსაკუთრებით რომან ვასილიუკი გამოირჩა: სხვას რომ თავი ვანებოთ, მე-18 წუთზე მან მეკარე აბრამიანიც კი მოატყუა, მაგრა ბურთი ცარიელი კარის ძელსლა გაარტყა.

რაც შეეხება სომხებს, მათ ცდა და მონდომება არ დაუკლიათ, თუმცა ჩვენი ნაკრების დარად, გააზრებული ქმედებები მათ თამაშშიც ნაკლებად ჩანდა. ვარუჟან სუკიასიანს, მასპინძელთა თავკაცს, გასამართლებელი ის ჰქონდა, რომ დისკვალიფიკაციის გამო საუკეთესო მცველი სარქის ოვსეპიანი, ტრავმის გამო კი გოლეადორი ანდრეი მოვსესიანი აკლდა.

**უელსი 1:2 პოლონეთი**

1:0 ბლეიქი (13), 1:1 ოლისადებე (32), 1:2 კრიშალოვიჩი (72)
უელსი: პ. ჯონსი, საიმონსი, ბარნარდი (მ. ჯონსი 78), მელვილი, პეიჯი (ჯენკინსი 84), პემბრიჯი, სვეიჯი, ნ. ბლეიქი, ჰარტსონი, სპიდი, გიგზი
პოლონეთი: დუდეკი, კლოსი, ი. ბაკი, მიხალ ჟევლაკოვი, ა. ბაკი, ჰაიტო, კოზმინსკი, იგანი, ოლკოვიჩკი (კრიშალოვიჩი 62), ცდებელი (კრძინოვეკი 62), ოლისადებე (მარჩინ ჟევლაკოვი 90)
მსაჯი: ეროლ ერსოი (თურქეთი)
44 000 მაყურებელი

**სამწუხაროდ** არ უმართლებს მარკ ჰიუზის არცთუ ურიგო გუნდს — მერამდენე მატჩია, ძლიერი შეტევებით იწყებს და მომენტს მომენტზე ქმნის, მაგრამ საბოლოოდ გამარჯვებას მაინც ვერ აღწევს.

შაბათს კარდიფში უკვე მესამე წუთზე შეეძლოთ მასპინძლებს ანგარიშის გახსნა, როცა იაცეკ ბაკმა ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა. ამას კვლავ უელსელთა შეტევები და პოლონელთა რიგებში პანიკა მოჰყვა, თუმცა ამით მხოლოდ მასპინძელთა შავკანიანმა ნათან ბლეიკმა ისარგებლა. საინტერესოა, რომ მეკარე დუდეკმა თავდამსხმელის ეს დარტყმაც მოიგერია, ოღონდ მსაჯმა ჩათვალა, რომ ეს კარის ხაზის ოდნავ შიგნით მოხდა — 1:0.

გაშვებულმა გოლმა ჯგუფის ლიდერები გამოაფხიზლა და ანგარიში პირველივე ტაიმში გათანაბრდა. სტუმართაგან შავკანიანი გამოირჩა — წარმოშობით ნიგერიელი ემანუელ ოლისადებე, ვისი თამაშიც მუხლის ტრავმის გამო ბოლო მომენტამდე საეჭვო იყო. აქვე რაიან გიგზმა ვერ გამოიყენა კვლავ წინ გასვლის შესაძლებლობა, რაც ბრიტანელებს ძვირად დაუჯდათ — მეორე ტაიმში კოზმინსკიმ ჩინებული პასით უელსის მთელი დაცვა სახტად, თანაგუნდელი კრიშალოვიჩი კი მეკარესთან პირისპირ დატოვა და პოლონეთმა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ცალი ფეხი შედგა.

„ვიცოდი, რომ იოლი მატჩი არ გველოდა, მაგრამ ასეთი? ეს ამ ეტაპზე ყველაზე ძნელი შეხვედრა გამოდგა. ამიტომაც მოპოვებული 3 ქულა ჩვენთვის მეტად ძვირფასია. ახლა იაპონია — კორეაში წასასვლელად ერთი ნაბიჯის გადადგმაღა დაგვრჩა“ — თქვა პოლონელთა გახარებულმა თავკაცმა ეჟი ენგელმა.

**უკრაინა 0:0 ნორვეგია**

უკრაინა: შოვკოვსკი, სტაროსტიაკი, პარფიონოვი, გოლოვკო, ვაშჩუკი, დმიტრულინი, ტიმოშჩუკი, ზუბოვი, იაშკინი (რებროვი 46), შევჩენკო, ვორობეი (სპივაკი 68)
ნორვეგია: მირე, ბასმა, ჰოფტუნი, ჰ. ბერგი, რისეტი, რუდი, ლეონარდსენი, ბაკე, ანდერსენი, კარეუ, სტრანდი (ფლო 78)
მსაჯი: გორან მარიჩი (ხორვატია)
42 000 მაყურებელი

**სტუმრებს** არც ამ თამაშამდე ჰქონდათ ჯგუფიდან გასვლის დიდი პერსპექტივა და მითუმეტეს, ახლა ხომ საბოლოოდ გადაეწურათ იმედი. ამის მიუხედავად, ნორვეგიელთა მწვრთნელი ნილს იოჰან სემბი, ვისაც ფედერაციამ 2004 წლამდე გაუგრძელა კონტრაქტი, კმაყოფილი ჩანდა — ბოლო-ბოლო, მისმა გუნდმა უკრაინასთან შინ წააგო, ახლა კი სტუმრად ფრეს მიაღწია.

პირველი ოცი წუთი სკანდინაველებს ოდნავ გაუჭირდათ, მერე კი სიტუაციას ალღო აუღეს და შევჩენკო — რებროვის დუეტის თამაშობით მოიგერიე მასპინძლებს თავის გამოჩენის საშუალებს არ მისცეს. ეგ კი არა, თუ საქმე ნამდვილ სახიფათო მომენტების ჩამოთვლაზე მიდგება, ლობანოვსკის შეგირდებს არც ნორვეგიელები ჩამორჩებოდნენ — მეორე ტაიმში ჯერ რებროვის თანაკლუბელმა „ტოტენჰემიდან“ ლეონარდსენმა ააცილა მცირედით შოვკოვსკის კარს, მერე კი იგივე ოღონდ თავურით, მცველმა ჰენინგ ბერგმა გაიმეორა. არადა, შეტევაში სტუმრებს მხოლოდ ვალენსიელი იონ კარეუ ჰყავდათ გამწესებული.

ხვალ უკრაინელები უელსელებს მასპინძლობენ და ეს მათთვის ბოლო იმედის მატჩია. იქაურებს უპირველესად მილანელი შევჩენკოსა და ლონდონელ რებროვს შორის დაკარგული ტელეპატიური ურთიერთგაგების აღდგენის იმედი აქვთ.

**გიგა ქობახიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 6 | 5 | 1 | 0 | 15:5 | 16 |
| ბელარუსი | 6 | 3 | 2 | 1 | 7:6 | 11 |
| უკრაინა | 6 | 2 | 3 | 1 | 6:6 | 9 |
| უელსი | 6 | 0 | 4 | 2 | 6:8 | 4 |
| ნორვეგია | 6 | 0 | 3 | 3 | 4:7 | 3 |
| სომხეთი | 6 | 0 | 3 | 3 | 5:11 | 3 |

6 ივნისი: ნორვეგია — ბელარუსი; უკრაინა — უელსი; სომხეთი — პოლონეთი



უკრაინა — ნორვეგია. ალექსანდრ გოლოვკოს (№4) თავური პორტრეტი

IV ჯგუფი

## ჰაქან ბრძენმა დაინახა

**თურქეთი 3:0 აზერბაიჯანი**

1:0 ტაიფუნი (2), 2:0 ოქთაი (29), 3:0 ჰაქან შუქური (33)
თურქეთი: რუშთუ, ალფაი, ბიულენთი, აბდულა, უმითი, ტაიფუნი, ოკანი, თუგაი, ემრე (ერგუნი 80), ჰაქან შუქური, ოქთაი (ჰასან შაში 37)
აზერბაიჯანი: ჰასანზადე, ა. მამედოვი (ნიფტალიევი 63), იუნუსოვი, ახმედოვი, რ. მამედოვი, ჯ. გულიევი, მ. ყურბანოვი, ტაგიზადე (რ. გულიევი 80), რზაევი (ორუჯევი 50), ფ. ყურბანოვი, მარდანოვი
მსაჯი: ხუან ანსუატეგი როკა (ესპანეთი)
20 000 მაყურებელი

**ზუსტად** ჩვენი პრეზიდენტივით თქვა ჰაქან შუქურმა შაბათს აზერბაიჯანელთა დამარცხების შემდეგ, შუქს ვხედავ გვირაბის ბოლოსო. ვეჭვობთ, რომ ჩვენს შემთხვევაში დანახული შუქი ილუზიაა. აი, შუქურის შემთხვევაში გაცილებით კარგადაა საქმე — მოიგო თურქეთმა, 14 ქულას მოუყარა თავი და მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის შანსიც მნიშვნელოვნად გაზარდა. შუქური კი გვირაბის ბოლოს შუქს 5 სექტემბერის მატჩის მერეც თუ დაინახავს (თურქები პირველი ადგილის მოცილე შვედებს ხვდებიან), კაციც ის ყოფილა.

თურქების მიერ აზერბაიჯანელთა ძლევა აბა, რა საკვირველია, მაგრამ ამ მატჩში ერთი რამ მაინც მოხდა მასპინძელთათვის მნიშვნელოვანი — ტაიფუნმა სალამიც კი არ აცალა წინასწარ მარცხშეგუებულ აზერბაიჯანელებს და 48-ე წამზე გახსნა ანგარიში. ეს მაჩვენებელი კი თურქული ფეხბურთის არსებობას 78-წლიან ისტორიაში სარეკორდო გამოდგა.

**მაკედონია 2:2 მოლდოვა**

0:1 პოგრებანი (10), 1:1 შაკირი (20პ), 2:1 გ. კრსტევი (65), 2:2 ბარბუროში (72)
მაკედონია: ზეკირი, სტავრევსკი, სტოიანოვი, გუზელოვი, ნიკოლოვსკი (ტრაიანოვი 46), ზ. იოვანოვსკი, სერაფიმოვსკი (გ. იოვანოვსკი 70), მ. კრსტევი, ს. კრსტევი, შაკირი, ბეკირი (ნაჩევსკი 46)
მოლდოვა: რომანენკო, კოვალენკო, რებეჯა, ტესტიმიცანუ (ოსიპენკო 65), სოსნოვსკი, სტროენკო, შიშკინი (ბარბუროში 70), კატინსუსი, პოგრებანი (ეპურიანუ 46), გაიდამაშჩუკი, კლეშჩენკო
გაძევება: სოსნოვსკი (90)
მსაჯი: ჟაკ ვან ჰალტენი (ჰოლანდია)
3 000 მაყურებელი

**სიტყვა** შეასრულა მოლდოვის ნაკრების მწვრთნელმა ალექსანდრ მაციურამ. ამჯერად უგოლოდ არ დავტოვებთ მოედანსო, თქვა მან მაკედონიელებთან მატჩის წინ და მისმა გუნდმა 7-მატჩიანი უგოლო სერიაც შეწყვიტა. მეტიც, სტუმრებმა, ანგარიშიც თავად გახსნეს და მატჩის ბოლოს მეტი ყურადღება რომ გამოეჩინათ, შინ სამი ქულით ხელდამშვენებულნი გაბრუნდებოდნენ.

მაკედონიელებმა პენალტით გაქვითეს. მეორე ტაიმში კი მასპინძელთა შტურმმა შედეგი გამოიღო და კრსტევმა თავისიანები დააწინაურა. როგორც ჩანს, მაკედონიელებმა აქ საქმე მოთავებულად ჩათვალეს და დაისაჯნენ კიდეც. ჯერ ბარბუროსის გოლი მიიღეს, ორიოდ წუთში კი პოგრებანის კონტრშეტევა გამოეპარათ და მეკარესთან პირისპირ გასული თავდამსხმელის უნიათობითღა გადაურჩნენ დამარცხებას. „საშინელი დაცვა გვყავს“ — ესლა თქვა ნამატჩევს მაკედონიის ნაკრების მწვრთნელად ორი კვირის წინ დანიშნულმა გორან იოვანოვსკიმ.

**შვედეთი 2:0 სლოვაკეთი**

1:0, 2:0 ოლბოკი (45, 51)
შვედეთი: ჰედმანი, მელბერგი, პ. ანდერსონი, საარენპაა, ლუკიჩი, ლინდეროტი (ა. სვენსონი 90), ალექსანდერსონი (მ. იონსონი 73), მ. სვენსონი, ლიუნგბერგი, ოლბოკი (დ. ანდერსონი 88), ლარსონი
სლოვაკეთი: კონიგი, კარჰანი, ზურიკი, ტიმკო, ვარგა, დემო (ვიტეკი 58), ლაბანტი, ტომაშეკი, გრეშკო (ბაბნიკი 82), შ. ნემეტი (იანოჩკო 58), პინტე
მსაჯი: ხოსე მარია გარსია არანდა (ესპანეთი)
34 327 მაყურებელი

**შვედებს** ახალი ვარსკვლავი ჰყავთ — მარკუს ოლბოკი, ჰოლანდიური „ფეიენოორდიდან“ სამშობლოში გმირად შერაცხეს. ოლბოკი ბრწყინვალე იყო სლოვაკებთან მატჩში და ფაქტობრივად მარტომ გადაწყვიტა შეხვედრის ბედი. აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ ეს კაცი მარტში გამოჩნდა შვედეთის ნაკრებში და აქამდე მხოლოდ შეცვლაზე უწევდა თამაში. თუმც ასეთ მდგომარეობას ოლბოკისთვის არ შეუშლია ხელი და სწორედ მისი მალიმხევით გაიმარჯვეს შვედებმა მეხუთე ტურის მატჩში მოლდოვასთან. ოლბოკმა მაშინ დუბლი გააზერხა, ისევე როგორც შაბათის მატჩში. შვედთა თავკაცმა ტომი სოდერბერგმა მას სასტარტო შემადგენლობაში მიუჩინა ადგილი და არც შემცდარა — ოლბოკმა პირველი ტაიმის ბოლო წუთზე მიროსლავ კონიგს აუღებელი დაურტყა, მეორედ კი მეორე ტაიმის მეექვსე წუთზე გააზარა ქომაგი. „ძალიან ბედნიერი ვარ, ვგრძნობ, კარგ ფორმაში ვიმყოფები და ოთხშაბათს მოლდოვასთანაც ორი გოლის გატანას ვაპირებ“ — დაპირდა ოლბოკი შვედ ჟურნალისტებს.

**ბაატა ძვანტალიანი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თურქეთი | 6 | 4 | 2 | 0 | 10:3 | 14 |
| შვედეთი | 6 | 4 | 2 | 0 | 7:1 | 14 |
| სლოვაკეთი | 6 | 3 | 2 | 1 | 7:4 | 11 |
| მაკედონია | 6 | 1 | 2 | 3 | 6:7 | 5 |
| მოლდოვა | 6 | 0 | 3 | 3 | 2:7 | 3 |
| აზერბაიჯანი | 6 | 0 | 1 | 5 | 1:11 | 1 |

6 ივნისი: თურქეთი — მაკედონია; შვედეთი — მოლდოვა; აზერბაიჯანი — სლოვაკეთი

## მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
# ევროპა

VI ჯგუფი

# შაბათი იყო, ცხადი იყო

**ხორვატია 4:0 სან მარინო**

1:0 ვლაოვიჩი (3), 2:0 ბალაბანი (29), 3:0 შუკერი (54პ), 4:0 ვუგრინეცი (61)

**ხორვატია:** პლეტიკოშა, სარიჩი, იარნი, რ. კოვაჩი, ტუდორი, სიმიჩი, ვუგრინეცი (ვუჩკო 76), პროსინეჩკი, ვლაოვიჩი, ნ. კოვაჩი (აჯიჩი 64), ბალაბანი (შუკერი 46)

**სან მარინო:** ფ. გასპერონი, დელა ბალდა, მარანი, ბაჩოკი, მატეონი (მანძაროლი 26), ალბანი, დენარი, ძონძინი (რ. სელვა 76), ა. სელვა, ბ. გასპერონი (უგოლინი 86), ვანუჩი

მსაჯი: ოლეგ ტიმოფეევი (ესტონეთი)

15 000 მაყურებელი

**ვარაჟდინში** ხორვატებმა უპრობლემოდ მოიგეს. ჯუჯა სანმარინოელებმა შესარჩევში თავიანთი საქმე მაშინ მოილიეს, როცა ერთი თვის წინ რიგიდან ქულა წაილეს. აბა, სად ლატვია და სად ხორვატია. აღსანიშნავია ნაკრების ვეტერანების — გორან ვლაოვიჩისა და დავორ შუკერის ნაყოფიერი გარჯა, ორივემ თითო-თითო გაიტანა.

**ბელგია 3:1 ლატვია**

1:0 ვილმოტსი (2), 2:0 მპენზა (12), 3:0 ზემლინსკისი (50ს.კ.), 3:1 პახარსი (52)

**ბელგია:** დე ფლიგერი, კრასონი, ვალგაერენი, ვან მეირი, ვან დერ ჰეიდენი, სიმონსი, ვილმოტსი (ვერმანტი 84), გოორი (ბოფინი 69), ე. მპენზა (სონკი 79), ვალემი, ვერჰეინი

**ლატვია:** კოლინკო, სტეპანოვსი, ასტაფიევსი (შტოლცერსი 67), ზემლინსკისი, ლაიზანსი, ბლაგონადეჟდინსი (ზაკრეშევსკისი 69), ივანოვსი, ბლეიდელისი, პახარსი (მიხოლაპსი 72), რუბინსი, ისაკოვსი

მსაჯი: სტოიჩო დობრინოვი (ბულგარეთი)

30 000 მაყურებელი

**ბრიუსელის** „მეფე ბოდუინზე“ „წითელმა ეშმაკებმა“, როგორც ბელგიელებს ეძახიან, ლატვიელთა მწვრთნელად მეორედ მოსულ ალექსანდრ სტარკოვის ბიჭებს პატარა საფეხბურთო გაკვეთილი ჩაუტარეს და ინგლისურ „საუთჰემპტონში“ მოთამაშე მარიანს პახარსს გოლი მაშინღა გაატანინეს, როცა შეხვედრის ბედი უკვე გადაწყვეტილი გახლდათ.

რაც ლატვიის ნაკრების მწვრთნელის პოსტი ინგლისელმა გარი ჯონსონმა დატოვა, სტარკოვმა არც აცია, არც აცხელა და ნაკრებშიც ყველა უძლიერეს ლატვიელს უხმო, თუმცა რაც გამოუვიდა ოქმიდანაც ნათლად ჩანს.

ბელგიელები ხვალ სავარაუდოდ ლიდერობასაც განიმტკიცებენ რადგან უსუსტეს სან მარინოს ეთამაშებიან.

**გიორგი მუზაძიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბელგია | 5 | 3 | 2 | 0 | 19:4 | 11 |
| შოტლანდია | 5 | 3 | 2 | 0 | 10:3 | 11 |
| ხორვატია | 4 | 2 | 2 | 0 | 9:2 | 8 |
| ლატვია | 6 | 1 | 1 | 4 | 4:13 | 4 |
| სან მარინო | 6 | 0 | 1 | 5 | 2:22 | 1 |

6 ივნისი: ლატვია — ხორვატია; სან მარინო — ბელგია

VII ჯგუფი

# ჩვენი ჯიბგარი თქვენსას სჯობს

**ესპანეთი 4:1 ბოსნია**

1:0 იერო (26), 1:1 ბესლია (41), 2:1 ხავი მორენო (76), 3:1 რაული (89), 4:1 დიეგო ტრისტანი (90)

**ესპანეთი:** კანისარესი, მანუელ პაბლო, იერო, ნადალი, ხუანფრანი, მენდიეტა (მუნიტისი 58), ელგერა (ვალერონი 46), გვარდიოლა, ლუის ენრიკე (ხავი მორენო 75), რაული, დიეგო ტრისტანი

**ბოსნია:** პიპლიცა, ბესლია, ვარესანოვიჩი, პიბიჩი, ჰუჯუროვიჩი, მუსიჩი (მოტა 70), მუიჩინი, ბარბარესი, აკრაპოვიჩი, ბოლიჩი (დემიროვიჩი 81), ბალიჩი

მსაჯი: როი ოლსენი (ნორვეგია)

30 000 მაყურებელი

**ნამატჩევს** ხოსე ანტონიო კამაჩო შეგირდებისთვის ქათინაურებს არ იშურებდა. ესპანელებმა დიდი ანგარიშით მოიგეს და ჯგუფსაც სათავეში მოექცნენ.

ოვიედოს „კარლოს ტარტერეზე“ თამაში აპენინელთათვის ჩვეულ სწრაფ, ნერვიულ ტემპში დაიწყო, თუმცა ბოსნიელები მასპინძელთა იერიშებს მედგრად დაუხვდნენ. მეტიც, ელვირ ბოლიჩს, ჰუდუსოვიჩისა და აკრაპოვიჩის მცდელობამ, კარი დაელაშქრათ, ესპანელები ლამის დაამწუხრა. მაგრამ კლასმა თავისი გაიტანა, ესპანელთა შეტევებიც დალაგდა და იერომ ლოგიკური გოლი შეაგდო. მადრიდელმა ვეტერანმა მეკარე პიპლიცას შეცდომით იხეირა.

ბოსნიელები არც ამ გოლმა გატეხა. ტაიმის მიწურულს მათ ანგარიშიც გაათანაბრეს და მეორე ნახევრის დასაწყისში ვაჟკაცურად იბრძოდნენ.

თუმცა მატჩის მიწურულს უკვე აშკარა გახდა, რომ კამაჩოს ბიჭები ფიზიკურადაც და ტაქტიკურადაც უფრო მძლავრნი იყვნენ. იეროს გოლს მათ კიდევ სამი დაუმატეს. შეცვლაზე შესულმა მილანის გზაზე შემდგარმა, ხავი მორენომ, რაულმა და დიეგო ტრისტანმა თავის კაპიტანს მიბაძეს.

ხოსე ანტონიო კამაჩო გამარჯვებას ფიზიკურ სიძლიერეს და ჯიგრიან თამაშს მიაწერს: „მიუხედავად იმისა, რომ დამღლელი სეზონი ჰქონდათ, ბიჭებმა გაუძლეს, მატჩის ბოლოს არნახული ფიზიკური და სულიერი სიმტკიცე გამოავლინეს და მეტად საჭირო სამი ქულაც მოვიპოვეთ“.

ესპანელებმა ავსტრიელები ორი ქულით მოიტოვეს უკან, მაგრამ კამაჩო არხეინად ჯერ კიდევ ვერ არის: „მთავარი მატჩი წინაა. ისრაელთან მოგების შემთხვევაშიც კი გულს ვერ დავიმშვიდებთ. ყველაფერს ავსტრიელებთან დაპირისპირება გაარკვევს“.

ესპანელთა მოიგება არცაა გასაკვირი, პირენეელები შინ ძალიან იშვიათად აწბილებენ გულშემატკივარს. ისინი განსაკუთრებით მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევებში არიან ძლიერნი. 1934 წლიდან მათ ამ ტურნირის არც ერთი საშინაო მატჩი არ წაუგიათ: ოცდაჩვიდმეტ თამაშში ოცდათორმეტჯერ იმარჯვეს და მხოლოდ ხუთჯერ დასჯერდნენ ფრეს.

**გიორგი მამარდაშვილი**

**ლიხტენშტაინი 0:3 ისრაელი**

0:1 რევივო (2), 0:2 ტალი (6), 0:3 ნიმნი (17)

**ლიხტენშტაინი:** ჟელი, ოსპელტი, მარტინ შტოკლასა, რიტერი, ზეხი, მიხაელ შტოკლასა, ტ. ბეკი (გერსტერი 85), ბუხელი (მ. ბეკი 71), ჰასლერი (დელია 65), ტელსერი, გიგონი

**ისრაელი:** დავიდოვიჩი, ბენ დაიანი (ბადირი 65), ტალქარი, ბენადო, გერშონი, კეისი, ზეიტუნი, რევივო (მიზრახი 74), ნიმნი, ბერკოვიჩი (ბენაიონი 65), ტალი

მსაჯი: ლასინ ისაკსენი (ფარერები)

1 500 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 5 | 4 | 1 | 0 | 14:3 | 13 |
| ავსტრია | 5 | 3 | 2 | 0 | 7:3 | 11 |
| ისრაელი | 5 | 3 | 0 | 2 | 9:5 | 9 |
| ბოსნია | 5 | 1 | 1 | 3 | 7:10 | 4 |
| ლიხტენშტაინი | 6 | 0 | 0 | 6 | 0:16 | 0 |

6 ივნისი: ისრაელი — ესპანეთი

# დაცვას მიხედე, იერო!

**ესპანელთა** ეროვნულ გუნდს არაერთი დიდი თავდამსხმელი ახსოვს. ემილიო ბუტრაგენიოს, ალფრედო დი სტეფანოს, მიჩელის, ხულიო სალინასის, სარას, სანტილიანას შეტევები თავის დროზე მეტოქისთვის ნამდვილი რისხვა გახლდათ. მაგრამ შაბათს ოვიედოში ფერნანდო იერომ დაჰკრა და მცველი ესპანელთა საუკეთესო მეგოლეც შეიქნა. ბოსნიელთა კარში გატანით მან ოცდამეშვიდე სანაკრებო გოლი მიითვალა და ერთით აჯობა ემილიო ბუტრაგენიოს.

რეკორდსმენმა ნაკრების შემადგენლობაში სამოცდაცხრამეტი მატჩი ჩაატარა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ იერო წინა წლებში, როდესაც ჯანი ერჩოდა, მეტოქის კართან უფრო ახლოს, ნახევარდაცვაში ირჯებოდა. დრო გავიდა, იეროს ასაკი შეეპარა და ბოლო წლებია დაცვაში დაიხია.

ის დღეს ყველაზე შედეგიანია. მაგრამ ეს დღეს — რას მოუტანს ხვალინდელი დღე ბომბარდირ მცველს? მგონი მის პირველობას დიდი დღე არ უწერია. თავად ამბობს: „საუცხოო გრძნობა დამეუფლა, როდესაც ოცდამეშვიდე სარეკორდო ბურთი გავიტანე. თუმცა რეკორდები იმისთვისაა, რომ ვიღაცამ მოხსნას და გააუმჯობესოს. ვგრძნობ, რომ ჩემს რეკორდს ასეთი ბედი მალე ეწევა“.

გონიერი კაცი ჩანს ფერნანდო იერო. იცის, რომ მისი, როგორც მეგოლისა და ფეხბურთელის კარიერა, მალე დასრულდება. ნაკრებში კი ოცდასამი წლის ფეხმარდი, კარზე დაგეშილი ბიჭი რაული თამაშობს, რომელსაც უკვე ოცი სანაკრებო გოლიც გაუტანია.



ესპანეთი — ბოსნია. ფერნანდო იერო (№6) გოლს და რეკორდს ზეიმობს

IX ჯგუფი



ფინეთი — გერმანია. გატანით ვერა, მაგრამ სტუმართა ახალმა ვარსკვლავმა ჯერალდ ასამოამ (№7) მეკარე არნი ნიემს შავი დღე დააწია

# სასიამოვნო იმედგაცრუება

**ფინეთი 2:2 გერმანია**

1:0, 2:0 ფორსელი (28, 43), 2:1 ბალაკი (69პ), 2:2 იანკერი (72)

**ფინეთი:** ნიემი, პასანენი, ნილუნდი, ჰიიპია, ტიჰინენი, რიიჰილაჰტი (გრონლუნდი 79), ნურმელა (იოჰანსონი 72), რანტანენი, ფორსელი, ლიტმანენი, კოლკა (კუკი 84)

**გერმანია:** კანი, რემერი, ბოდე (ციგე 69), ლინკე, ნოვოტნი, რამელო, ასამოა, ბალაკი, იანკერი (ბირჰოფი 82), რიკენი, ნოიფილი (კლოზე 62)

მსაჯი: დიკ იოლი (ჰოლანდია)

35 774 მაყურებელი

**მატჩის** შემდეგ ფინელმა ფეხბურთელებმა ორმაგი გრძნობით დატოვეს მოედანი. ერთი მხრივ, მათ სიამაყის უფლება ჰქონდათ, გერმანიას ფრედ ეთამაშნენ და თამაშის ხარისხითაც თუ არ აჯობეს, არც არაფრით ჩამორჩნენ, მაგრამ შეუძლებელია, იმედგაცრუება არ დაგეუფლოს, როცა 2:0 იგებ და ოდენ ქულას დასჯერდები. თან ამით ფინელთა შანსი ჯგუფში მეორე ადგილზე გასვლისა მეტად შემცირდა.

ისევ და ისევ ოლივერ კანი — ბუნდესმეკარემ პირველ ტაიმში რამდენიმე ისეთი ბურთი აიღო, ბევრი ვერ შეძლებდა.

თუმცა რამდენჯერ უნდა იხსნას კანმა გუნდი, ცოტათი მცველებიც თუ არ წაეხმარებიან. გერმანიის კარში გატანილი ორივე გოლი სწორედ მცველთა შეცდომებს მოჰყვა, როცა მეტოქის თამაშგარეთ დატოვებას ცდილობდნენ. ოლივერ კანი უბრალოდ უძლური იყო, ჩელსელი მიკაელ ფორსელის დარტყმებისთვის რამე მოეხერხებინა.

დაიწყო მეორე ტაიმი და მინდორზე ბევრიც არაფერი შეცვლილა, ფინელები უტევდნენ და ჰელსინკის ოლიმპიურ სტადიონზე თავმოყრილი 36 ათასამდე ქომაგი სრულიად დარწმუნებული იყო საბოლოო გამარჯვებაში.

ეგებ ასეც ყოფილიყო, აკი რიილაჰტის მესამე რომ გაეტანა — გაუგებარია, როგორ მოახერხა აცილება, როცა დაუცველი კარის წინ მყოფი ურტყამდა.

და გერმანელები საბოლოოდ გამოფხიზლდნენ.

როგორ ფიქრობთ, რა ხდება, როცა მეტოქის საჯარიმოში ბაიერნელი ფეხბურთელი იქცევა და მატჩს ჰოლანდიელი დიკ იოლი მსაჯობს? ჩემპიონთა ლიგის ფინალს თუ გავიხსენებთ, უცილობლად პენალტი უნდა დაინიშნოს და დაინიშნა კიდეც. ჰანუ ტიჰინენმა კარსტენ იანკერი წააქცია, თერთმეტმეტრიანი კი მიხაელ ბალაკმა შეასრულა.

ამ გოლმა ფინელი ქომაგობა დაალონა, ხოლო სამიოდ წუთში მთლიანად გააოგნა — იანკერის უშორეს დარტყმას მეკარე ანტი ნიემი მოუმზადებელი შეხვდა.

დარჩენილ დროში ორმხრივი იერიშები გაჩაღდა. მასპინძელთაგან ისევ ფორსელმა გააწვალა გერმანელები, ხოლო ნიემიმ ახალი ვარსკვლავის, შავკანიანი გერმანელის, ჯერალდ ასამოას დარტყმებს გაუგო გემო.

მატჩის შემდეგ ფინელთა განწყობაზე რომ ვთქვით, იარი ლიტმანენის გამონათქვამით განვამტკიცოთ: „ფინური ფეხბურთი ნელ-ნელა საშიში ხდება მეტოქეთათვის და ამ მატჩშიც ბლომად კარგი მომენტები გვქონდა. თუმცა შიგადაშინ ისეთ შეცდომებსაც ვუშვებდით, არც ერთი მაღალი კლასის გუნდი რომ არ დაუშვებს“.

ფინელებს არბიტრთანაც ჰქონდათ პრეტენზია, პენალტი არ იყოო, მაგრამ მთლიანობაში შედეგს სამართლიანად მიიჩნევენ.

გერმანელთა თავკაცმა რუდი ფიოლერმა თავის მცველებს კბილი გაჰკრა, ყველაზე მეტად იენს ნოვოტნის თამაში დაიწუნა, ზედმეტად რისკავდაო, მაგრამ ძირითადად მაინც იმაზე ილაპარაკა, ჯგუფში პირველობას ვერავინ წაგვართმევსო.

**გიორგი დარჯანია**

**საბერძნეთი 1:0 ალბანეთი**

1:0 მახლასი (72)

**საბერძნეთი:** ნიკოპოლიდისი, უზუნიდისი, ვენეტიდისი, გუმასი, დაბიზასი, პაცაცოგლუ, გეორგიადისი (ბასინასი 86), ზაგორაკისი, ალექსანდრისი (არისტიასი 61), ლიბეროპულოსი (მახლასი 46), კარაგუნისი

**ალბანეთი:** სტრაკოშა, ლალა, ჩიპი, ჯუპზა, ფაკაი, პასი (შკელა 76), ბელაი, ბუკაზი, მურატი, ფ. ვატა, ტარე (ბოგდანი 71)

მსაჯი: ნიკოლაი ლევნიკოვი (რუსეთი)

13 500 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 5 | 4 | 1 | 0 | 11:5 | 13 |
| ინგლისი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 7 |
| საბერძნეთი | 5 | 2 | 0 | 3 | 4:8 | 6 |
| ფინეთი | 5 | 1 | 2 | 2 | 5:6 | 5 |
| ალბანეთი | 5 | 1 | 0 | 4 | 5:8 | 3 |

6 ივნისი: საბერძნეთი — ინგლისი; ალბანეთი — გერმანია

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

სამხრეთ ამერიკა

# გომესი ვნახე დაჭრილი

## ეწადა ბეჩავს ადგომა და ადგა კიდეც



არგენტინა — კოლუმბია. სტუმარმა მაურისიო სერნამ ხუან სებასტიან ვერონს ბურთი არ დაანება, მისმა გუნდმა კი სამი ქულა დათმო

XIII ტური

### პერუ 1:2 ეკვადორი

1:0 პიზარო (2), 1:1 მენდესი (12), 1:2 დელგადო (90)

**პერუ:** მირანდა, პაჯელო, რებოსიო, ოლივარესი (იგალდო 62), სოლანო, ხაიო, პალასიოსი, სიურლისა, მენდოსა (მუჩრიგო 74), კ. პიზარო, მაესტრი (რ. სილვა 46)

**ეკვადორი:** სებალიოსი, დე ლა კრუზი, ი. ურტადო, ესპინოზა, გუერონი, ობრეგონი (გუაგუა 71), ტენორიო, კაია (აგინაგა 86), ე. მენდესი, ა. დელგადო, კავიედესი (ფერნანდესი 81)

60 000 მაყურებელი

**მაისში** მავანი ბოროტმოქმედის ტყვიამ ეკვადორელთა მწვრთნელი ერნან დარიო გომესი საიქიოს ვერ გაისტუმრა. სამაგიეროდ, საქმეს ისეთი პირი უჩანს, თავად გომესი გაისტუმრებს ეკვადორის ნაკრებს კორეა — იაპონიაში მსოფლიოს ჩემპიონატზე.

მეორე წუთზე პერუელი კლაუდიო პისაროს გოლმა თითქოს წერტილი დაუსვა ეკვადორელთა გასაოცარ სვლას. გასაოცარს იმიტომ, რომ ეკვადორი არასდროს გასულა მსოფლიოს ჩემპიონატზე და ვენესუელასთან ერთად მუდამ მაჩანჩალად ითვლებოდა სამხრეთამერიკელთა შორის.

მაგრამ გუნდმა, რომელსაც მწვრთნელი დაუჭრეს, თამაშის წინ კაპიტანი ალექს აგინაგა დაემტვრა, ხოლო მეორე ტაიმში ედისონ მენდესი გაუძევეს, პერუელებს მაინც გამოგლიჯა გამარჯვება.

მატჩის დაწყებისთანავე გაშვებულმა გოლმა სტუმრები არ დააბნია. მათ გასათანაბრებლად ათი წუთი ეყოთ, რაც მოგვიანებით გაძევებულმა მენდესმა შეძლო.

სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ სახიფათო მომენტების სიმრავლით პერუელებმა დაჯაბნეს მეტოქე. ანდრეს მენდოსამ ხარიხას გაარტყა, ხუან პასუელოს თავური ედვინ ტენორიომ ზედ კარის ხაზიდან გამოიტანა, მაგრამ როდის იყო, გამარჯვებულს მომენტების სიმრავლით ავლენდნენ.

გამარჯვების გოლი კი აგუსტინ დელგადომ შეაგდო, რომელიც შეტევაში გართულ პერუელებს მიავიწყდათ, სამაგიეროდ, დე ლა კრუზმა შენიშნა, კარგი პასი გაუკეთა და მეკარესთან პირისპირ გასულმა დელგადომაც შინ სამი ქულა წაიღო. ეს გოლი 90-ე წუთზე გავიდა და მის ავტორს ბომბარდირობაში რომარიოს დაწევის საშუალება მისცა.

### არგენტინა 3:0 კოლუმბია

1:0 კილი გონსალესი (23), 2:0 კლაუდიო ლოპესი (35), 3:0 კრესპო (38)

**არგენტინა:** კავალიერო, ვივასი, რ. აიალა, პოჩეტინო, სიმეონე, ზანეტი, ვერონი (გალიარდო 84), სორინი, კილი გონსალესი, კრესპო (დელგადო 48), კლაუდიო ლოპესი (აიმარი 82)

**კოლუმბია:** ო. კორდობა, გ. მარტინესი, დინასი, იეპესი, ბედოია, სერნა, ვივეროსი (ჟ. გონსალესი 46), კასტილიო, რინკონი, პაბლო ანხელი (მურილიო 77), ასპრილია (მურილიო 77)

40 000 მაყურებელი

**არგენტინელებმა** დებიუტი ჩაუშწარეს კოლუმბიელთა მწვრთნელ ფრანსისკო მატურანას, დახმარების ხელი გაუწოდეს ბრაზილიას, თავისთვის კი მეათე გამარჯვება მიითვალეს.

თუმცა თავში მატურანას დებიუტი რომ ვახსენეთ, მთლად სწორი არაა. მატურანა იტალიისა და ამერიკის მსოფლიოს ჩემპიონატებზე წვრთნიდა კოლუმბიას და ახლახან მოხსნილი ლუის გარსიას ნაცვლად მეორედ უხმეს ნაკრებში. სხვათა შორის, მატურანა ის კაცია, რომლის თავკაცობითაც რვა წლის წინ კოლუმბიამ 5:0 მოუგო არგენტინას და თან ბუენოს აირესში.

კვირას, იმ საოცარი გამარჯვებიდან რვა წლის მერე, მატურანამ და მისმა ბიჭებმა გმირობის გამეორება ველარ შეძლეს. გმირები კი კილი გონსალესი, კლაუდიო ლოპესი და ერნან კრესპო გახდნენ, რომლებმაც მეტოქეს სამი უპასუხო გოლი გაუტანეს.

შესვენების შემდეგ, როცა კოლუმბიელებს თამაშის გადარჩენის იოტისოდენა იმედიც აღარ დარჩენოდათ, ისინი უკეთ ირჯებოდნენ, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, თითქოს მასპინძლებს რაიმე სერიოზული პრობლემები შეუქმნეს, მეორე ტაიმში, ისევე როგორც პირველში, კვლავაც ოსკარ კორდობას კართან იქმნებოდა სახიფათო მომენტები და თუ მასპინძლებმა მეტი გოლი ველარ გაიტანეს, ალბათ იმიტომ, რომ ძალიანაც არ მოუნდომებიათ, ტაბლოზე ისედაც სოლიდური ანგარიში იყო.

„სამწუხაროდ, ოთხეულში მოხვედრის შანსი მნიშვნელოვნად შეგვიმცირდა. სანუგეშოდ ისღა დაგვრჩა, რომ მსოფლიოს საუკეთესო გუნდთან დავმარცხდით“ — თქვა ოსკარ კორდობამ, რომელიც არგენტინულ „ბოკა ხუნიორსში“ თამაშობს.

თუმცა ვფიქრობთ, კოლუმბიელთათვის მთავარი ნუგეში ისაა, რომ სამხრეთამერიკელი მეხუთეადგილოსანი გადათამაშებაში ხვდება ოკეანეთის გუნდს და მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის მშვენიერ შანსს ინარჩუნებს. მეხუთეობის მთავარი პრეტენდენტი კი სწორედ კოლუმბიაა.

### პარაგვაი 1:0 ჩილე

1:0 პარედესი (90)

**პარაგვაი:** ჩილავერტი, არსე, სარაბია, ს. აიალა, კანისა, კინტანა (ამარილა 77), პარედესი, აკუნია, ალვარენგა, სანტა კრუზი (კუევასი 66), ბრისუელა (ხ. გონსალესი 46)

**ჩილე:** ს. ვარგასი, რეიესი, ხ. ვარგასი, კონტრერასი, პოცო, ოსორიო, ვილასეკა, პერესი (ვალენსუელა 78), ტელო, მონტესინოსი, ნავია (ნეირა 63)

45 000 მაყურებელი

**პარაგვაელებს** ტურნირის საშინაო მატჩებში აქამდე ქულა არ დაუკარგავთ და ამ სარეკორდო სერიის შეწყვეტისგან კარლოს პარედესის ბოლო წამზე გატანილმა გოლმა იხსნა. ამ გოლის შემდეგ, რომელმაც პარაგვაელებს ჯგუფში მეორე ადგილი შეუნარჩუნა, თამაში აღარც განახლებულა, მსაჯმა ეგრევე საფინალო ჩასტვინა.

მატჩის დასასრული ასე დრამატული არ იქნებოდა, იქამდე ხოსე ლუის ჩილავერტს რომ ეყოჩაღა, მაგრამ პენალტების უბადლო შემსრულებელმა პარაგვაელმა მეკარემ დარტყმა გააფუჭა — მისმა ჩილელმა კოლეგა სერჯო ვარგასმა ბურთი ფეხით მოიგერია.

მთლიანობაში კი მატჩი მეტად ულიმღამო გამოდგა და მაყურებელს ამ ორი მომენტის გარდა უხეშობით დაამახსოვრდა. პირველ ტაიმში პარაგვაელი მცველი ვიქტორ კინტანა იმის წყალობით გადაურჩა გაძევებას, რომ მსაჯი სხვა მხარეს იყურებოდა, არადა, მეტოქეს ისე ჩასცხო, ნაღდად გასაგდები იყო. თუმცა მასპინძლებმა წითელი ბარათი მაინც მიიღეს. თამაშის დასრულებამდე ათი წუთით ადრე სელსო აიალამ ჩილელს სახეში მუშტი უთავაზა.

ჩილელები კი, რომლებმაც ნაკრებიდან ივან სამორანის წასვლის შემდეგ პირველი მატჩი ჩაატარეს, ბოლო ადგილზე იმიტომ არ არიან, რომ იქ მათზე წყალწაღებული ვენესუელა იმყოფება.

### ბოლივია 5:0 ვენესუელა

1:0 ბალდივიესო (33), 2:0 ბოტერო (36), 3:0 ხუსტინიანო (39), 4:0 ბოტერო (52), 5:0 ბალდივიესო (69)

**ბოლივია:** არიასი, რალდესი, ხ. პენა, ხ. გარსია, რიბეირო (რ. როხასი 85), ხუსტინიანო, ბალდივიესო (დ. პენა 90), კასტილიო, კოლკე, პასი (კარდენასი 73), ბოტერო

**ვენესუელა:** სანჩეს, ვალენილა, რეი, რ. მეა ვიტალი, ე. მარტინესი, ვერა, მ. მეა ვიტალი, არანგო (კასერესი 67), ე. გონსალესი (ალვარადო 54), პაესი (ხიმენესი 42), რონდონი

20 000 მაყურებელი

**ყველასგან** დაბრიყვებული ვენესუელის გაბითურება არც ბოლივიელებმა დაიზარეს და შავი დღე აყარეს. ამით რა შეიცვალა? ფაქტობრივად, არაფერი. მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის იმედი არც ბოლივიას აქვს და ვენესუელას ხომ საერთოდ.

თუმცა მასპინძლებმა ერთი სარგებელი მაინც ნახეს — ცხრილში პერუსა და ჩილეს გადაუსწრეს და მათთვის ესეც დიდი პატივია.

**გიორგი დარჯანია**

### ურუგვაი — ბრაზილია

*ბრაზილიელთა კონფედერაციათა თასზე მონაწილეობის გამო მატჩი გაიმართება 1 ივლისს*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 13 | 10 | 2 | 1 | 33:11 | 32 |
| პარაგვაი | 13 | 8 | 2 | 3 | 21:11 | 26 |
| ეკვადორი | 13 | 8 | 1 | 4 | 17:16 | 25 |
| ბრაზილია | 12 | 6 | 3 | 3 | 22:11 | 21 |
| კოლუმბია | 13 | 5 | 4 | 4 | 12:12 | 19 |
| ურუგვაი | 12 | 5 | 3 | 4 | 13:8 | 18 |
| ბოლივია | 13 | 3 | 4 | 6 | 13:19 | 13 |
| პერუ | 13 | 3 | 3 | 7 | 12:17 | 12 |
| ჩილე | 13 | 3 | 1 | 9 | 12:18 | 10 |
| ვენესუელა | 13 | 1 | 1 | 11 | 8:40 | 4 |

*საუკეთესო 4 გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურს მოიპოვებს, მეხუთეადგილოსანი კი პლეიოფში ოკეანეთის წარმომადგენელს შეხვდება*

#### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| რომარიო (ბრაზილია) | 8 |
| აუგუსტინ დელგადო (ეკვადორი) | 8 |
| ერნან კრესპო (არგენტინა) | 8 |
| რივალდო (ბრაზილია) | 5 |
| გაბრიელ ბატისტუტა (არგენტინა) | 4 |
| ივან სამორანო (ჩილე) | 4 |
| ხუან სებასტიან ვერონი (არგენტინა) | 4 |
| ხოსე კარდოზო (პარაგვაი) | 4 |

## ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

UNDER-21 Championship

### I ჯგუფი

სლოვენია — ლუქსემბურგი 1:0; რუსეთი — იუგოსლავია 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 4 | 2 | 2 | 0 | 12:4 | 8 |
| იუგოსლავია | 5 | 2 | 2 | 1 | 10:8 | 8 |
| სლოვენია | 5 | 2 | 2 | 1 | 7:3 | 8 |
| რუსეთი | 5 | 2 | 2 | 1 | 7:5 | 8 |
| ლუქსემბურგი | 5 | 0 | 0 | 5 | 1:17 | 0 |

*5 ივნისი: შვეიცარია — სლოვენია*
*6 ივნისი: ლუქსემბურგი — რუსეთი*

### II ჯგუფი

ესტონეთი — ჰოლანდია 0:5; ირლანდია — პორტუგალია 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 5 | 4 | 1 | 0 | 11:3 | 13 |
| ჰოლანდია | 6 | 4 | 1 | 1 | 13:6 | 13 |
| ირლანდია | 5 | 2 | 0 | 3 | 3:6 | 6 |
| კვიპროსი | 4 | 1 | 0 | 3 | 5:7 | 3 |
| ესტონეთი | 4 | 0 | 0 | 4 | 2:12 | 0 |

*5 ივნისი: ესტონეთი — ირლანდია; პორტუგალია — კვიპროსი*

### III ჯგუფი

ჩრდ. ირლანდია — ბულგარეთი 1:1; ისლანდია — მალტა 3:0; დანია — ჩეხეთი 3:4

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 6 | 5 | 0 | 1 | 12:5 | 15 |
| ბულგარეთი | 6 | 4 | 2 | 0 | 9:3 | 14 |
| ჩრდ. ირლანდია | 6 | 2 | 1 | 3 | 9:10 | 7 |
| დანია | 6 | 1 | 3 | 2 | 8:9 | 6 |
| ისლანდია | 6 | 1 | 2 | 3 | 7:9 | 5 |
| მალტა | 6 | 0 | 2 | 4 | 1:10 | 2 |

*5 ივნისი: ჩეხეთი — ჩრდ. ირლანდია; დანია — მალტა; ისლანდია — ბულგარეთი*

### IV ჯგუფი

შვედეთი — სლოვაკეთი 4:0; თურქეთი — აზერბაიჯანი 3:0; მაკედონია — მოლდოვა 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 6 | 4 | 2 | 0 | 14:1 | 14 |
| სლოვაკეთი | 6 | 4 | 1 | 1 | 12:5 | 13 |
| თურქეთი | 6 | 4 | 1 | 1 | 10:3 | 13 |
| მოლდოვა | 6 | 1 | 1 | 4 | 3:8 | 4 |
| აზერბაიჯანი | 6 | 1 | 1 | 4 | 3:16 | 4 |
| მაკედონია | 6 | 1 | 0 | 5 | 4:13 | 3 |

*5 ივნისი: აზერბაიჯანი — სლოვაკეთი; შვედეთი — მოლდოვა; თურქეთი — მაკედონია*

### V ჯგუფი

სომხეთი — ბელარუსი 1:0; უელსი — პოლონეთი 0:4; უკრაინა — ნორვეგია 1:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბელარუსი | 6 | 4 | 0 | 2 | 14:3 | 12 |
| ნორვეგია | 6 | 4 | 0 | 2 | 14:6 | 12 |
| პოლონეთი | 6 | 3 | 2 | 1 | 11:9 | 11 |
| უკრაინა | 6 | 3 | 1 | 2 | 10:9 | 10 |
| სომხეთი | 6 | 2 | 1 | 3 | 5:13 | 7 |
| უელსი | 6 | 0 | 0 | 6 | 2:16 | 0 |

*5 ივნისი: სომხეთი — პოლონეთი; ნორვეგია — ბელარუსი; უკრაინა — უელსი*

### VI ჯგუფი

ბელგია — ლატვია 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბელგია | 4 | 4 | 0 | 0 | 8:1 | 12 |
| ხორვატია | 3 | 2 | 0 | 1 | 6:4 | 6 |
| შოტლანდია | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | 3 |
| ლატვია | 4 | 0 | 0 | 4 | 2:10 | 0 |

*5 ივნისი: ლატვია — ხორვატია*

### VII ჯგუფი

ესპანეთი — ბოსნია 5:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 6 | 4 | 2 | 0 | 12:6 | 14 |
| ესპანეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 10:4 | 10 |
| ისრაელი | 5 | 2 | 0 | 3 | 7:9 | 6 |
| ავსტრია | 5 | 1 | 2 | 2 | 4:6 | 5 |
| ბოსნია | 5 | 0 | 1 | 4 | 2:10 | 1 |

*5 ივნისი: ისრაელი — ესპანეთი*

### VIII ჯგუფი

#### რუმინეთი 1:0 უნგრეთი

1:0 სანმარტიანი (81)

**რუმინეთი:** დოლია, ბალანი (პარაკივი 64), რატდინზა, მარინკაუ, მაფტეი, დანჩია (იაკობი 68), პატრასკუ, სანმარტიანი, დრაგანი, ჩერნატი (პეტრე 78), ნიაგა

სათადარიგონი: სტანჩა; დიკა, კროიტორუ, ვ. მუნტიანუ

მწვრთნელი: ნიკულაე მანია

**უნგრეთი:** ტაკაჩი, დიებეში, კოროლოვსკი, ტაბოში, ბალზატი (მაინალი 61), ზ. ბოდნარი (ფელეში 75), ჰალმოში (ბუღაკი 36), შიმეკი, საბიჩი, გერა, ლ. ბოდნარი

სათადარიგონი: ბალოგი; ტერიეკი, ა. ტოტი, უდვარი

მწვრთნელი: იმრე გელეი

გაფრთხილება: ზ. ბოდნარი, გერა, დიებეში, პეტრე

მსაჯი: ასიმ ხუდიევი (აზერბაიჯანი)

2 010 მაყურებელი

#### საქართველო 0:2 იტალია

0:1 კორენტი (34), 0:2 მაკარონე (41)

**საქართველო:** ხმელიძე, საჯაია, ხიზანეიშვილი, კაკაშვილი, ჯ. მუჯირი, გველესიანი, კვარაცხელია (ასათიანი 46), დილმელაშვილი, კორძალიძე (ბურდული 73), ლ. გვაზავა (იმედაძე 29), ლ. მელქაძე

სათადარიგონი: ლომაია; ახალაია, დევაძე, ლ. ნოზაძე

მწვრთნელი: ვახტანგ კოპალეიშვილი

**იტალია:** პელიცოლი, ბონერა, კასტელინი, ფერარი, გამბერინი (ლუკინი 66), კორენტი, მარკიონი (კამბედელი 77), კოლუჩი (ვიკარი 54), მაკარონე, ბრიგი, იაკინტა

სათადარიგონი: ჯ. როსი; მორეტი, ოლივი, კალაიო

მწვრთნელი: კლაუდიო ჯენტილე

გაფრთხილება: დილმელაშვილი, მარკიონი, კოლუჩი, საჯაია, კორენტი, იაკინტა

მსაჯი: პაულუ კოშტა (პორტუგალია)

8 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 6 | 5 | 1 | 0 | 11:3 | 16 |
| რუმინეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 8:2 | 10 |
| უნგრეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:5 | 6 |
| ლიტვა | 5 | 1 | 0 | 4 | 3:10 | 3 |
| საქართველო | 4 | 0 | 0 | 4 | 3:10 | 0 |

*5 ივნისი: უნგრეთი — საქართველო; ლიტვა — რუმინეთი*

### IX ჯგუფი

ფინეთი — გერმანია 1:3; საბერძნეთი — ალბანეთი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 5 | 3 | 1 | 1 | 14:5 | 10 |
| საბერძნეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 7:3 | 10 |
| ინგლისი | 4 | 2 | 2 | 0 | 8:3 | 8 |
| ფინეთი | 5 | 1 | 1 | 3 | 7:12 | 4 |
| ალბანეთი | 5 | 0 | 1 | 4 | 0:13 | 1 |

*5 ივნისი: ალბანეთი — გერმანია; საბერძნეთი — ინგლისი*

## პოლონეთი

გადადებული მატჩი: გურნიკი — ამიცა 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 28 | 17 | 5 | 6 | 61:26 | 56 |
| ლეგია | 28 | 14 | 8 | 6 | 42:24 | 50 |
| პოგონი | 28 | 15 | 5 | 8 | 39:29 | 50 |
| პოლონია | 28 | 12 | 7 | 9 | 33:25 | 43 |
| ზაგლებე | 28 | 13 | 4 | 11 | 41:36 | 43 |
| ამიცა | 28 | 12 | 5 | 11 | 44:40 | 41 |
| კატოვიცე | 28 | 9 | 13 | 6 | 27:21 | 40 |
| რუხი | 28 | 11 | 5 | 12 | 43:43 | 38 |
| გროცლინი | 28 | 9 | 10 | 9 | 31:32 | 37 |
| ვიძევი | 28 | 9 | 7 | 12 | 33:40 | 34 |
| სტომილი | 28 | 10 | 4 | 14 | 22:38 | 34 |
| ოდრა | 28 | 8 | 9 | 11 | 35:44 | 33 |
| შლიონსკი | 28 | 8 | 8 | 12 | 30:37 | 32 |
| რაძიონკოვი | 28 | 9 | 4 | 15 | 24:42 | 31 |
| გურნიკი | 28 | 8 | 6 | 14 | 26:34 | 30 |
| პლოცკი | 28 | 8 | 4 | 16 | 30:50 | 28 |

### ლიგის თასის ფინალი

II მატჩი

#### ვისლა 1:2 ზაგლები (3:0)

0:1 ოსიპოვიჩი (39), 1:1 ფრანკოვსკი (47), 1:2 კრიჟანოვსკი (52)

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

## ოკეანეთი

### II ჯგუფი

I ტური

ტაიტი 6:1 ვანუატუ; სოლომონის კ-ები 9:1 კუკის კ-ები

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოლომ. კ-ები | 1 | 1 | 0 | 0 | 9:1 | 3 |
| ტაიტი | 1 | 1 | 0 | 0 | 6:1 | 3 |
| ვანუატუ | 1 | 0 | 0 | 1 | 1:6 | 0 |
| კუკის კ-ები | 1 | 0 | 0 | 1 | 1:9 | 0 |
| ახალი ზელანდია | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |

*6 ივნისი: ტაიტი — ახალი ზელანდია; კუკის კ-ები — ვანუატუ*

იყიდება როტვეილერის ლეკვები

☎ 39 42 65
(საღამოს, 19⁰⁰-21⁰⁰)

# კონფედერაციათა თასი

## A ჯგუფი. III ტური

### საფრანგეთი 4:0 მექსიკა

1:0 ვილტორდი (8), 2:0 კარიერი (62), 3:0 პირესი (71), 4:0 კარიერი (83)
საფრანგეთი: ლანდრო, სანიოლი, დესაი, სილვესტრი, ლიზარაზუ, ვიეირა, პირესი (დაკური 84), კარიერი, მარლე (რობერი 64), ანელკა, ვილტორდი (ჟორკაეფი 77)
მწვრთნელი: როჟე ლემერი
მექსიკა: ო. სანჩესი, სუარესი, დუილიო, პარდო, ვალდესი, რანგელი, აბუნდისი, ვიქტორინო (ს. როდრიგესი 75), მ. რუისი (რეიესი 63), დე ნიგრისი (ბორგეტი 46), ვ. რუისი
მწვრთნელი: მანუელ ლაპუენტე
მსაჯი: ალი მოჰამედ ბუჯსაიმი (საამიროები)
28 864 მაყურებელი

### სამხრეთ კორეა 1:0 ავსტრალია

1:0 სუნგ ჰვანგი (25)
სამხრეთ კორეა: ვოონ ლი, ჩონგ სონგი, მინ ლი, მიუნგ ჰონგი, ტაე კიმი, სუნგ ჩოი, იუნგ ლი, ჯი პარკი, კი სეოლი, სუნგ ჰვანგი, დო კიმი (იონგ ჩოი 63)
მწვრთნელი: გუს ჰიდინკი
ავსტრალია: შვარცერი, მუსკატი, მური, შ. მერფი, ტ. ვიდმარი, ბრეშიანო, ოკონი (ა. ვიდმარი 80), ფოსტერი (ზდრილიჩი 46), ემერტონი, ზანე, კორიკა (ჩიპერფილდი 46)
მწვრთნელი: ფრენკ ფარინა
გაძევება: ზანე (85)
მსაჯი: ოსკარ რუის აკოსტა (კოლუმბია)
42 754 მაყურებელი

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 9:1 | 6 |
| ავსტრალია | 3 | 2 | 0 | 1 | 3:1 | 6 |
| სამხრეთ კორეა | 3 | 2 | 0 | 1 | 3:6 | 6 |
| მექსიკა | 3 | 0 | 0 | 3 | 1:8 | 0 |

## B ჯგუფი. II ტური

### ბრაზილია 0:0 კანადა

ბრაზილია: დიდა, ზე მარია, ლუსიო, ედმილსონი, ლეო, ლეომარი, ფაბიო, რამონი (ალვეში 64), ანდერსონი (ლეანდრო 22), კარლოს მიგელი (რობერტი 70), ვაშინგტონი
მწვრთნელი: ემერსონ ლეაო
კანადა: ფორესტი, უოტსონი (ფლეტჩერი 69), მენეზესი, დევოსი, ბენტი, სტალტერი, დასოვიჩი, ქასუშა (კორაცინი 46), ბრენანი, პეშისოლიდო (დეროსარიო 84), მაკკენა
მწვრთნელი: ჰოლგერ ოსიეკი
მსაჯი: ლუ იუნი (ჩინეთი)
12 095 მაყურებელი

### იაპონია 2:0 კამერუნი

1:0, 2:0 სუძუკი (8, 65)
იაპონია: კავაგუჩი, მაცუდა, მორიოკა, ინამოტო, ჰ. ნაკატა (მორიშიმა 61), ნიშიზავა (ნაკაიამა 73), კ. ნაკატა, მიოინი, ტოდა, ონო (ჰატორი 85), სუძუკი
მწვრთნელი: ფილიპ ტრუსიე
კამერუნი: ალიუმი, ვომე (ჩატო 76), სონგი, კალა, ნჯანკა, ჯერემი (ეპალე 50), ეტოო, მბომა, ანლუნდი, ფოე, ოლემბე (ჟობი 50)
მწვრთნელი: პიერ ლეშანტრე
მსაჯი: ბენიტო ტელიესი (ესპანეთი)
39 430 მაყურებელი

## III ტური

### იაპონია 0:0 ბრაზილია

იაპონია: ტსუძუკი, უემარა, მაცუდა, ჰატორი, ჰატო, ჰ. ნაკატა, იტო, მიოინი, ონო (კ. ნაკატა 46), იამასიტა (ნაკაიამა 60), სუძუკი (მორიშიმა 46)
მწვრთნელი: ფილიპ ტრუსიე
ბრაზილია: დიდა, ზე მარია, ლუსიო, ედმილსონი, ლეო, ლეომარი, ფაბიო, რამონი (ბატისტა 61), ლეანდრო, კარლოს მიგელი (რობერტი 73), ვაშინგტონი (ალვეში 78)
მწვრთნელი: ემერსონ ლეაო
მსაჯი: კიმ მილტონ ნილსენი (დანია)
37 470 მაყურებელი

### კამერუნი 2:0 კანადა

1:0 ჩუტანგი (48), 2:0 მბომა (83პ)
კამერუნი: სონგო, სონგი, კალა, ნჯანკა, ჩუტანგი (მბომა 71), ჯერემი, ეპალე (ეტოო 75), ალნუდი, ფოე (ვომე 71), ნდიეფი, ოლემბე
მწვრთნელი: პიერ ლეშანტრე
კანადა: ფორესტი, მენეზესი, დევოსი, ბენტი, სტალტერი, დასოვიჩი, კორაცინი (პეშისოლიდო 76), ბრენანი, ფლეტჩერი, ამპოფი, კუჩი (დეროსარიო 46)
მწვრთნელი: ჰოლგერ ოსიეკი
მსაჯი: ბირონ ალდემარ მორენო რუელესი (ეკვადორი)
15 882 მაყურებელი

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იაპონია | 3 | 2 | 1 | 0 | 5:0 | 7 |
| ბრაზილია | 3 | 1 | 2 | 0 | 2:0 | 5 |
| კამერუნი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | 3 |
| კანადა | 3 | 0 | 1 | 2 | 0:5 | 1 |

### 1/2 ფინალი. 7 ივნისი

**იაპონია — ავსტრალია**
**საფრანგეთი — ბრაზილია**

*მატჩი მესამე ადგილისთვის გაიმართება 9 ივნისს, ფინალი — 10 ივნისს*

**კონფედერაციათა** თასის გათამაშების ჯგუფური ეტაპიც გასრულდა. მასპინძელთა წყვილიდან ერთ-ერთი, სამხრეთ კორეა, შეჯიბრს გამოეთიშა. გული წყდება მათ მწვრთნელს, ჰოლანდიელ გუს ჰიდინკს და საკუთარ წარუმატებლობაში ფრანგ კოლეგას, როჟე ლემერს ადანაშაულებს. სამხრეთკორეელები პირველივე მატჩში დიდი ანგარიშით დამარცხდნენ მსოფლიოს ჩემპიონებთან. ამის შემდეგ მათ თასის მფლობელი მექსიკელები და ავსტრალიელები დაჯაბნეს, მაგრამ მაინც ნახევარფინალის მიღმა დარჩნენ. ცხადია, გაწბილებულია ჰიდინკი: „ლემერმა ავსტრალიელებს, რომლებსაც ფრანგები სათადარიგო შემადგენლობით დაუპირისპირდნენ, გამარჯვების შანსი მისცა, ჩვენ კი უძლიერესით ბლომად გაგვიტანა. ამიტომაც ბურთების უარესი შეფარდებით გათამაშებას გამოვეთიშეთ."

თვით სამხრეთკორეელთა და ავსტრალიელთა მატჩი მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა. თუმცა საგოლე მომენტები ორივე კართან უხვად იყო. ავსტრალიელები დამარცხდნენ, მაგრამ მაინც კმაყოფილნი არიან. ამას მათი კარის დარაჯი მარკ შვარცერიც აღნიშნავს: „მართალია, წავაგეთ, მაგრამ მაინც გამარჯვებულები ვართ. მიუხედავად მარცხისა, ნახევარფინალში ვითამაშებთ."

მატჩის ერთადერთი ბურთი სუნ ჰონგ ჰვანგმა გაიტანა. თამაშში განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, თუ არ ჩავთვლით გაწევ-გამოწევას, როდესაც ავსტრალიელმა ზდრილიჩიმ მეკარე ვონ იაე ლიზე გაიწია. არეულობაში ყველაზე აქტიურად ფრანგებისთვის გოლის გამტანი ზანე ჩაერთო და წითელი ბარათითაც დაისაჯა.

ამავე ჯგუფში მესამედ დამარცხდა მექსიკის ნაკრები. მსოფლიო ჩემპიონმა ფრანგებმა მას ოთხი უპასუხო ბურთი გაუტანეს. დუბლი გააზერხა ერიკ კარიერმა, რომელმაც მხოლოდ მეორედ მოირგო ეროვნული გუნდის მაისურა. სილვენ ვილტორდმა და რობერ პირესმა თითოჯერ იზეირეს. შეიძლება ითქვას, რომ ფრანგებმა გასაცოდავებულ მექსიკელებს ოთხი გოლი აკმარეს.

B ჯგუფშიც ყველაფერი გაირკვა. გულშემატკივარს სასიამოვნოდ აოცებს იაპონიის ნაკრების თამაში. ამომავალი მზის კუნძულელებმა შაბათს კამერუნელებს სძლიეს. ორივე ბურთი მასპინძელთა თავდამსხმელმა ტაკაუიკი სუზუკიმ შეაგდო. პირველმა გაშვებულმა ბურთმა აფრიკის ჩემპიონები გამოაცოცხლა, მათმა შეტევებმა სახიფათო ხასიათიც მიიღო, მაგრამ იაპონელთა კარის დარაჯი, კაპიტანი კავაგუჩი კარში საიმედოდ იდგა. პატრიკ მბომა და სამუელ ეტო ძალიან ახლოს იყვნენ მიზანთან. მეორე ნახევარში სუზუკიმ ერთხელაც ივარგა და მატჩის საბოლოო ანგარიშიც დაფიქსირდა. თავდამსხმელმა ორჯერ დაამწუხრა აფრიკელები, არადა, სუზუკის ნაკრებში თამაში ფრანგ მწვრთნელ ფილიპ ტრუსიეს სათუოდ მიაჩნდა. ის დიდი ხნის უთამაშებელი გახლდათ და ნაკრებშიც რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელის ტრავმის გამო მოხვდა.

ასევე წარმატებული შეიძლება ვუწოდოთ იაპონელების ფრეს მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონ ბრაზილიელებთან. თუმცა შეიძლება ითქვას, რომ იაპონელებს მეტიც შეეძლოთ. ტეტრაკამპეონები კი იმდენად უსახურად გამოიყურებოდნენ, რომ მათ ტიტულებზე საუბარი და ამგვარი სახელით მოხსენიება ცოტათი უხერხულიც კია. ბრაზილიელებმა შაბათს კანადასთან მატჩიც ფრედ დაასრულეს. შეხვედრა იმდენად არაფრისმთქმელი იყო, რომ მასზე არც ღირს შეჩერება. მწვრთნელმა ემერსონ ლეაომ თავი იმართლა, კანადელთა დაცვა გაუვალი იყოო, მაგრამ იაპონელებმა ხომ სამი ბურთი გაუტანეს?

ამავე ჯგუფში კამერუნმა ორშაბათს როგორც იქნა, გამარჯვება იზეიმა, მათ კანადელები დატოვეს სირცხვილნაჭამი, რომლებმაც ტურნირზე მხოლოდ ერთი ქულა გარხერხეს.

**გიორგი მამარდაშვილი**


REUTERS

კამერუნი — კანადა. ორივე აუტში

# იტალია

## სერია B. XXXVII ტური

### კალიარი 1:1 ტერნანა

1:0 სუაზო (40), 1:1 ადეშინა (75)

### კიევო 2:0 სალერნიტანა

1:0 დი ჩეზარე (71), 2:0 დანა (87)

### კროტონე 2:0 პესკარა

1:0, 2:0 დეფლორიო (15, 65)

### ემპოლი 3:1 ანკონა

0:1 სკაფოლენი (25), 1:1 კრიბარი (45), 2:1 მაკარონე (60), 3:1 დი ნატალე (72)

### პისტოიეზე 1:1 პიაჩენცა

0:1 მიკელი (4), 1:1 როკო (16)

### რავენა 0:3 ვენეცია

0:1 მაინი (9), 0:2 ვალტოლინა (75), 0:3 მანიერო (87პ)

### სამპდორია 4:2 მონცა

1:0 პოსანცინი (14), 2:0 ლუიზო (22), 2:1 განჩი (28), 3:1 ფლაკი (56), 3:2 დეგანო (74), 4:2 კაზალე (84)

### ტორინო 2:1 კოზენცა

1:0 მასპერო (55), 2:0 პერალტა (77), 2:1 პიზანო (81)

### ტრევიზო 2:2 ჯენოა

0:1 ფრანჩიოზო (41), 1:1 მინოტი (50), 2:1 ონოლადე (85), 2:2 კარბარელი (90)

### ჩიტადელა — სიენა

მატჩი 0:1-ზე ჩაიშალა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორინო | 37 | 21 | 7 | 9 | 46:33 | 70 |
| პიაჩენცა | 37 | 20 | 9 | 8 | 47:25 | 69 |
| კიევო | 37 | 19 | 12 | 6 | 53:33 | 69 |
| ვენეცია | 37 | 19 | 11 | 7 | 60:41 | 68 |
| სამპდორია | 37 | 16 | 15 | 6 | 58:36 | 63 |
| ემპოლი | 37 | 18 | 9 | 10 | 50:41 | 63 |
| ტერნანა | 37 | 16 | 13 | 8 | 59:38 | 61 |
| კოზენცა | 37 | 16 | 9 | 12 | 46:45 | 57 |
| კროტონე | 37 | 15 | 7 | 15 | 47:53 | 52 |
| კალიარი | 37 | 12 | 14 | 11 | 53:43 | 50 |
| ანკონა | 37 | 14 | 8 | 15 | 55:57 | 50 |
| სიენა | 36 | 10 | 15 | 11 | 37:42 | 45 |
| ჯენოა | 37 | 9 | 17 | 11 | 42:39 | 44 |
| სალერნიტანა | 37 | 11 | 10 | 16 | 37:40 | 43 |
| ჩიტადელა | 36 | 10 | 13 | 13 | 39:51 | 43 |
| პისტოიეზე | 37 | 10 | 11 | 16 | 45:48 | 41 |
| *ტრევიზო* | *37* | *8* | *11* | *18* | *39:55* | *35* |
| *მონცა* | *37* | *8* | *4* | *25* | *38:76* | *28* |
| *რავენა* | *37* | *4* | *13* | *20* | *32:61* | *25* |
| *პესკარა* | *37* | *3* | *12* | *22* | *28:54* | *21* |

## სერია C1/A

### პლეი ოფი

საპასუხო მატჩები

**კომო 0:0 სპეცია (1:0)**
**ლივორნო 2:0 არეცო (3:1)**

*ფინალში 10-17 ივნისს, „კომო" და „ლივორნო" ითამაშებენ, გამარჯვებული სერია B-ში ალზევდება*

### პლეი აუტი

საპასუხო მატჩები

**კარარეზე 0:0 ბრეშელო (2:2)**
**ალძანო 0:0 რეჯანა (1:2)**

*„ბრეშელო" და „ალძანო" გავარდნენ სერია C2-ში*

## სერია C1/B

### პლეი ოფი

საპასუხო მატჩები

**მესინა 2:1 ასკოლი (0:1)**
**კატანია 2:0 აველინო (0:1)**

*ფინალში 10-17 ივნისს, „მესინა" და „კატანია" ითამაშებენ, გამარჯვებული სერია B-ში ალზევდება*

### პლეი აუტი

საპასუხო მატჩები

**ლოდიჯანი 2:0 ატლ. კატანია (4:3)**
**ნოჩერინა 1:1 ვიტერბეზე (0:1)**

*„ატლეტიკო კატანია" და „ნოჩერინა" გავარდნენ სერია C2-ში*

# უნგრეთი

## მეორე ეტაპი

მე-19 ტურის მატჩი: ტატაბანია — დუნაფერი 2:5

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფერენცვაროში | 18 | 9 | 7 | 2 | 29:12 | 38 |
| დუნაფერი | 19 | 10 | 2 | 7 | 32:32 | 37 |
| ვაშაში | 18 | 8 | 6 | 4 | 33:26 | 34 |
| უიპეშტი | 18 | 8 | 4 | 6 | 31:30 | 33 |
| მტკ | 18 | 7 | 5 | 6 | 23:15 | 32 |
| ჰონვედი | 18 | 9 | 4 | 5 | 31:24 | 32 |
| დიორ ეტო | 18 | 8 | 5 | 5 | 25:24 | 31 |
| ვიდეოტონი | 18 | 8 | 2 | 8 | 27:23 | 28 |
| შოპრონი | 18 | 5 | 6 | 7 | 19:21 | 24 |
| ზალაეგერსეგი | 18 | 5 | 7 | 6 | 23:24 | 23 |
| დებრეცენი | 18 | 5 | 2 | 11 | 27:39 | 20 |
| *ტატაბანია* | *19* | *1* | *2* | *16* | *16:46* | *11* |

*მეორე ეტაპზე ქულები განახევრებულია*

# ესპანეთი

## II დივიზიონი. XL ტური

### ლევანტე 3:2 ბეტისი

1:0 ლიმა (11), 2:0 ფაბაო (20ს.კ.), 3:0 მიგელ ანხელი (76), 3:1 კუელიარი (89), 3:2 ამატო (90)

### ხეტაფე 1:2 ფეროლი

1:0 მაიკელი (47), 1:1 აირა (60პ), 1:2 პასოლო (65)

### ლეგანესი 4:0 კორდობა

1:0 პუნიალი (1), 2:0 ბარბარინი (27), 3:0 მურინო (74), 4:0 პუნიალი (90)

### სპორტინგი 1:0 ბადახოსი

1:0 ლედიახოვი (53)

### მურსია 1:0 ეიბარი

1:0 კარერო (55)

### სალამანკა 1:2 ესტრემადურა

0:1 ლოლო (55), 1:1 ტოედტლი (72), 1:2 პედრო ხოსე (80)

### ლეიდა 4:2 უნივერსიდადი

1:0 ხოსემი (5), 2:0 რენალდო (26), 2:1 ოხედა (39), 2:2 ჟონათანი (51), 3:2 რენალდო (65), 4:2 ნილი (86)

### ალბასეტე 0:1 ატლეტიკო

0:1 ტორესი (80)

### უელვა 2:0 კომპოსტელა

1:0 ხისკო (76პ), 2:0 ბოდიპო (90)

### ხაენი 3:1 ელჩე

0:1 ნანო (19), 1:1 ხურადო (52), 2:1 რუედა (65), 3:1 სიერა (88)

### სევილია 1:0 ტენერიფე

1:0 პოდესტა (46)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სევილია | 40 | 22 | 10 | 8 | 63:37 | 76 |
| ბეტისი | 40 | 19 | 12 | 9 | 46:32 | 69 |
| ტენერიფე | 40 | 19 | 11 | 10 | 54:30 | 68 |
| ატლეტიკო | 40 | 19 | 11 | 10 | 57:39 | 68 |
| უელვა | 40 | 15 | 20 | 5 | 44:26 | 65 |
| ალბასეტე | 40 | 17 | 12 | 11 | 40:36 | 63 |
| სპორტინგი | 40 | 17 | 11 | 12 | 53:46 | 62 |
| ხაენი | 40 | 15 | 13 | 12 | 37:38 | 58 |
| ლევანტე | 40 | 12 | 20 | 8 | 55:48 | 56 |
| სალამანკა | 40 | 16 | 8 | 16 | 47:45 | 56 |
| ესტრემადურა | 40 | 16 | 8 | 16 | 39:43 | 56 |
| კორდობა | 40 | 14 | 13 | 13 | 37:37 | 55 |
| ეიბარი | 40 | 11 | 17 | 12 | 28:27 | 50 |
| ბადახოსი | 40 | 10 | 20 | 10 | 31:34 | 50 |
| მურსია | 40 | 12 | 13 | 15 | 51:52 | 49 |
| ლეგანესი | 40 | 9 | 20 | 11 | 44:38 | 47 |
| ფეროლი | 40 | 11 | 13 | 16 | 43:48 | 46 |
| კომპოსტელა | 40 | 11 | 10 | 19 | 39:53 | 43 |
| ელჩე | 40 | 9 | 15 | 16 | 42:54 | 42 |
| *ხეტაფე* | *40* | *8* | *10* | *22* | *40:62* | *34* |
| *უნივერსიდადი* | *40* | *6* | *15* | *19* | *29:60* | *33* |
| *ლეიდა* | *40* | *5* | *12* | *23* | *36:60* | *27* |

# ჰოლანდია

## გადადებული მატჩები

### გრააფსხაპი 1:1 ბრედა

0:1 სტიუარტი (23), 1:1 პრომესი (60)

### სიტარდი 4:1 ტილბურგი

1:0 ვან ბარნეველდი (1), 1:1 სესაი (2), 2:1 გერიტსენი (40), 3:1 ვოლმერი (61), პეერინგი (72)

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 34 | 25 | 8 | 1 | 73:23 | 83 |
| ფეიენოორდი | 34 | 21 | 3 | 10 | 67:37 | 66 |
| აიაქსი | 34 | 18 | 7 | 9 | 85:43 | 61 |
| როდა | 34 | 17 | 8 | 9 | 59:41 | 59 |
| უტრეხტი | 34 | 17 | 8 | 9 | 58:43 | 59 |
| ვიტესი | 34 | 16 | 11 | 7 | 56:43 | 59 |
| ვალვაიკი | 34 | 16 | 11 | 7 | 48:36 | 59 |
| ტილბურგი | 34 | 14 | 9 | 11 | 60:50 | 51 |
| ბრედა | 34 | 13 | 10 | 11 | 41:40 | 49 |
| ჰერენვენი | 34 | 11 | 14 | 9 | 51:42 | 47 |
| ტვენტე | 34 | 10 | 11 | 13 | 47:60 | 41 |
| ნაიმეგენი | 34 | 9 | 13 | 12 | 42:53 | 40 |
| ალკმარი | 34 | 9 | 8 | 17 | 45:63 | 35 |
| გრონინგენი | 34 | 8 | 9 | 17 | 36:56 | 33 |
| გრააფსხაპი | 34 | 9 | 4 | 21 | 44:66 | 31 |
| სიტარდი | 34 | 8 | 7 | 19 | 31:64 | 31 |
| სპარტა | 34 | 6 | 7 | 21 | 42:72 | 25 |
| *როზენდალი* | *34* | *4* | *2* | *28* | *37:90* | *14* |

## პლეი ოფი

### A ჯგუფი. I ტური

ტელსტარი (II) — ვოლენდამი (II) 2:1; ზვოლე (II) — სიტარდი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტელსტარი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| სიტარდი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ზვოლე | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ვოლენდამი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |

*გამარჯვებული 2001-2002 წლების სეზონში ითამაშებს ჰოლანდიის I დივიზიონში*

### B ჯგუფი. II ტური

კამბური (II) — სპარტა 2:1; გოუ ეჰედ იგლზი (II) — ექსელსიორი (II) 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 |
| კამბური | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| ექსელსიორი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| გოუ ეჰედ იგლზი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |

*გამარჯვებული 2001-2002 წლების სეზონში ითამაშებს ჰოლანდიის I დივიზიონში*

ევროპის 2003 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირი. 3 ივნისი. თბილისი. სპორტის სასახლე

# საქართველო 91:75 ბულგარეთი

18:16, 29:14, 24:19, 20:26

მსაჯები: იგორ ლებედევი (რუსეთი), თოლგა შაჰინი (თურქეთი); კომისარი: ევგენი ტრეგუბოვი (უკრაინა)

საქართველო: ჟღენტი (2), გოგობერიშვილი (10), ბოისა (18), ნაცვლიშვილი (25), ფაჩულია (20); კოკოლიშვილი (6), ცქიტიშვილი (5), უგრეხელიძე (4), თორთლაძე (1), ბერძენიშვილი

ბულგარეთი: რავუცოვი (11), მინჩევი (16), სტოიკოვი (5), ნატოვი (6), პეტროვი (4); მლადენოვი (15), დიმიტროვი (8), ანგელოვი (5), კოეშინოვი (5), ბანევი

# გამოღვიძება

## ფაჩულიასთვის შეწუხება ნაღდად ღირს

ირაკლი ფირაშვილი

„ეს არაა ჩვენი მაქსიმუმი, გაცილებით მეტი შეგვიძლია" — თქვა შეხვედრის შემდეგ საქართველოს ნაკრების 17 წლის ცენტრმა ზაზა ფაჩულიამ. მატჩის დამთავრებისას ტაბლოზე ასახულ ანგარიშში 16-ქულიანი სხვაობა იქნებ ცოტაა იმასთან შედარებით, რაც შეიძლება ყოფილიყო, თუმც მაინც ალბათ უფრო მეტია, რასაც მატჩამდე ველოდით. ვითვალისწინებთ 1999 წელს შვეიცარიაში და 2000 წელს დანიაში ჩვენი ნაკრების არცთუ სახარბიელო გამოსვლას, ხოლო 1997 წელს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპში განცდილ სრულ კრახს და უფლებას ვითხოვთ, 3 ივნისს ბულგარეთთან გამარჯვებას წინ „დიდი" მივუწეროთ.

სპორტის სასახლეს არაერთი გაცილებით ღონიერი საკალათბურთო ქვეყნის ნაკრებისთვის უმასპინძლია, ვიდრე ბულგარეთია, თუმც ნურც ის დაგვავიწყდება, რომ იტალიის, თურქეთისა და საბერძნეთის სტუმრობა წარსული ამბავია. მიძინებულმა სანაკრებო კალათბურთმაც სწორედ 2001 წლის 3 ივნისს გაიღვიძა და ომახიანი სიტყვაც თქვა. ეს გახლდათ ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი შეხვედრა იმ ექვსიდან, რომელთა გამართვაც მოუწევს საქართველოს ნაკრებს ევროპის 2003 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის C ჯგუფში. ჩვენი უმთავრესი მეტოქე სწორედ ბულგარეთია და მას დამაჯერებლად მოვუგეთ. და ნუ გავკიცხავთ ჩვენს ბიჭებს იმისთვის, რომ „მხოლოდ" 16 ქულით გაიმარჯვეს, მაშინ, როდესაც სხვაობა შეიძლებოდა ორი ამდენი ყოფილიყო.

3 ივნისის გამარჯვებასთან ერთად გაჩნდა რწმენა, რომ ამ ბოლო წლებში ჩვენი დაჩოქილი ნაკრები მესამე ცდაზე მაინც გაივლის საკვალიფიკაციო ეტაპს და შესარჩევ რაუნდში კვლავ შევებმებით იტალიას, თურქეთს, საბერძნეთს... დავრწმუნდით, რომ ჩვენი ადგილი უფრო მაღლაა, ვიდრე ევროპის საკალათბურთო იერარქიული კიბის ბოლო საფეხური, გვყავს რიგიანი ნაკრები და შესანიშნავი ბიჭები, რომლებითაც შეგვიძლია ვიამაყოთ და მათთან ერთად შორს მიმავალი გეგმები დავსახოთ. აი, ყველაფერი ეს მოგვცა არცთუ ძლიერ ბულგარეთთან ერთი შეხედვით რიგითმა მატჩმა.

ეს არ გახლდათ ნაკრების მაქსიმუმი. ამასვე ამბობენ გუნდის მწვრთნელ-მოთამაშეები. ამის მიზეზი ნაწილობრივ ნაკრების რამდენიმე წევრის გამოუცდელობაცაა. დავით უგრეხელიძეს, ზაზა ფაჩულიასა და ნიკოლოზ ცქიტიშვილს ეროვნული გუნდის მაისურით პირველად უწევდათ სპორტის სასახლეში, ქართველი გულშემატკივრის თვალწინ სამშობლოს ღირსების დაცვა. ისინი ცოტათი ღელავდნენ და ის, რაც ჩვენზე ძლიერ საკალათბურთო ქვეყნებში ისწავლეს, იქნებ სრულად ვერ გვაჩვენეს, მაგრამ რაც მთავარია, ქართული კალათბურთის ქომაგთ იმ ბიჭების საქმეში ნახვის საშუალება მოგვეცა, რომელთა შესახებაც არცთუ მცირე გვსმენია. მათში ერთი შეხედვითაც შეინიშნება დიდი პოტენციალი.

შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვა თურქული გრანდის, „ულქერის" 17 წლის ცენტრმა ზაზა ფაჩულიამ, რომლის თბილისში თამაში თავდაპირველად სათუოც გახლდათ. თურქებს სულაც არ უნდოდათ მისი გამოშვება, თუმც ქართული კალათბურთის მესვეურებმა ყველა ღონე იხმარეს, ზაზა რომ ჩამოსულიყო. საბოლოოდ ფაჩულიამ სავსებით გაანაღდა მასზე გაცემული ავანსი და ბულგარელთა ძლევაში ლომის წილი დაიდო. მან ოც ქულასთან ერთად რვა ბურთი მოხსნა (ნახევარი მეტოქის ფარზე) და ამასთან, ექვსჯერაც დაუფარა ბულგარელებს, რაც ვლადიმერ სტეფანიას მიერ ბოსნიასთან დამყარებული რეკორდის გამეორებაა.

ურიგო შთაბეჭდილება არც ჩვენს სტუმრებს დაუტოვებიათ. ჩვენ, ცხადია, შორს ვართ იმ აზრისგან, რომ ბულგარეთი თუნდაც საშუალო ევროპულ გუნდად ჩავთვალოთ, მაგრამ ბალკანელებმა ჩვენს ბიჭებს ბლომად ოფლი კი აღვრევინეს. ჩვენი მეტოქე გახლდათ საკმაოდ გაწონასწორებული გუნდი, რომელიც პოტენციალითა და გაქანებით აშკარად ჩამოუვარდებოდა მასპინძლებს, თუმცა ამის ანაზღაურებას კარგი ზონური დაცვით ცდილობდა და შეძლებისდაგვარად სარგებლობდა მეტოქის სუსტი წერტილებით. მასპინძლები საკმაო უპირატესობას ფლობდნენ სიმაღლეში და ეს კარგადაც გამოიყენეს. მხოლოდ არა პირველ მეოთხედში.

ანგარიში საქართველოს რუსთაველმა მსროლელმა რამაზ გოგობერიშვილმა გახსნა, მას შემდეგ, რაც სტუმართა საჯარიმოში რამდენიმე მეტოქეს შორის შეიჭრა და სამიოდ მეტრიდან ჩაუგდო ბალკანელებს. გოგობერიშვილმა ამას სამქულიანიც მიაყოლა და საქართველო 5:0 დაწინაურდა. სტუმრები დროულად მოეგნენ გონს და წუთნახევრის შემდეგ მათმა გამთამაშებელმა ივაილო რავუცოვმა ლამაზ გარღვევაში 6:6 გაათანაბრა, რის შემდეგაც თამაში თითქმის ქულა-ქულაში გაგრძელდა. ბულგარელი მეფარეები სიმაღლეში ჩვენს ბიჭებს ჩამოუვარდებოდნენ, თუმც ეს მათ ნაკლებად უშლიდა ხელს, ფარქვეშიდან ქულები ეგროვებინათ. მეოთხედის შუაწელს სტუმართა გამოცდილმა თავდამსხმელმა სპას ნატოვმა 10:8 წინ გაიყვანა თავისიანები. ჩვენებმა დროულად მიაქციეს ამას ყურადღება და ნატოვს მკაცრი მეურვეობა დაუწესეს. დარჩენილ დროში ბულგარელს თამაშიდან ბურთი აღარ ჩაუგდია და პერსონალურებიც სწრაფად დააგროვა. მასპინძლებმა მაინც იმარჯვეს საწყის თორმეტწუთეულში. უგრეხელიძემ ფაჩულიას აცილებულს დაამატა და მეოთხედი ჩვენს სასარგებლოდ 18:16 დასრულდა.

მოვლენათა ამგვარი განვითარება ბალკანელთა წისქვილზე უფრო ასხამდა წყალს და მასპინძლებისგან ცვლილებების განხორციელებას მოითხოვდა. მათ ეს შესანიშნავად შეძლეს. მეორე მეოთხედის დასაწყისშივე ერთ შეტევაში სამი ქულა მიითვალა ვახტანგ ნაცვლიშვილმა. ფაჩულიამ ჯერ ნატოვს დაუფარა, შემდეგ კი უგრეხელიძის აცილებული მოხსნა და ჩააგდო, ამას კოკოლიშვილმა სამქულიანი მიაყოლა, ნაცვლიშვილმა კი თავისივე აცილებულს დაამატა და მასპინძლებმა მეოთხედის საწყისი ორნახევარი წუთი 10:0 მოიგეს. ქართველებმა შეძლეს ფარქვეშ მოპოვებული უპირატესობის შენარჩუნება: ნაცვლიშვილმა მეორე მეოთხედში ცხრა ქულა მიითვალა, ფაჩულიამ — ათი, საქართველომ ეს თორმეტწუთეული 29:14 მოიგო და დიდ შესვენებაზე 17-ქულიანი უპირატესობით წავიდა.

ჩვენი მეფარეები შემდეგაც მძლავრობდნენ, თუმც არც პერიმეტრზე ამოსვლას უარობდნენ. ნაცვლიშვილმა სამქულიანი ჩააგდო, ვლადიმერ ბოისამ მოხდენილ გარღვევას ასევე სამიანი მიაყოლა და მესამე მეოთხედის შუაწელს ოცდაექვსი ქულით დავწინაურდით. 60:34 — ეს იყო ქართველთა მაქსიმალური უპირატესობა თამაშში და ეს საქართველოს მოგებასაც ნიშნავდა. და აქ წინასწარ მოპოვებულმა გამარჯვებამ ქართველებს დაავიწყა, რომ საჭიროა მატჩის რაც შეიძლება დიდი სხვაობით დასრულება და მათ თავს მოდუნების უფლება მისცეს.

ბულგარეთმა მეოთხედის დარჩენილ დროში ამ 26 ქულას ოთხი მოაკლო. ბოლო თორმეტწუთეულის პირველივე წამებიდან კი ხელები დაიკაპიწა და დაარხეინებულ მასპინძლებს ნაბიჯ-ნაბიჯ მიუახლოვდა. რიგიანად ათამაშდა ბულგარული უკანა ხაზი, ლუბომირ მინჩევმა ორი სამქულიანი ჩააგდო, სხვებმაც აუწყეს ფეხი და სამ წუთში სხვაობა 13 ქულამდე შემცირდა. კიდევ წუთნახევრის შემდეგ უკვე 11 ქულითღა ვიგებდით და ვინ იცის, მერე რა მოხდებოდა. ნუგზარ კოკოლიშვილის სამქულიანმა სულზე მოგვისწრო და შეხვედრა თანაბარ ბრძოლაში გაგრძელდა, სხვაობა 12-17 ქულას შორის მერყეობდა. ბოლო წუთებზე ნაცვლიშვილმა ულამაზესი რამ გააკეთა, რისიც კობი ბრაიანტსა და ვინს კარტერსაც კი შეშურდებოდათ — გოგობერიშვილის აცილებული სამქულიანი ვატომ ჰაერშივე დაიჭირა და ჩატენა, თუმც ბურთი არ ჩაითვალა, რადგან, მსაჯის აზრით, ნაცვლიშვილმა ფრენისას მინჩევს ყბაში ხელი გაჰკრა. ხოლო ბოლო ქულები არჩილ ჟღენტმა მიითვალა წყვილი საჯარიმოებით.

მაშ ასე — საქართველოს ნაკრებმა შესარჩევი ეტაპი მთავარი კონკურენტის ძლევით დაიწყო და დიდი ნაბიჯი გადადგა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო რაუნდისკენ. ჩვენი მომდევნო მეტოქე ბელარუსი გახლავთ, რომელსაც 6 ივნისს ვუმასპინძლებთ. ამჯერად გაცილებით ძლიერ მეტოქესთან გვექნება საქმე და მის დამარცხებას გაცილებით მეტი ოფლისღვრა და ნერვებისწყვეტა დასჭირდება. 6 ივნისს გამარჯვება ბევრ რამეს მოჰფენს ნათელს. ისე, რატომ არ უნდა მოვიგოთ?



ზაზა ფაჩულიამ ფარს არავინ გააკარა



დავით ბერძენიშვილმა (მარცხნივ) და ვლადიმერ ბოისამ სპას ნატოვს გასაქანი არ მისცეს



ქართველთა კაპიტანი ვახტანგ ნაცვლიშვილი პეტარ პეტროვს გაექცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მატჩის შემდეგ

***ზურაბ ტომარაძე, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი:***

— დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველა მოთამაშეს. მათ ვაჟკაცურად იბრძოლეს და გამარჯვებისთვის ყველაფერი გააკეთეს. არავის გამოყოფა არ მსურს. ამ წარმატებაში ყველას მიუძღვის თავისი წვლილი. სამწუხაროა, რომ ოცდაექვსქულიანი უპირატესობა ვერ შევინარჩუნეთ და მეტოქეს ანგარიშის გაქვითვის საშუალება მივეცით. ძალიან გაგვიჭირდა ზონური დაცვის წინააღმდეგ თამაში. ბულგარეთმა ამ მხრივ გვაჯობა. მოწინააღმდეგეს საკმაოდ ბევრი ბურთის ჩაგდების შესაძლებლობა მივეცით. მომავალი მატჩისთვის სწორედ ამის გამოსწორებაზე ვიმუშავებთ. დაცვაში საკმაო რეზერვი გაგვაჩნია. ჩვენს ნაკრებში ბევრი ახალგაზრდაა. მათ გამოცდილება აკლიათ, ზოგიერთი მათგანი საერთოდ პირველად თამაშობდა სპორტის სასახლეში. მაგრამ ყველაფერ ამას დრო გამოასწორებს. ისინი თამაშიდან თამაშამდე მოუმატებენ და ვფიქრობ, ნაკრების პროგრესი გარდაუვალია.

***ვახტანგ ნაცვლიშვილი, საქართველოს ნაკრების კაპიტანი:***

— ძალიან ლამაზი თამაში იყო. ყველა კომპონენტში დავჯაბნეთ მეტოქე. მხოლოდ ერთი, რაზეც გული მწყდება, ის არის, რომ ბულგარელებს საკმაოდ სოლიდური უპირატესობის გაქვითვის საშუალება მივეცით. გაცილებით დამაჯერებლად შეგვეძლო მოგვეგო, მაგრამ არა უშავს, მომავალ მატჩში ვეცდებით, ახლა დაშვებული შეცდომები გამოვასწოროთ. ჩვენს ნაკრებში ბევრი ახალგაზრდა თამაშობს, რომლებსაც გამოცდილება აკლიათ, პოტენციალი კი დიდი აქვთ. ვფიქრობ, ამას უახლოეს მომავალში მოევლება და ისინი თავიანთ სიტყვას აუცილებლად იტყვიან.

***ზაზა ფაჩულია:***

— საქართველოს ნაკრებისთვის ეს პირველი მატჩი იყო ამ ტურნირში და თავიდან ცოტათი ვნერვიულობდით. მიუხედავად გამარჯვებისა, ჩვენი თამაშით კმაყოფილი არ ვარ. ვთვლი, რომ შეგვეძლო გაცილებით უკეთ გვეთამაშა და მეტოქე უფრო დიდი ანგარიშით დაგვემარცხებინა. მაგრამ, რაც მთავარია, მოვიგეთ და ეს უკვე წარსულია. ახლა ჩვენი მთავარი ამოცანა ბელარუსთან შეხვედრისთვის მომზადებაა. ეს გაცილებით მაღალი დონის ნაკრებია, ვიდრე ბულგარეთი. ამის მიუხედავად, თუ ამ თამაშში დაშვებულ მცირე შეცდომებს გამოვასწორებთ, დარწმუნებული ვარ, შევძლებთ მათ დამარცხებას. მთავარი ერთსულოვნება და მონდომებაა, თორემ შეუძლებელი არაფერია.

***ვლადიმერ ბოისა:***

— ჩვენი გუნდით კმაყოფილი ვარ. თითქმის ყველა ეპიზოდში ვაჯობეთ ბულგარელებს. ერთადერთი ნაკლი, რაც ჩვენს ნაკრებს ჰქონდა, მოწინააღმდეგის ზონური დაცვის წინააღმდეგ არაეფექტური თამაშია. მათი დაცვა ნამდვილად სანაქებოა, ამიტომ შედეგიანი გარღვევის შესრულება დიდ სირთულეს წარმოადგენდა. პირადად მე პირველად მომიხდა თამაში ნაკრებთან, რომელსაც ასეთი ძლიერი ზონური დაცვა ჰყავს. თუმცა სხვა ყველაფერში ერთი თავით მაღლა ვიდექით და სამართლიანადაც გავიმარჯვეთ. მომდევნო შეხვედრაში ბელარუსთან გაცილებით გაგვიჭირდება, მაგრამ მოგებისთვის ყველაფერი უნდა გავაკეთოთ.

***რამაზ გოგობერიშვილი:***

— დასანანია, მეტოქის ოცდაექვსი ქულით ვამარცხებდით და საბოლოოდ თექვსმეტით მოვიგეთ. ამის მიზეზი ის იყო, რომ ამ ეტაპზე პირველ მატჩს ვატარებდით და ცხადია, ვღელავდით. მაგრამ, როგორც გამოჩნდა, სანერვიულო არაფერია. ჩვენს ნაკრებს დიდი პოტენციალი გააჩნია. კარგი ახალგაზრდები გვყავს და ეს მომავლის იმედს გვისახავს.

***ივან ცენოვი, ბულგარეთის ნაკრების მწვრთნელი:***

— ჩვენთვის მოულოდნელი არ ყოფილა თქვენი ნაკრების ასეთ მაღალ დონეზე თამაში. ვიცოდით, რომ ბევრი საკმაოდ კარგი კალათბურთელი გყავდათ, განსაკუთრებით ახალგაზრდები. სიმაღლეში უპირატესობა თქვენი გუნდის მხარეზე იყო. განსაკუთრებით გამოირჩეოდა თქვენი მერვე ნომერი, ზაზა ფაჩულია, რომელმაც ბევრი პრობლემა შეგვიქმნა. ის ძალიან ახალგაზრდაა, ჯერ ყველაფერი წინა აქვს და ვფიქრობ, მომავალში მისი სახით მაღალი დონის მოთამაშე გეყოლებათ.

ჩვენს გუნდს ასე ცუდად კარგა ხანია, არ უთამაშია. თუმცა ყველაფერს გამოვასწორებთ და საპასუხო მატჩსაც გაცილებით უკეთ ჩავატარებთ. ბულგარეთში აუცილებლად უნდა გავიმარჯვოთ, თანაც ქულათა საკმაო მარაგით.

**ირაკლი ბერტაია**

## ევროპის 2003 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირი

2 ივნისი. გომელი

**ბელარუსი 126:50 აზერბაიჯანი**

**ბელარუსი: შარკო (3), პინტიკოვი (15), ბოიდაკოვი (31), მეშჩერიაკოვი (14), ალექსეევი (5); კორშუკი (22), კლემზი (13), ვასილევკო (8), კული (7), ულიანკო (3)**

**აზერბაიჯანი: ჰაჯიმეტოვი (5), იუსუფოვი (9), სარიევი (9), ჰუსეინოვი (2), ბახშიევი (10); ნიფთალიევი (9), ისკენდეროვი (4), ჰამიდ-ზადე (2), ფაშაევი**

თუკი ბელარუსულ გაზეთ „პრესბოლს" ვენდობით, ბელარუსის ნაკრებმა ივარჯიშა, ხოლო სპარინგ-პარტნიორად უმდაბლესი დონის გუნდი ჰყავდა. ალბათ ასეცაა, დავხედოთ ანგარიშს და „პრესბოლის" შეფასება გადაჭარბებულად არ მოგვეჩვენება. თანაც ბელარუსის ნაკრებმა ამ შეხვედრაში ერთბაშად სამი გუნდური რეკორდი მოხსნა: ყველაზე მეტი ბურთი ჩააგდო, ყველაზე ნაკლები ბურთი გაუშვა და ყველაზე დიდი სხვაობით მოიგო.

ბელარუსებს, რომელთაც 6 ივნისს საქართველოს ნაკრებთან შესახვედრად თბილისში ველით, პრობლემები ჰქონდათ, ოღონდ არა მატჩისას, არამედ მის დაწყებამდე. გუნდის ლიდერი, სტამბოლის „გალათასარაის" ცენტრი ალექსანდრ კული გომელში (შეხვედრა იქაურ სპორტის სასახლეში გაიმართა) მატჩის დილას ჩავიდა, ხოლო პაველ ულიანკო — ნაშუადღევს. რუსეთის ჩემპიონატში მოასპარეზე ირკუტსკის „შახტიორის" მწვრთნელმა, ტომით ბელარუსმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ივან ედეშკომ ნაკრებში არ გაუშვა იგორ კუზმინი და კაპიტანი ანდრეი კრივონოსი, აქაოდა, მეხუთე ადგილისთვის თამაში გვაქვს და რა დროს ეროვნული გუნდიაო. სხვათა შორის, კუზმინი და კრივონოსი არც თბილისში იქნებიან.

მიუხედავად ამისა, ბელარუსმა ისე მოიგო, ხეირიანად ოფლიც არ მოუდენია. მე-6 წუთზე ანგარიში 19:2 იყო და რომ არა აუცილებელი რეგლამენტი, მატჩის დამთავრება აქვე შეიძლებოდა. აზერბაიჯანელთაგან ერთადერთმა კალათბურთელმა მოახერხა თავის მონაგარის ორნიშნა რიცხვით გამოსახვა — ტაირ ბახშიევმა 10 ქულა გააკეთა.


**სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ**

*დღეს, 12 საათზე, თბილისის სპორტის სასახლეში, საქართველო — ბელარუსის მატჩთან დაკავშირებით პრესკონფერენციას გამართავენ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის და ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელები*


NBA. კონფერენციების ფინალი (ოთხ მოგებამდე)

# მთვრალი აივერსონი შაკილის ძვლებს დაემუქრა

| | |
|---|---|
| ფილადელფია | 4 |
| მილუოკი | 3 |

1 ივნისი

**მილუოკი 110:100 ფილადელფია**

**მილუოკი: ალენი (41), რობინსონი (22), ტომასი (13), ვილიამსი (12)**

**ფილადელფია: აივერსონი (46), მაკი (12), მუტომბო (10 ქულა, 14 მოხსნა)**

აღმოსავლეთის საუკეთესო და ფინალისტი გუნდის გამოვლენა ორი დღით გადაიდო. მილუოკელმა „ხარირმებმა" არ ისურვეს საკუთარ კედლებში, ათასობით ქომაგის თვალწინ დამარცხება, ყველაფერი მოიმოქმედეს გასამარჯვებლად და ალალადაც მოიგეს.

„ხარირმებს" მშველელად მათი წინამძღოლი რეი ალენი და ნბა-ს ფინალში თამაშის სურვილი მოევლინათ, მათაც პირველივე წუთებიდან მტკიცედ შეუტიეს აღმოსავლეთის საუკეთესო გუნდს და უკვე საწყისი მეოთხედის შემდეგ 25:15, ტაიმთა გასაყარზე კი 60:31 იგებდნენ. რეი ალენმა პირველ ნახევარში 25 ქულა მიითვალა, რაც ოდენ ექვსით ჩამორჩება, სრულიად ფილადელფიელთა მონაგარს.

მესამე მეოთხედის დასაწყისში „ბაქსმა" 29 ქულიან უპირატესობას ოთხიც წაუმატა და თავი ქუდში იგრძნო. „ფილადელფიამ" კი ხავსი დაინახა და მთელი ძალით ჩაებღაუჭა მას. მეოთხე მეოთხედში სტუმართა ჭინკა ლიდერმა ალენ აივერსონმა როგორც იქნა, იპოვა საკუთარი თამაში და ასტრონომიული სისწრაფით იწყო ქულების დაგროვება. აივერსონმა მეოთხედის საწყის ხუთ წუთში 21 ქულა (!) დააგროვა (სულ მეოთხედში 26) და ისევ რეი ალენს რომ არ ეყოჩაღა, იქნებ სენსაციაც გამომცხვარიყო და „სიქსერზს" 33-ქულიან ჩამორჩენის მიუხედავად, მოეგო. იმ მატჩში სულ ცხრა სამქულიანის ჩამგდებმა და პლეი ოფის ყველა დროის რეკორდის გამმეორებელმა ალენმა ბოლო წუთებში ორჯერ იყოჩაღა შორი მანძილიდან და სტუმრებს იმედი გადაუწურა.

3 ივნისი

**ფილადელფია 108:91 მილუოკი**

**ფილადელფია: აივერსონი (44), მუტომბო (23 ქულა, 19 მოხსნა, 7 დაფარება), მაკი (10 ქულა, 13 პასი, 6 მოხსნა, 4 ჩაჭრა)**

**მილუოკი: ალენი (26), რობინსონი (24), კასელი (20), ტომასი (11 ქულა, 12 მოხსნა)**

ზედაბაბული სერიის გადამწყვეტ მატჩში ფილადელფიელებს უფრო მტკიცე ნერვები აღმოაჩნდათ, იმარჯვეს და 1983 წლის შემდეგ პირველად გავიდნენ ნბა-ს ფინალში, სადაც ჩემპიონ და ყველას გამბითურებელ „ლეიკერსს" შეხვდებიან და შეეცდებიან, მას რაიმე დააკლონ.

ალენ აივერსონს ამჯერად პირველივე წუთებიდან წაუვიდა თამაში და ფილადელფიელებიც ხალისით გაჰყვნენ უკან თავიანთ ვაცს. აივერსონმა ამჯერად აჯობა მეტოქე რეი ალენს, თუმც ისიც ვთქვათ, რომ ამ უკანასკნელს მცირე ტრავმა აწუხებდა და წინა შეხვედრის დარი სიმსუბუქით ველარ აოხრებდა მეტოქის კალათს. სამაგიეროდ, ამას შესაშური გულმოდგინებით აკეთებდა ფილადელფიელი და სეზონის უძვირფასესმა მოთამაშემ აკი მოაგროვა კიდეც 44 ქულა. მას ამის გაკეთებაში კარგად დაეხმარა გამთამაშებლად გამწესებული მსროლელი აარონ მაკკი, რომელმაც საპლეიოფო კარიერაში უმტესი — 13 პასი გააკეთა. ასევე სანაქებოდ გაისარჯა მასპინძელთა კონგოელი ცენტრი დიკემბე მუტომბო, რომელმაც ფარი დაიპყრო და იქნებ კარიერაში საუკეთესო მატჩიც ჩაატარა.

მილუოკელები პირველ მეოთხედში ყოჩაღად კი ირჯებოდნენ, მაგარმ მერე თანდათან ჩამორჩნენ მეტოქეს და ბოლოს ფინალის მიღმა დარჩნენ.

საფინალო სირენისთანავე დარბაზი სიხარულმა მოიცვა. აივერსონმა ბურთი იატაკს დაახეთქა და უწინ მტრად გადაკიდებულ, აწ კი მამობილად ქცეულ მწვრნელ ლარი ბრაუნს შეახტა. არც 15 წლით უფროსი დედიკო დაივიწყა, ბოლოს კი შამპანურით და სიხარულით შემთვრალმა განაცხადა, ფინალში შაკილ ონილის და კომპანიის ძვლებს დავყრითო.

**ივანე ძოწიაშვილი**




ალენ აივერსონს წარმატება დედა ენმა (მარჯვნივ) და საცოლე ტავანამ მიულოცეს

## რაგბი

შვიდკაცა. მსოფლიოს სერია

# კარდიფი ლონდონს სჯობია, ახალი ზელანდია კი ყველას

**გასულ** უქმეებზე საქართველოს შვიდკაცა ნაკრებმა ლონდონიდან კარდიფში გადაინაცვლა და უელსის უპირველეს ქალაქში გამართულ მსოფლიოს სერიის ტურნირზე ითამაშა.

ბორჯღალოსნები C ჯგუფში მოხვდნენ, სადაც მათ გარდა ფიჯის, ინგლისისა და ესპანეთის ნაკრებები ასპარეზობდნენ. ჯგუფის ფავორიტებად შვიდკაცას ჯადოქრები, ფიჯელები და ინგლისელები ითვლებოდნენ. პირველ მატჩში ჩვენი მორაგბეები ფიჯისთან დამარცხდნენ 0:33, მეორე შეხვედრა სორელის შეგირდებმა პლეი ოფის მეორე საგზურის უშუალო კონკურენტთან, ინგლისის ნაკრებთან გამართეს. ბესიკ ხამაშურიძის ორ და ილია ზედგინიძის ერთ ლელოს მალხაზ ურჯუკაშვილმა გარდასახვაც დაურთო და უპრინციპულეს მატჩში ჩვენმა მორაგბეებმა 17:12 სძლიეს მეტოქეს. ასეთივე ანგარიშით დაამარცხეს ქართველებმა ჯგუფის ბოლო მეტოქე მოკრძალებული ესპანეთი. თავი ბესიკ ხამაშურიძემ, ვასილ კაცაძემ და ილია ზედგინიძემ გამოიჩინეს, გარდასახვა კი გუჯა იოვაძემ მიითვალა.

საბოლოოდ ბორჯღალოსნებმა ჯგუფიდან გამსვლელი მეორე ადგილი დაიკავეს და თასისთვის განაგრძეს ბრძოლა, მაგრამ მეოთხედფინალშივე სამოასთან ხელი მოეცარათ. ქართველთა სამ ლელოს, რომლებიც ვასილ კაციძის, დავით ბოლგაშვილის და ბადრი ხეხელაშვილის ანგარიშზეა, შვიდკაცა რაგბიში დახელოვნებულმა სამოელებმა ექვსი ლელოთი უპასუხეს და საქართველო სინისაკენ მიმავალ გზას გაუყენეს. ვერც აქ იმარჯვეს ჩვენებმა. სინის ნახევარფინალში მასპინძელი უელსი ქართველებზე ბევრად ძლიერი აღმოჩნდა და 26:19 დაამარცხა ჩვენებურები. ქართველთაგან ლელოები ვასილ კაცაძემ, გუჯა იოვაძემ და ბადრი ხეხელაშვილმა გაიტანეს. იოვაძემ ორი გარდასახვა უნაკლოდ შეასრულა, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, გამარჯვებისთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. ამ მარცხით ბორჯღალოსნები კარდიფში ასპარეზობა დაასრულეს. საბოლოოდ ჩვენი მორაგბეები რვა საუკეთესო გუნდში მოხვდნენ და სარეიტინგო ქულებიც მიითვალეს.

ტურნირის გამარჯვებული ახალი ზელანდია შეიქნა. „კივები" ბოლო დროს უმადობას ნამდვილად არ უჩივიან და ერთიმეორის მიყოლებით იმარჯვებენ საშვიდკაცო ტურნირებზე, თასის ფინალში ახალზელანდიელებმა ავსტრალიელები დაიბრიყვეს — 31:5.

სინი ჩვენს მძლეველ ფიჯის ნაკრებს ერგო. ფიჯელებმა ასევე ჩვენი გამამწარებელ უელსის ნაკრებს აჯობეს — 47:14. ფიალა და შესაბამისად მეცხრე ადგილი ინგლისელებმა ირგუნეს, როცა დაძაბულ მატჩში პორტუგალიელები დაამარცხეს — 35:26.

**ბაჩო სვანიძე**

# სარბიელი
## სპორტული ლატარია
## კროკო

**ჰოლანდია. პლეი-ოფი. "ა" ჯგუფი. მე-2 ტური**
**6 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 001 | ვოლენდამი-ზვოლე | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 23.00 | 002 | სიტარდი-ტელსტარი | 1,55 | 3,4 | 5,6 |

**ჰოლანდია. პლეი-ოფი. "ბ" ჯგუფი. მე-3 ტური**
**6 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 003 | იგლსი-კამბური | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 23.00 | 004 | ექსელსიორი-სპარტა | 2,4 | 3,1 | 2,6 |

**ფინეთი. მე-10 ტური**
**6 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 005 | იოკერიტი-ჯაზი | 1,8 | 3,2 | 3,8 |

**7 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 006 | ჰაკა-კუოპიო | 1,45 | 3,8 | 6,0 |
| 20.30 | 007 | ჰიკ-ტამპერე | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 20.30 | 008 | მიუპა-ლაჰტი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 20.30 | 009 | როვანიემი-ინტერი | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 20.30 | 010 | ვაასა-ატლანტისი | 3,0 | 3,1 | 2,2 |

**მჩ შესარჩევი მატჩები**
**6 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 501 | აზერბაიჯანი-სლოვაკეთი | 8,0 | 4,4 | 1,3 |
| 20.00 | 502 | ჩეხეთი-ჩრდ.ირლანდია | 1,15 | 6,0 | 12,0 |
| | 503 | ჩეხეთი-ჩრდ.ირლანდია 0:1 | 1,35 | 4,0 | 4,0 |
| 20.00 | 504 | სომხეთი-პოლონეთი | 6,0 | 3,5 | 1,5 |
| 20.00 | 505 | ლატვია-ხორვატია | 7,5 | 4,0 | 1,35 |
| 20.00 | 506 | ლიტვა-რუმინეთი | 7,5 | 4,0 | 1,35 |
| 21.00 | 507 | ესტონეთი-ირლანდია | 7,0 | 3,8 | 1,4 |
| 21.00 | 508 | უკრაინა-უელსი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | 509 | უკრაინა-უელსი 0:1 | 1,5 | 4,0 | 3,2 |
| 22.00 | 510 | ფარერები-იუგოსლავია | 10,0 | 5,6 | 1,2 |
| 22.00 | 511 | ნორვეგია-ბელარუსი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 22.00 | 512 | ისრაელი-ესპანეთი | 4,4 | 3,2 | 1,7 |
| 22.15 | 513 | დანია-მალტა | 1,01 | 10,0 | 20,0 |
| | 514 | დანია-მალტა 0:3 | 1,5 | 4,4 | 2,8 |
| 22.30 | 515 | ალბანეთი-გერმანია | 7,5 | 4,0 | 1,35 |
| 22.30 | 516 | თურქეთი-მაკედონია | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| | 517 | თურქეთი-მაკედონია 0:2 | 1,7 | 4,4 | 2,5 |
| 23.00 | 518 | ლუქსემბურგი-რუსეთი | 16,0 | 8,0 | 1,05 |
| 23.00 | 519 | ისლანდია-ბულგარეთი | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| 23.00 | 520 | შვედეთი-მოლდოვა | 1,1 | 7,0 | 14,0 |
| | 521 | შვედეთი-მოლდოვა 0:2 | 1,7 | 4,4 | 2,5 |
| 23.15 | 522 | შვეიცარია-სლოვენია | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 23.15 | 523 | უნგრეთი-საქართველო | ანგარიში - 5,0 | | |
| 23.30 | 524 | სან მარინო-ბელგია | 20,0 | 8,0 | 1,03 |
| 23.45 | 525 | საბერძნეთი-ინგლისი | 3,6 | 3,1 | 1,9 |
| 01.00 | 526 | პორტუგალია-კვიპროსი | 1,05 | 8,0 | 16,0 |
| | 527 | პორტუგალია-კვიპროსი 0:2 | 1,5 | 4,4 | 3,0 |

**კონფედერაციათა თასი. 1/2 ფინალი**
**7 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 13.00 | 528 | იაპონია-ავსტრალია | 1,9 | 3,1 | 3,4 |
| 16.00 | 529 | საფრანგეთი-ბრაზილია | 1,9 | 3,1 | 3,4 |

**მჩ შესარჩევი მატჩები (21 წლამდე)**
**5 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 14.00 | 530 | სომხეთი-პოლონეთი | 4,2 | 3,1 | 1,75 |
| 16.30 | 531 | ლატვია-ხორვატია | 6,5 | 4,0 | 1,35 |
| 18.00 | 532 | დანია-მალტა | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 18.00 | 533 | აზერბაიჯანი-სლოვაკეთი | 7,5 | 4,0 | 1,3 |
| 19.00 | 534 | უკრაინა-უელსი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 20.00 | 535 | ესტონეთი-ირლანდია | 5,6 | 3,6 | 1,5 |
| 20.00 | 536 | ლიტვა-რუმინეთი | 5,6 | 3,6 | 1,5 |
| 21.00 | 537 | ისრაელი-ესპანეთი | 4,7 | 3,1 | 1,7 |
| 22.00 | 538 | ისლანდია-ბულგარეთი | 3,6 | 3,2 | 1,85 |
| 22.00 | 539 | ჩეხეთი-ჩრდ.ირლანდია | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 22.00 | 540 | შვედეთი-მოლდოვა | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 22.00 | 541 | თურქეთი-მაკედონია | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 22.00 | 542 | ნორვეგია-ბელარუსი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 22.00 | 543 | უნგრეთი-საქართველო | ანგარიში - 5,0 | | |
| 22.00 | 544 | საბერძნეთი-ინგლისი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 23.00 | 545 | შვეიცარია-სლოვენია | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 01.00 | 546 | პორტუგალია-კვიპროსი | 1,05 | 7,0 | 14,0 |

**6 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18:30 | 547 | ლუქსემბურგი-რუსეთი | 14,0 | 7,0 | 1,05 |

**7 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 548 | ალბანეთი-გერმანია | 8,0 | 4,4 | 1,25 |

**ლიბერტადორესის თასი. 1/2 ფინალი. I მატჩები**
**7 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 03.30 | 549 | კრუს ასული-როსარიო | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| 05.40 | 550 | ბოკა ხუნიორსი-პალმეირასი | 1,85 | 3,1 | 3,8 |

**კალათბურთი. ფინალი**
**6 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 06.00 | 801 | ლეიკერსი-ფილადელფია | 1,2 | 12,0 | 3,5 |

**ჰოკეი. ფინალი**
**7 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 05.00 | 901 | ნიუ ჯერსი-კოლორადო | 1,0 | 1,0 | 1,0 |


სარბიელი
სპორტული ლატარია
CROCO
BOOKMAKERS
კროკო

**კროკოს ბიუროთა მისამართები:**

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);
წინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)
გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან")
წერეთლის გამზირი №11;
ჭავჭავაძის გამზირი №41

ქუთაისი — პუშკინის ქუჩა №16 (ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში)
ფალიაშვილის ქუჩა № 27

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა №30

თელავში — კოსტავას ქუჩა №23.

რუსთავში — შარტავას ქუჩა №7

ბათუმში — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;
ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61;
ჯავახიშვილის ქუჩა №78;
ჭავჭავაძის ქუჩა №113 (მალე)

ძობულეთში — ალმაშენებლის ქუჩა №106

მარნეულში — რუსთაველის ქუჩა №39

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

## საქართველოს ჩემპიონატი. I ტური

# აია ჯერ გაყვითლდა, მერე გაწითლდა

ვარკეთილის მეურნეობა. 2 ივნისი

**ყოჩები 29:15 აია**

**ყოჩები:** კობერიძე (იმნაძე), ნ. მხეიძე, ბარძიმიშვილი, საკანდელიძე (ლიპარტელიანი), კ. მხეიძე, კაჭარავა, გიორხელიძე; ჩიქავა (ჩაკვეტაძე), ხოსრუაშვილი (კიკუაშვილი), ფირიაშვილი, ზესაშვილი, ხურცილავა, ჭელიძე (გოგშელიძე), ცხვედიანი, გ. ხაბეიშვილი
4ლ: ცხვედიანი, გ. ხაბეიშვილი, კობერიძე, ჭელიძე; 3გ: გიორხელიძე; 1ს: გიორხელიძე
**აია:** მ. ხელაძე (კიკვიძე), ნამჩევაძე, ზვიადაძე, ლილუაშვილი, ბ. ცხვედიანი, ჩუბინიძე, კ. გიორგაძე; დადუნაშვილი (ჭოლაძე), კუხიანიძე (სორდია), კოპალიანი, ქველიძე (ბალანჩივაძე), კეპულაძე, ყურაშვილი, მინაძე (ნემსაძე), საყვარელიძე
2ლ: კოპალიანი, ზვიადაძე; 1გ: ჩუბინიძე; 1ს: ჩუბინიძე
**გაფრთხილება:** კოპალიანი, გიორგაძე (აია)
**გაძევება:** საყვარელიძე, ლილუაშვილი (აია)
**მსაჯი:** მიხეილ ჩაჩუა
**მეთვალყურე:** მიხეილ კალანდაძე

როგორც იქნა, ბოლო მოეღო გაუთავებელ გაურკვევლობას. შაბათს ვარკეთილის მეურნეობის სარაგბო მოედანზე ყოველგვარი ზარ-ზეიმის გარეშე დაიწყო ეროვნული ჩემპიონატი.

პირველი ეტაპის პირველ ტურში თბილისის „ყოჩები“ და უმაღლეს ლიგაში წლეულს ალზევებული ქუთაისის „აია“ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.

თბილისელთა ახალმა მთავარმა მწვრთნელმა ამირან თეზელაშვილმა ოპტიმალური შემადგენლობა დაახვედრა ქუთათურებს, რომლებმაც, თავის მხრივ, ძირითადის ორი მორაგბე მოისაკლისეს. უკანახაზელი ირაკლი გიორგაძე და ნახევარმცველი ლევან შარვაშიძე ტრავმის გამო ვერაფრით შეეშველნენ თავისიანებს. სამაგიეროდ, საფრანგეთიდან დაბრუნებული ჭაბუკთა და ახალგაზრდული ნაკრებების წევრი ავთო კოპალიანი დაიმატეს აიელებმა.

თავიდანვე „ყოჩებმა“ შეუტიეს მეტოქეს. უკვე მატჩის დებიუტშივე დავით ცხვედიანმა დაალელოვა ქუთაისელები. მასპინძელთა მესამეხაზელმა მოწინააღმდეგის წამიერი მოდუნებით ისარგებლა და ფინტებით აუარა გვერდი მეტოქის ჩაძინებულ მცველებს. ირაკლი გორხელიძემ ლელო გარდასახა — 7:0. „აიამ“ საპასუხოდ შეუტია თბილისელთა ლელოს. შერკინების ბურჯმა ავთო კოპალიანმა ბურთი მოედნის ცენტრში მოიხელთა და საკმაო მანძილით წაიწია წინ. მას თანაგუნდელებიც მიეხმარნენ და „ყოჩებმა“ ჯარიმის ფასად შეძლეს მოძალებული მეტოქის შეჩერება. სტუმრებს თავისუფლად შეეძლოთ, მასპინძელთა ლელოსთან ახლოს დანიშნული ჯარიმა გაეთამაშებინათ, მაგრამ ჩუბინიძემ ხვალინდელ ქათამს დღევანდელი კვერცხი ამჯობინა და უნაკლოდ დაარტყა — 7:3. სტუმრები კვლავ უტევდნენ, მაგრამ გიორგაძემ დაალალატა თავისიანები. იგი ყოვლად უწყინარ სიტუაციაში ეუხეშა მეტოქეს. სტუმართა მე-9 ნომერს ეს ყვითელ ბარათად დაუჯდა და მიხეილ ჩაჩუამ, რომელიც სადებიუტო მატჩს მსაჯობდა უმაღლეს ლიგაში, დამნაშავე ათი წუთით მიაბრძანა მოედნიდან. რიცხობრივი უპირატესობა კარგად გამოიყენა გიორგი ხაბეიშვილმა. სეზონის წინ იგი ლოკომოტიველად მოვნათლეთ, თუმც გიორგიმ თავის ტყუპისცალ ძმასთან ერთად ისევ „ყოჩებში“ დარჩენა ამჯობინა. „ტყუპიმ“, როგორც მას თანაგუნდელები ეძახიან, მეტოქის მარწუხებს თავი დააღწია და ბურთთან ერთად ქუთაისელთა ლელოში გაკოტრიალდა. გიორხელიძემ ამჯერადაც ივარგა — 14:3. რამდენიმე წუთში კი „ყოჩთა“ მცველმა ზვიად კობერიძემ კიდევ უფრო გაზარდა ანგარიშში სხვაობა. გიორხელიძემ საკმაოდ რთული პოზიციიდან მიზანს უწია ბურთი და ტაიმიც ასე მორჩა — 21:3.

მეორე ნახევარი ხეირიანად დაწყებული არც იყო, როდესაც იმავე გიორხელიძემ საჯარიმო ნიშნულიდან ზუსტად გაისროლა, რასაც ავთო კოპალიანმა ლელოთი უპასუხა. ჩუბინიძემ კი მიზანი ვერ გაასწორა და დიდი მანძილით ააცილა ბურთი კარს. ჩუბინიძეს შეცდომის გამოსწორების შესაძლებლობა ერთხელაც მიეცა, როდესაც „ყოჩებმა“ „აიას“ შეტევა წესების დარღვევით შეაჩერეს, თუმც „კიჭიმ“ ვერც ამჯერად იხეირა. დრო ნელ-ნელა იწურებოდა, სტუმრები მარცხს არ ეგუებოდნენ, მაგრამ შედეგი არ ჩანდა. მოედანზე სიტუაცია დაიძაბა, იმატა უხეშობამ და მსაჯთან გაუთავებელმა კამათმა. მიხეილ ჩაჩუა გაჭირვებით ასრულებდა თავის მოვალეობას. ერთ ეპიზოდში ამ მატჩის ერთ-ერთმა საუკეთესო მოთამაშემ, ავთო კოპალიანმა ნერვები ვერ მოთოკა და მსაჯს ყვითელი ბარათიც დასტყუა. ახალგაზრდა და გამოუცდელი „აია“ დაილალა, „ყოჩები“ კი არა და არ ჩერდებოდნენ. მატჩის ბოლო წუთებზე სანდრო ჭელიძემ შეტევის მარცხენა ფლანგზე გაინავარდა, მეტოქის მცველებმა შებოჭვა დააგვიანეს და თბილისელთა მე-6 ნომერმა აუღელვებლად დადო ბურთი სტუმართა ლელოში. ამ ეპიზოდმა მსაჯსა და ქუთაისელ მორაგბეებს შორის შეხლა-შემოხლა გამოიწვია. მიხეილ ჩაჩუა მოვლენის ადგილიდან საკმაოდ შორს იმყოფებოდა, სამაგიეროდ, თანამსაჯი იქვე იდგა და მასთან კონსულტაციის შემდეგ მსაჯმა ლელო ჩათვალა. სტუმრები კი ლელოს გაუქმებას ითხოვდნენ და ისე გამომწვევად იქცეოდნენ, რომ ჩაჩუამ შოთა საყვარელიძესა და გოჩა ლილუაშვილს წითელი ბარათი აუფრიალა. დარჩა „აია“ ცამეტი კაცით, ორ კაცნაკლულს კი რა უნდა მოეხერხებინა? ეს გაიფიქრეს ალბათ „ყოჩებმაც“, როდესაც მეტოქეს კონტრშეტევა გამოეპარათ და ზურაბ ზვიადაძეს ლელოში შეღწევის საშუალება მისცეს. ჩუბინიძემ გარდასახა და მატჩიც დასრულდა. შეხვედრის შემდეგაც იდავეს გაძევებულმა მორაგბეებმა და მსაჯმა. მორაგბეები თავიანთ სიმართლეს უმტკიცებდნენ არბიტრს, ჩაჩუა კი თავის გადაწყვეტილებას იცავდა. კამათი დიდხანს არ გაგრძელებულა და მოსარჩლე-მოპასუხე მხარეები მალევე დაიშალნენ.

***ამირან თეზელაშვილი, „ყოჩების“ მწვრთნელი:*** „დაძაბული მატჩი იყო. ორივე გუნდმა კარგად ითამაშა, თუმც „ყოჩებს“ გაცილებით მეტი შეუძლიათ. ნელ-ნელა ფორმაში შევალთ და უკეთ ვითამაშებთ. რაც შეეხება ჩვენს მიზნებს, როგორც ყოველთვის, ოქროს მედლებისთვის ვიბრძოლებთ. სხვა შედეგი „ყოჩებს“ არ დააკმაყოფილებს.

ჩემი აზრით, მსაჯობა ნორმალური იყო. ჩაჩუას მნიშვნელოვანი შეცდომები არ დაუშვია“.

***დიმიტრი ფულარია, „აიას“ მწვრთნელი:*** ვიცოდი, რომ შესუსტებული შემადგენლობით „ყოჩებს“ ვერ დავამარცხებდით, მაგრამ ასეთმა მსაჯობამ გამაოგნა. ჩაჩუამ ძალიან ცუდად იმსაჯა, ეს რომ არა, იქნებ ასეთი სხვაობით არ წაგვეგო“.

**ბაჩო სვანიძე**

# სტუდენტებისთვის უდროოდ წამოუხვერა

ვარკეთილის მეურნეობა. 2 ივნისი

**ლოკომოტივი 22:18 უნივერსიტეტი**

**ლოკომოტივი:** ძნელაძე, ანდღულაძე, ბუგიანიშვილი, ალანია, კოტრიკაძე, კვინიხიძე, აბუსერიძე; სუჯაშვილი, ხინჩაგიშვილი, მაჭუტაძე, ტლენტი, მოგელაძე, გაფრინდაშვილი (კერესელიძე, ჭელიძე), ქავთარაძე (კახიანი), უდესიანი
3 ლ: მოგელაძე (2), ანდღულაძე; 2 გ: კვინიხიძე; 1 ს: კვინიხიძე;
**უნივერსიტეტი:** მაჩხანელი, მხეიძე (კობაიძე), ო. ელოშვილი, მაისურაძე, კ. ელოშვილი, მოდებაძე, დანელია; ალიბეგაშვილი, კუთარაშვილი, წიკლაური, გუჯაბრაიძე (ცხომელიძე), აცააჯანიშვილი (ჯანუყაშვილი), გუნდიშვილი, ქირიკაშვილი
2 ლ: მოდებაძე, მაჩხანელი; 2 გ: მოდებაძე; 2 ს: მოდებაძე
**მსაჯი:** ნოდარ რობიტაშვილი
**მეთვალყურე:** ზურაბ ხარშილაძე

იოლად აპირებდა მძლავრი „ლოკომოტივი“ „უნივერსიტეტის“ გადათელვას. მხიარულ გუნებაზე იყვნენ მატჩის წინ რკინიგზელთა მწვრთნელ-მორაგბეები. მოვიგებთ, აბა რას ვიზამთ, ერთმანეთს ამხნევებდნენ მასპინძლები და შიგადაშიგ ხუმრობასაც გამოურევდნენ ხოლმე. ფრთხილობდნენ სტუდენტები, თუმც უხასიათობას არც ისინი უჩიოდნენ. გულდასმით მოისმინეს მწვრთნელთა დარიგებები და მოედანზე მოსათელად გავიდნენ.

ორივე გუნდს თითო მორაგბე აკლდა, „ლოკომოტივს“ ვასილ აბაშიძე, „უნივერსიტეტს“ — მალხაზ ურჯუკაშვილი ისინი კარდიფის საშვიდკაცო ტურნირზე იმყოფებოდნენ.

რკინიგზელებს საკმაოდ გრძელი სათადარიგო სკამი ჰქონდათ და ეს დანაკლისი მაინცდამაინც არ ასახულა გუნდის თამაშზე, სამაგიეროდ, მახოს არყოფნა დაეტყო „უნივერსიტეტს“ და ეს მაშინ გამოჩნდა, როდესაც ურჯუკაშვილის დარი გარდამტეხი მორაგბე არ აღმოჩნდა სტუდენტთა შორის. მოდით, მოვლენებს ნუ გავუსწრებთ და ყველაფერს თანმიმდევრობით მივყვეთ.

იოლი გამარჯვებებით დარწმუნებული რკინიგზელები უნიათოდ ირჯებოდნენ. ხშირი იყო წუნიანი გადაცემები, სათანადოდ ვერ იდგა შერკინება და ვერც აუტებში ყოჩაღობდნენ მასპინძლები. ამ ყველაფერმა სტუდენტთა წისქვილზე დაასხა წყალი და აამუშავა „უნივერსიტეტის“ დოლაბი. ირაკლი მოდებაძემ მეტოქის მცველებს თავგზა აუბნია და პირველი ლელო გაუტანა მოწინააღმდეგეს. თავისი ლელო მოდებაძემ თავადვე გარდასახა და მალევე საჯარიმო დარტყმაც დაურთო პირად მონაგარს. მაგრად მივაწვეთ, ბიჭებო! — შეუძახეს ერთმანეთს ლოკომოტიველებმა და ჯაგჯაგ-ჯაგჯაგურით მიუახლოვდნენ სტუდენტთა ლელოს. დიდხანს უტრიალეს მეტოქეს ლელოს რკინიგზელებმა, ზურა მოგელაძემ ზედახორაში ყველას აჯობა. კვინიხიძემ ძელებს შორის გაატარა ბურთი და ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდე შემცირა. თუმც ირაკლი მოდებაძემ საკმაოდ შორი მანძილიდან ისევ ზუსტად გაისროლა და შესვენებაზე „უნივერსიტეტი“ დაწინაურებული წავიდა.

მეორე ორმოცწუთეულის პირველი ნახევარი სტუდენტთა კარნახით წარიმართა. ვერცხლისწყლივით მოძრავი მოდებაძის შეჩერება ვერაფრით შეძლეს რკინიგზელებმა. უმცროსმა „ბურძგლამ“ გაჭრა მეტოქის დაცვის ხაზი, ბურთი ირაკლი მაჩხანელს გაატანა და მანაც თანაგუნდელის გარჯა ლელოთი დააფასა. ანერვიულდნენ წყვილის ფავორიტები, მწვრთნელმა თემურ ბენდიაშვილმა შეცვლებს მიმართა, გაფრინდაშვილი მძიმე ფორვარდით, კერესელიძით შეცვალა, ქავთარაძის მაგივრად კი გიორგი კახიანი შეუშვა მოედანზე. ვერ გეტყვით, შეცვლებმა იმოქმედა თუ მწვრთნელის დატუქსვამ, მაგრამ ფაქტია, რომ აქამდე ინერტული „ლოკომოტივი“ გამოფხიზლდა და შტურმიც მოუწყო მეტოქეს. ალანია-ბუგიანიშვილი-ანდღულაძის ლამაზი კომბინაცია ანდღულაძემ ლელოთი დააგვირგვინა. კვინიხიძემ ვერ გარდასახა. რამდენიმე წუთში ისევ ამ სამეულმა გაითამაშა ჯვარედინი კომბინაცია, სარაგბო ჟარგონს თუ მოვიშველიებთ, „კრესტი“, მაგრამ ბოლო მომენტში სტუდენტთა დაცვამ ივარგა და დაძაბულობაც განიმუხტა.

ჩემპიონი თამაშის იმტაზე მოსულიყო და უკან დახევას სულაც არ აპირებდა. „ლოკომოტივის“ ერთ-ერთი გაწელილი შეტევა მოგელაძემ ლელოთი დაასრულა, კვინიხიძემ ორი ქულაც მიამატა და პირველად ამ მატჩში წინ რკინიგზელები გავიდნენ — 19:18. „უნივერსიტეტი“ არ ნებდებოდა. სტუდენტები შერკინების ხარჯზე აპირებდნენ უპირატესობისა მოპოვებას. მასპინძლები ზედიზედ ორჯერ დაჯარიმდნენ, თუმც შტატიანმა დამრტყმელმა ირაკლი მოდებაძემ ბურთის სწორი ტრაექტორია ვერაფრით შეურჩია. ამაში მოდებაძეს ხელი ქარმა შეუშალა. ორივეჯერ ბურთმა ძელებს მილიმეტრებში ჩაუფრინა. არავინ იცის, როგორ წარიმართებოდა შეხვედრა, მოდებაძეს ერთხელ მაინც რომ გაეტანა. მისგან განსხვავებით, ბობა კვინიხიძემ ჩინებულად გამოიყენა ბოძებული შანსი და მშობლიური გუნდის პოზიციები კიდევ უფრო განამტკიცა — 22:18.

**ბაჩო სვანიძე**



## ასტანის სუპერტურნირი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ომი დამთავრდა: გარი კასპაროვმა და ვლადიმირ კრამნიკმა დიდი ბრძოლის შემდეგ სული ერთად მოიბრუნეს

# ბერლინის კედელი ასტანაში დაინგრა

**გარი კასპაროვმა** ასტანის სუპერტურნირის ბოლო ტურში წყალი აამღვრია და უაღრესად სასურველი თევზი დაიჭირა. მისი და ვლადიმირ კრამნიკის პარტია ცენტრალურ მაგიდაზე შედგა, ტურნირის ბედს წყვეტდა და მაყურებელმა პირველად ორი კვირის მანძილზე თავისიან დარმენ სადვაკასოვს თვალი მოაშორა: „კა-კა შოუს“ მორიგი სერია სხვაგან გახედვის უფლებას არ იძლეოდა.

კრამნიკი შავებით იყო და პირველობისთვის ყაიმი ჰყოფნიდა. ლონდონის მატჩიდან მოყოლებული ჩემპიონი და ექსჩემპიონი ბერლინის სისტემის ირგვლივ კამათობენ და რა გასაკვირია, რომ კრამნიკმა ეს დებიუტი აირჩია, ნებისმიერი სხვა ხომ გაქცევის ტოლფასი იქნებოდა. და დაიწყო: შავებმა „ბერლინის კედელი“ ააშენეს, თეთრებმა კი ალბათ მეათასე ხერხი სცადეს მისი დანგრევისთვის. კრამნიკს პირველ თორმეტ სვლაზე დრო თითქმის არ დაუხარჯავს, მაგრამ როცა თეთრებმა ჯერ ათ და მერე 40-წუთიანი ფიქრის შემდეგ ეტლები ცენტრში გამოიყვანეს, კრამნიკმა ტვინი კარგა ნახევარი საათით დაძაბა. ცენტრალური პაიკის მსხვერპლად მიღებაზე იყო ლაპარაკი და ჩემპიონმა იგი ბოლოს და ბოლოს შეჭამა, რათა ეტლებს დაყრდნობილი მხედრების დარტყმა მიეღო. დარტყმა ჯიგრიანი იყო და სწორი თავდაცვის მოსაძებნად კრამნიკმა თითქმის მთელი დრო გახარჯა, პირველი კონტროლის ამოწურვამდე 23 სვლით ადრე 18(!) წუთიღა რჩებოდა. ცაიტნოტმა და კასპაროვის ზუსტმა თამაშმა კრამნიკი დალუპა. მე-40 სვლის შემდეგ იგი კულისებში გავიდა და 5 წუთში მობრუნებულმა მეტოქეს გამარჯვება მიულოცა. ორივენი ისე ქანცგაცლილები იყვნენ, ანალიზისთვის დაფას ვერ გაეკარნენ, დერეფანში იდგნენ და ზეპირად არჩევდნენ მომხდარს. მათთან მხოლოდ ბორის გელფანდი მივიდა, კასპაროვს მიულოცა (თუმც, გეხსომებათ, მათ შორის შავმა კატამ რომ გაირბინა) და თავის დაფას მიუბრუნდა, სადაც ჭადრაკები მოეჭირა ალექსანდრ მოროზევიჩისთვის და ხუთავდა. პირიქით კი უნდა ყოფილიყო — მოროზევიჩი მხოლოდ ქულას გაჰყავდა მესამე ადგილზე.

გელფანდმა ბოლოს მოწყალება მოიღო, ყაიმს დაჰყაბულდა და დამსახურებულ მესამე ადგილზე გავიდა, ხოლო ალექსეი შიროვმა დიდებს რომ ვერა უყო, ჯავრი სადვაკასოვზე იყარა. ის დაეწია მოროზევიჩს, ოღონდ პრესკონფერენციაზე თავისი თამაშით ბუნებრივი უკმაყოფილება მაინც გამოთქვა.

პრესკონფერენციას არავინ დაკლებია. შუაში იჯდა ყაზახეთის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი აბლაი მირზახმეტოვი და დაპირებებს იძლეოდა, ტურნირი ტრადიციული უნდა გავხადოთ, მომავალში უფრო ძლიერ შემადგენლობას შევყრითო. კასპაროვმა და კრამნიკმა თავიდან პარტიაზე ილაპარაკეს. გამარჯვებულის თქმით, კრამნიკმა ბოლომდე ვერ შეაფასა პაიკის შეწირვიდან გამომდინარე შედეგები და თუმც იდეალურად თეთრებსაც არ უთამაშიათ, ცაიტნოტის გამო წესიერად თავდაცვა ვერ შეძლო.

ტურნირის ორგანიზაცია დიდებული იყოო, მოჭადრაკეებმა ცალსახად რომ თქვეს, ერთმა ჟურნალისტმა ასეთი შეკითხვა დასვა, ასტანის სამატჩრევანწო სარბიელად გამოყენებაზე რა აზრის ხართო (კასპაროვ-კრამნიკის მატჩ-რევანშზეა საუბარი). კასპაროვი მოკლე და კონკრეტული იყო, თუ მატჩ-რევანში შედგა, არა მგონია, ასტანა ყველაზე ცუდი ვარიანტი იყოსო. კრამნიკმა უფრო გრძლად გაბა: „კასპაროვი, უეჭველად, უძლიერესი პრეტენდენტია — თქვა მან — მაგრამ ჩემი, როგორც მსოფლიოს ჩემპიონის ამოცანა ის გახლავთ, რომ შესარჩევი ციკლის ორგანიზება მოვახერხო. თუ ჰიპოთეტური მატჩი ასტანაში ამ ციკლს დააგვირგვინებს, ეს უბრალოდ შესანიშნავი იქნება“.

შემდეგ გაიმართა ავტოგრაფების დარიგება, ვახშამი და მისთანები, შაბათ დილით კი მოჭადრაკეებმა ბარგი ჩაალაგეს და სახლებში წავიდნენ.

**დავით გულუა**

**საბოლოო შედეგები**

1. გარი კასპაროვი (რუსეთი) 7; 2. ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი) 6,5; 3. ბორის გელფანდი (ისრაელი) 5,5; 4-5. ალექსეი შიროვი (ესპანეთი), ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) 4,5; 6. დარმენ სადვაკასოვი (ყაზახეთი) 2

## ჯირო დ'იტალია



REUTERS

პელოტონი პურის ყანაში

# სანტა ბარბარა და ჯუზეპე ვერდი

**შაბათს** „ჯიროზე" კვლავ ლათინოამერიკული დღე იყო. წინა დღეს მექსიკელი ხულიო კუაპიოს გამარჯვების შემდეგ მეთოთხმეტე ეტაპი კოლუმბიელმა კარლოს კონტრერასმა მოიგო. ვარდისფერი მაისურის საბოლოო დასაკუთრებისათვის მებრძოლ ჯილბერტო სიმონისა და დარიო ფრიგოს შორის მიმდინარე ბრძოლა კი ამჯერად, თუ შეიძლება ასე ითქვას, ფრედ დასრულდა.

სიმონიმ მეცამეტე ეტაპის დასრულების შემდეგ თქვა, რომ პორდოის მთაზე ხუთი-ექვსი შეტევა მაინც დასჭირდა ფრიგოს ჩამოსატოვებლად. მან არც ამჯერად დააკლო ცდა, მაგრამ ტურნირის ერთადერთი ინდივიდუალური რბოლის წინ მოწინააღმდეგესთან სხვაობის კიდევ უფრო გაზრდა ვერაფრით მოახერხა.

„ჯიროს" ახალმა ლიდერმა მთავარი შეტევა ფრიგოს წინააღმდეგ ფინიშამდე 16 კილომეტრით ადრე წამოიწყო მთაზე, რომელიც მსოფლიოში საკმაოდ პოპულარული და ამავე დროს მეტად მდარე ხარისხის ამერიკული ტელესერიალის სეხნიაა. სანტა ბარბარას ალმართში რომ არაფერი გამოუვიდა, სიმონიმ პატარა დაბა არკოსკენ მიმავალ დაღმართზე სცადა ბედი, მაგრამ ამჯერადაც ვერაფერი დააკლო მეტოქეს.

არადა, სიმონი მარტო დაეწია ესპანელ უნაი ოსას, რომელიც მანამდე დაწინაურებულიყო. თუმცა ფრიგომ თავისი თანაგუნდელი ვლადიმირ ბელის, კოლუმბიელები კარლოს კონტრერასის და ერნან ბუენაორას და იტალიელი ჯულიანო ფიგუერასის დახმარებით მოწინავე დუეტის დაწევა შეძლო.

ამ შვიდეულს შემდეგ ფიგუერასი გამოაკლდა, დარჩენილებმა კი ეტაპის გამარჯვებულის ვინაობა ერთმანეთში გაარკვიეს. „სელეს" დუეტმა „ფასა ბორტოლოსას" აჯობა და კონტრერასმაც გაიხარა. ჯერ ბუენაორამ სცადა შეტევა და მეტოქეთა ყურადღებაც მიიქცია, მერე კი კონტრერასმა დაასწრო ბელის და სწორად შერჩეულ დროს შეუტია.

„იმედგაცრუებული ვარ, რადგან მეგონა, ფრიგოს კარგა ბლომად დროს მოვუგებდი" — აღნიშნა სიმონიმ.

ფრიგოს არა და მარკო პანტანისა და იან ულრიხს კი ნაღდად ბევრი წამები მოუგო ლიდერმა. „მეკობრეშ" სამ წუთზე მეტი დათმო, გერმანელმა კიდევ უფრო მეტი. შარშანდელ ჩემპიონ სტეფანო გარძელის ბრონქიტი გაურთულდა და „ჯიროს" მიტოვებამაც მოუწია.

ეტაპის მთავარ ამბებში ვლადიმირ ბელის დისკვალიფიკაციაც უნდა მოვიხსენიოთ. მან ერთ-ერთ მაყურებელს, რომელიც ხელს უშლიდა, დაარტყა და მთელი პელოტონის თხოვნის მიუხედავად, ორგანიზატორებმა იგი მაინც არ შეიწყალეს. არადა, როგორც მერე გაირკვა, ის გულშემატკივარი სიმონის ქომაგი და მეტიც, ნათესავი ყოფილა.

„ძალიან სამწუხარო ამბავი მოხდა. ვიცი, რასაც ნიშნავს მაყურებლების აგრესიის გაძლება. ეს ძალიან ცუდია" — შეწუხებული ჩანდა მეორე დღეს სიმონი, რომლის კონკურენტმა ფრიგომაც ერთგული და მეტად საჭირო დამხმარე დაკარგა.

კვირის ეტაპი კი, როგორც გითხარით, ინდივიდუალური რბოლა იყო. ვარდისფერმაისურიანი თავს გადაახტა და ფრიგოსთან, რომელიც მისგან განსხვავებით ამ საქმის სპეციალისტია, ოდენ 29 წამი წააგო. „თუ ფრიგომ გუშინ გააოცა ყველა, დღეს ჩემი ჯერი იყო. ინდივიდუალისტი არ ვარ, მაგრამ ტურნირის დაწყებიდან ორი კვირის თავზე აქ ის გამოვიდოდა უკეთ, ვისაც მეტი ძალა ექნებოდა შემორჩენილი. მთიანი ეტაპების მერე კი თავს საკმაოდ კარგად ვგრძნობდი" — თქვა სიმონიმ, რომელიც ეტაპზე მეორე ადგილზე გავიდა. მან ისეთი ინდივიდუალისტები ჩამოიტოვა, როგორებიც ამ დისციპლინაში მსოფლიოს ექსჩემპიონი აბრაამ ოლანო და ახლანდელი ჩემპიონი უკრაინელი სერჰიი ჰონჩარი არიან.

გუშინდელი ეტაპი საკმაოდ მოკლე და იოლი იყო, რადგან ერთ დაბრკოლებასაც არ შეიცავდა. შესაბამისად, თუ ვინმეს გიჟური იერიში არ გაამართლებდა, ჯგუფური სპრინტი იყო მოსალოდნელი. შეტევა მხოლოდ „ჯიროს" პირველ ეტაპზე დამტვრეული ფავორიტის ფრანჩესკო კასაგრანდეს უმცროსმა ძმამ, სტეფანომ განახორციელა, მაგრამ იგი მაშინვე ჩაყლაპა პელოტონმა, როგორც კი სპრინტერთა თანაგუნდელებმა სიჩქარე გაზარდეს.

სპრინტში ყველას 26 წლის ივან კუარანტამ აჯობა, რომელმაც „ჯიროზე" მეექვსე ეტაპი მოიგო. იგი 1999 წლიდან სულ ორ-ორჯერ იმარჯვებს.

ჰო, მართლა. გუშინ პელოტონმა გენიალური იტალიელი კომპოზიტორის ჯუზეპე ვერდის მშობლიურ ბუსეტოსაც გაუარა.

დღეს „ჯიროს" პელოტონს ერთადერთი დასვენების დღე აქვს.

**გაგი გურული**

**მეთოთხმეტე ეტაპი**
კავალეზე — არკო, 163 კმ

1. კარლოს კონტრერასი (კოლუმბია, სელე) 5სთ 13წთ 30წმ
2. ვლადიმირ ბელი (იტალია, ფასა ბორტოლო)
3. უნაი ოსა (ესპანეთი, იბანესტო)
4. დარიო ფრიგო (იტალია, ფასა ბორტოლო)
5. ჯილბერტო სიმონი (იტალია, ლამპრე) ყველას იგივე დრო

**მეთხუთმეტე ეტაპი**
სარმიონე — სალო, ინდივიდუალური რბოლა, 55,5 კმ

1. დარიო ფრიგო (იტალია, ფასა ბორტოლო) 1სთ 11წთ 35წმ
2. ჯილბერტო სიმონი (იტალია, ლამპრე) +29წმ
3. აბრაამ ოლანო (ესპანეთი, ონსე) +1წთ 16
4. სერჰიი ჰონჩარი (უკრაინა, ლიკიგასი) +1წთ 32
5. ჟოზე აზევედო (პორტუგალია, ონსე) +2წთ 25

**მეთექვსმეტე ეტაპი**
ერბუსკო — პარმა, 142 კმ

1. ივან კუარანტა (იტალია, ალესიო) 3სთ 52წთ 55წმ
2. ენდრიო ლეონი (იტალია, ალესიო)
3. მარიო ჩიპოლინი (იტალია, საეკო)
4. დანილო ჰონდო (გერმანია, ტელეკომი)
5. მარკო ძანოტი (იტალია, ლიკიგასი) ყველას იგივე დრო

**საერთო ჩათვლა**

1. ჯილბერტო სიმონი (იტალია, ლამპრე) 73სთ 41წთ 44წმ
2. დარიო ფრიგო (იტალია, ფასა ბორტოლო) +15
3. აბრაამ ოლანო (ესპანეთი, ონსე) +4წთ 32
4. უნაი ოსა (ესპანეთი, იბანესტო) +5წთ 22
5. სერჰიი ჰონჩარი (უკრაინა, ლიკიგასი) +6წთ 10



## NHL. სტენლის თასი. ფინალი (ოთხ მოგებამდე)

# სად გასრიალდი, რუა?

2 ივნისი

| | |
|---|---|
| კოლორადო | 2 |
| ნიუ ჯერსი | 2 |

**ნიუ ჯერსი 3:2 კოლორადო (0:1 1:1 2:0)**
0:1 ბლეიკი 4(6), 1:1 ელიაში 24(8), 1:2 დრური 34(0), 2:2 გომესი 49(5), 3:2 სიკორა 58(9)
**ნიუ ჯერსი:** ბროდო, სტივენი, რაფალსკი, ელიაში, არნოტი სიკორა; ნიდერმაიერი, დანეიკო, ნემჩინოვი, ჰოლიკი, კორკამი; უაიტი, ოდონელი, მოგილნი, გომესი, ბრილინი; პანდოლფო, მედენი, სტივენსონი
**კოლორადო:** რუა; ბლეიკი, სკოულა, შეიდუკი, საკიკი, ტანგეი; ბურკი, ფუტი, პოდეინი, იელი, მესიეკლემი, დევრიზი, ნიემინენი, დრური, ჰაინოტი; დინგმანი, რაინპრეხტი, რადი

სახელოვანი პატრიკ რუა ალბათ ყველაფერს გაიღებდა, ოღონდ ეს საბედისწერო შეცდომა არ დაეშვა. ნეტავ, რად გასრიალდა კარს უკან, სიტუაციაც ხომ იმ მომენტში ცუდს არაფერს უქადდა სტუმრებს. მატჩის 49-ე წუთზე ნიუჯერსელმა ბობ კორკამმა შეტევის გაგრძელების სხვა საშუალება ვერ მოძებნა და უბრალოდ შაიბა მეტოქის ზონაში ჩააგდო. მისკენ რუა და კოლორადოელი მცველი ადამ ფუტი გაემართნენ, ეს უკანასკნელი დაეუფლა იოლად, რადგან ახლოს არც ერთი ნიუჯერსელი არ ჩანდა, მაგრამ რუამ მასაც შეუშალა ხელი და თავადაც შეცდა. კარს უკან მოსრიალე შაიბა ოდნავ ახტა, მეკარემ იგი ყვანჯით ვერ დაიმორჩილა და შეყოვნდა, ალბათ ფიქრობდა, რა ელონა და... ნიუჯერსელმა ჯეი პანდოლფომ ჩინებულად გამოიყენა ეს გარემოება, მეკარეს შაიბა აართვა და უმალ კარისკენ გადაგზავნა, საჭირო დროს იქ აღმოჩენილ გომესს კი რეზინის დისკის ბადეში ჩაგდება აღარ გასჭირვებია. აი, ასე გათანაბრდა ამ შეხვედრაში ანგარიში, ხოლო 58-ე წუთზე ფრთაშესხმულმა მასპინძლებმა, რომლებმაც გოლის შემდეგ კიდევ რამდენიმე მწვავე შეტევა განახორციელეს, მიაღწიეს კიდეც საწადელს. მთელი მატჩის განმავლობაში ბრწყინვალედ მოასპარეზე რობ ბლეიკმა შაიბა ვერ გადააგდო ზონიდან და სამმა ჩეხმა — ჰოლიკმა, ელიაშმა და სიკორამ სწრაფი კომბინაცია გაითამაშეს. სიკორას დარტყმა აულებელი აღმოჩნდა. გაოგნებულმა კოლორადომ დარჩენილ 2,5 წუთში ველარაფერი მოახერხა. ნიუ ჯერსის უფრო მიეცა გატანის შანსი, თუმც მინიმალურმა უპირატესობამ სრულიად დააკმაყოფილა „ეშმაკები", რომელთაც გაათანაბრეს სერიაში ანგარიში.

...რუა კი იმ ავადსახსენებელ ეპიზოდამდეც და მის შემდეგაც შეუდარებელი იყო. ნიუ ჯერსი აშკარად ფლობდა ტერიტორიულ და სათამაშო უპირატესობას, დარტყმებით ლამის სამჯერ (35-12) აჯობა მეტოქეს და, თუნდაც წინა შეხვედრისაგან განსხვავებით, უამრავი კარგი მომენტი შექმნა. კოლორადო გაცილებით იშვიათად უტევდა, თუმც რამდენჯერმე მასაც მიეცა შანსი. უნდა ითქვას, რომ ამჯერად ხშირად სცოდავდნენ ნიუ ჯერსის მცველები და რომ არა მარტინ ბროდო და ცოტა იღბალიც, კოლორადოს პირველ პერიოდში ერთი კი არა, მეტი გოლი უნდა გაეტანა. სტუმრებმა პირველი მომენტი გამოიყენეს. მატჩის დასაწყისში ისინი რიცხვმრავლობაში მოხვდნენ, უნიათოდ იასპარეზეს ორი წუთის განმავლობაში. სამაგიეროდ, როგორც კი დაჯარიმებული ტერნერ სტივენსონი ყინულს დაუბრუნდა, „ეველანშმა" სწრაფი კონტრშეტევა განახორციელა და ზონაში შეჭრილი ბლეიკი ისე გაისარჯა, როგორც გამოცდილ ფორვარდს შეჰფერის, ჯერ ნიუჯერსელთა კაპიტან სკოტ სტივენსს (სტივენსმა ამის შემდეგაც ითამაშა ერთი-ორჯერ მოუქნელად) აუარა იოლად გვერდი და ბროდოსაც არანაკლებ ოსტატურად გაუმკლავდა. ეს ყველაფერი მეოთხე წუთზე მოხდა და ამის შემდეგ, მთელი პირველი პერიოდის განმავლობაში, სტუმრები უკეთ გამოიყურებოდნენ, მით უმეტეს, რომ მასპინძლები ხშირად არღვევდნენ წესებს. ხოლო როცა გუნდები ყინულზე სამ-სამი მოთამაშით დარჩნენ (კოლორადომ რიცხვმრავლობაში დაარღვია წესები), რეი ბურკს ჩინებული მომენტი შეექმნა. ჯო საკიკის დარტყმა ბროდომ კი მოიგერია, მაგრამ შაიბა ვეტერანს მიუვიდა, ხოლო მის წინ ცარიელი კუთხე იყო. როგორ ააცილა, თავად ბურკმაც კი ვერ ახსნა მატჩის შემდეგ.

მეორე პერიოდიც თითქოს ნიუ ჯერსის კარგს არაფერს უქადდა, ვინაიდან შესვენებამდე გაირკვა, რომ გუნდს წამყვანი ცენტრი ჯეისონ არნოტი დააკლდა. პირველივე წუთებზე მას შაიბა მოხვდა სახეში. მართალია არნოტმა პირველი პერიოდი დაასრულა, მაგრამ ტრავმა სერიოზული აღმოჩნდა და „ეშმაკები" ლიდერის გარეშე დარჩნენ, რის გამოც მათ ხაზებში გადაადგილებები დასჭირდათ. ნიუ ჯერსი მეორე მესამედში გააქტიურდა. მასპინძლებმა მაშინაც კი შეუტიეს, როდესაც კოლინ უაიტმა გუნდი უმცირესობაში დატოვა — არნოტის მუდმივმა პარტნიორებმა, სიკორამ და ელიაშმა საგოლე კომბინაცია გაითამაშეს. ისე, ამ მომენტში ბედმა გაუღიმა „ეშმაკებს", ვინაიდან როგორც სიკორას პასის, ისევე ელიაშის დარყმისას მათ ხელი რიკოშეტმა შეუწყო. გამხნევებულმა მასპინძლებმა კიდევ უფრო ჯიგრიანად შეუტიეს. მათ ერთობ გაამარტივეს თამაში — მოედნის შუაგულში კომბინაციების მოწყობას მეტოქის ზონაში შაიბის პრიმიტიული ჩაგდება ამჯობინეს და გაუმართლათ, ეს ტაქტიკა უფრო ეფექტური აღმოჩნდა. დაახლოებით 35-ე წუთამდე ეშმაკები ერთობ აწვებოდნენ მეტოქეს, მაგრამ რუა შეუდარებელი იყო. ერთხელაც, ნიუჯერსელთაგან ყველაზე აქტიური ალექსანდრ მოგილნის დარტყმის შემდეგ მეკარეს ძელმა უშველა. მით უფრო მოულოდნელი გახდა კოლორადოს გოლი, რომელიც პრაქტიკულად არაფრისგან შეიქმნა. მცველი შონ ოდონელი კრის დრურის ადვილად დაეჩაგვრინა და ვერც ბროდომ იხსნა გუნდი. უნდა ითქვას, რომ დრურისაც ძალიან ეფექტური გარღვევა გამოუვიდა. ამის შემდეგ, გომესის გოლამდე, ნიუ ჯერსი კვლავ აქტიურობდა, მაგრამ გულახდილად რომ ვთქვათ, მასპინძელთა ფორვარდები ვერაფრით ახერხებდნენ რუას მოტყუებას. შემდეგ კი მეკარემ, როგორც უკვე მოგახსენეთ, შეიბრალა მეტოქე და ნიუ ჯერსის და მის თავკაც ლარი რობინსონს, რომელსაც თამაშის დღეს 50 წელი შეუსრულდა, გოლი თავად აჩუქა.

თამაში შემდეგ უკლებლივ ყველა კოლორადოელმა მეკარე დაიცვა: „რუა რომ არ ყოფილიყო, ანგარიში მანამდე 5:1 ან 6:1 იქნებოდა. წაგება ყველა ჩვენთაგანის ბრალია. გუნდი, რომელიც მხოლოდ 12-ჯერ დაარტყამს, ფინალში მოგების ღირსი არ არის" — თქვა კრის დინგმანმა მატჩის შემდეგ.

ჰოკეის ქომაგები მოხარულნი უნდა იყვნენ, ვინაიდან საქმეს ისეთი პირი უჩანს, ეს უაღრესად საინტერესო სერია დიდხანს გაგრძელდება.

**სამველ ლარიბიანი**




REUTERS

ეს-ესაა კოლორადოს მეკარემ პატრიკ რუამ საბედისწერო შეცდომა დაუშვა და ნიუჯერსელი სკოტ გომესი ახეირა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გული თიხნარზე

### საფინის ლუციფერი

როლან გაროსის პირველ წრეში გამარჯვების შემდეგ მარატ საფინმა მხნედ განაცხადა, პარიზში არავის მეშინიაო. თითქმის ორმეტრიან, კუნთმაგარ რუსს თავდაჯერება და სითამამე ნამდვილად არ აკლია, მაგრამ მისი სიტყვები მთლად სიმართლესაც არ წარმოადგენდა — საფრანგეთის ღია პირველობაზე ერთი ჩოგბურთელი ნამდვილად მოიპოვებოდა, ვისთან შეხვედრასაც მსოფლიოს მეორე ჩოგანი შავი ჭირივით უფრთხოდა.

28 წლის ტაიტიზე დაბადებული და ლონდონში მცხოვრები ფრანგი ფაბრის სანტორო საფინს სიმაღლეში ერთი თავით ჩამორჩება, ჯანში — ორი ამდენით, სამაგიეროდ, დანაკლისს ცბიერი, მოჭრილ-ჩახუჭუჭებული დარტყმებითა და სწორი ტაქტიკით ანაზღაურებს. ATP ტურზე ჩია ფრანგი ერთადერთია, ვინც ზორბა რუსს ფინია ძაღლივით ათვინიერებს — ცენტრალურ კორტზე გამართულ ორთაბრძოლამდე პირად შეხვედრებში ის 5:1 იყო წინ.

„მასთან თამაში მძულს, ის ერთადერთია, ვისაც შეუძლია ჭკუიდან გადამიყვანოს" — განაცხადა თავის დროზე საფინმა, რომელმაც შარშან შტუტგარტში სანტოროს დამარცხების შემდეგ ის დღე „ცხოვრებაში უბედნიერესად" მონათლა.

ახალი მწვრთნელის, ლეგენდარული მატს ვილანდერის ხელმძღვანელობით და დარიგებებით საფინი კორტზე უჩვეულოდ მობილიზებული და მშვიდი გამოვიდა, მტკიცე გადაწყვეტილებით, ჩია ფრანგისთვის საშუალება არ მიეცა, წყობიდან გამოეყვანა და მატჩი იმდენივე ჩოგნით დაესრულებინა რამდენითაც დაიწყო. მისდა სამწუხაროდ, კარგად დაწყობილი გეგმა წარმატების საწინდარი არ გამხდარა.

პირველ-მეორე სეტები ერთმანეთს ალი-კვალივით ჰგავდა. რუსი გამუდმებით უტევდა, თითქოს დიდ უპირატესობასაც ფლობდა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტებში უწყინარ სიტუაციებში ცდებოდა და მეტოქის მიერ დიდი გაჭირვებით უკან მობრუნებულ ბურთებს ან ბადეში ახვევდა, ან აუტში გზავნიდა.

როდესაც სანტორო მესამე ხელში 4:2 დაწინაურდა, სამაგალითოდ მოღრიალე ქომაგებმა საქმე მოთავებულად ჩათვალეს და თავისიანის გამარჯვების საზეიმოდ გაემზადნენ, მაგრამ მოულოდნელად ყველაფერი თავდაყირა დადგა. საფინს დასაკარგი არაფერი ჰქონდა და რისკიანად ათამაშებულს დარტყმები წაუვიდა. თვალის დახამხამებაში მან ორჯერ აართვა მოწოდება მეტოქეს, ინიციატივა მყარად იგდო ხელთ და ზედიზედ 11 გეიმი მოიგო.

თავის მხრივ განუწყვეტელი სირბილით დაქანცულმა სანტორომ კორტზე ექიმს უხმო და მეოთხე ხელში დასვენება და ძალების გადამწყვეტი სპურტისთვის შემონახვა გადაწყვიტა. ფრანგი მაშინ მოეგო გონს, როდესაც დასკვნითი ხელის დასაწყისში ერთხელაც დაკარგა მოწოდება და მასზე თანამემამულეებმაც კი ხელი ჩაიქნიეს. საკმარისი იყო საფინს ორი უხეში შეცდომა დაეშვა, რომ სანტორო ხავსს ჩასჭიდებოდა და მატჩის ბედი ერთხელაც დრამატულად შეეტრიალებინა.

მანამდე სიმშვიდეშენარჩუნებული რუსი მეტოქის და ტრიბუნების გამოცოცხლებამ საოცრად გაანერვიულა, კარგა ხნით აურია და მატჩის ბოლომდე გეიმიც აღარ მოუგია — 6:4, 6:4, 4:6, 0:6, 6:1 სანტოროს სასარგებლოდ.

„დღეს ყველა გარემოება ისე დაემთხვა, რომ ეს მატჩი ერთ-ერთი ყველაზე სამარხოვრო გამხდარიყო ჩემს კარიერაში. ძალიან დაღლილი ვიყავი, მაგრამ როდესაც 15 ათასი შენიანი ასე გგულშემატკივრობს, ტკივილს უკვე ველარც გრძნობ. იმედია, კიდევ 10 წელი ცდა არ დამჭირდება როლან გაროსის მერვედფინალში გასასვლელად" — აღნიშნა ფრანგმა, რომელიც ასე შორს მშობლიურ დიდი სლემის ტურნირზე შორეული 1991-ის შემდეგ აღარ წასულა.

მარატ საფინთან გასაუბრების მსურველ ჟურნალისტებს რუსის ხილვის ბედნიერება არ მიეცათ — აშშ-ის ღია პირველობის ჩემპიონმა კიდევ ერთ მტანჯველ პროცესს პირდაპირ შინ წასვლა და 10-ათასდოლარიანი ჯარიმის გადახდა არჩია. ისე, საკუთარ თავზე ცინიკურად სიცილის, რუსულ-ინგლისურად ლანძღვა-გინებისა და ჩოგნის დამსხვრევის შემდეგ საფინმა, ალბათ, სათქმელი კორტზევე თქვა, ყოველ შემთხვევაში, გამგები გაიგებდა.

„არა მგონია, მის ადგილზე კარგ გუნებაზე ვყოფილიყავი, მატჩი მისთვის ძალიან იმედგამაცრუებლად დასრულდა — თანაუგრძნო დამარცხებულს და დაჯარიმებულს სანტორომ — მოგვიანებით ის გასახდელში მოვიდა ჩემთან და წარმატება მისურვა. ჩვენ პატივს ვცემთ ერთმანეთს. ის კარგი ბიჭია, მაგრამ ყოველთვის ხომ ვერ მოიგებ. საკმარისია, თავდაჯერებულობა დაიბრუნოს და ძველებურად ათამაშდება".

#### მესამე წრე

**ვაჟები: ანდრე აგასი (3, აშშ)** — ფერნანდო მელიგენი (ბრაზილია) 6:3, 2:6, 6:1, 6:3; **სებასტიან გროჟანი (10, საფრანგეთი)** — ანტონი დიუპუი (საფრანგეთი) 6:4, 2:6, 3:6, 6:4, 6:2; **ალექს კორეჩა (13, ესპანეთი)** — მაგნუს ლარსონი (შვედეთი) 6:0, 6:3, 6:4; **ფრანკო სკილარი (16, არგენტინა)** — ალბერტ მონტანესი (ესპანეთი) 6:3, 6:3, 5:7, 6:2; **გალო ბლანკო (ესპანეთი)** — ლარს ბურგსმიულერი (გერმანია) 7:5, 6:2, 6:3; **უეინ არტურსი (ავსტრალია)** — ნიკოლა კუტლო (საფრანგეთი) 7:6 (7:5), 6:7 (5:7), 7:6 (7:5), 7:6 (7:4).

**ქალები: მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია)** — რეიჩელ მაკქუილანი (ავსტრალია) 7:5, 6:1; **ჯენიფერ კაპრიატი (4, აშშ)** — მირიანა ლუჩიჩი (ხორვატია) 6:3, 6:1; **სერენა უილიამსი (6, აშშ)** — სოფია გუბაში (უნგრეთი) 6:1, 6:2; **კარა ბლეკი (ზიმბაბვე)** — კონჩიტა მარტინესი (8, ესპანეთი) 3:6, 6:3, 6:4; **პეტრა მანდულა (უნგრეთი)** — ელენა დოკიჩი (15, იუგოსლავია) 3:6, 6:4, 6:4; **სანდრინ ტესტიუ (17, საფრანგეთი)** — ელენა ბოვინა (რუსეთი) 6:3, 7:6 (7:3); **ნადია პეტროვა (რუსეთი)** — ემი ფრეზერი (აშშ) 6:7 (2:7), 6:4, 6:3.

### გუგა გადარჩა

საკვალიფიკაციო ტურნირის პირველ წრეში ამერიკელი მაიკლ რასელი უმწეოდ იდგა კორტის კიდეში და ისლა დარჩენოდა, ბადესთან გასულიყო მეტოქისთვის ხელის ჩამოსართმევად. მისდა გასახარად, ვინმე ოლივიე პასიანსმა მატჩ-პოინტზე ბურთს ჩოგნის ჩარჩო მოარტყა და სრულიად ცარიელ კორტს ააცილა.

23 წლის რასელმა ღვთით ბოძებული შანსი შესანიშნავად გამოიყენა, ძირითად ბადეში გაძვრა, მეორე წრეში სერხი ბრუგერას სურდოთი ისარგებლა, მესამეში — ქსავიე მალისის ფეხის კრუნჩხვებით და ფილიპ შატრიეს სახელობის ცენტრალურ კორტზე ამოყო თავი მერვედფინალში. „ასეთი რამ მხოლოდ ტელევიზორში მინახავს, როლან გაროსის გიგანტური კორტი, ხუთსეტიანი მატჩი. ტრიბუნები სავსეა, ქომაგები გაჰკივიან, მე კი მსოფლიოს პირველ ჩოგანს ვეთამაშები. წარმოუდგენელი შეგრძნება იყო" — აღნიშნა მოგვიანებით ამერიკელმა, რომელსაც ფულის ნაკლებობის გამო თავიდან პარიზში პაწაწინა, ჩახუთულ და უკონდიციონერო სასტუმროს ნომერში მოუხდა ცხოვრება.

კიდევ უფრო წარმოუდგენელი კი ის იყო, რომ რასელს კვირას სულ ერთი ქულა დააკლდა, ტურნირის შარშანდელი ჩემპიონი და მთავარი ფავორიტი დაემარცხებინა. ძნელი სათქმელია, კლასიფიკაციით 122-ე მეტოქე ჯეროვნად ვერ შეაფასა, თუ რისი ბრალი იყო, მაგრამ გუსტავო კუერტენი თავიდან აშკარად მოუმზადებელი აღმჩონდა დაბალ და საოცრად სწრაფ ამერიკელთან საბრძოლველად.


გუსტავო კუერტენი დახატულ გულში ჩაიკეცა

რასელმა დაუღლელად სირბილითა და აგრესიული თამაშით პირველ-მეორე სეტებში აშკარად დაჩაგრა „გუგა" და მესამეშიც 5:3 გაიჭრა წინ. სწორედ აქ უცნობ იანკის როლან გაროსის ისტორიაში უდიდესი სენსაციის მოხდენის შანსი — საკუთარ მოწოდებაზე მატჩ-პოინტი ჰქონდა.

გათამაშება მარათონული გამოდგა. მომენტში, როდესაც კუერტენის ფორჰენდი სულ ოდნავ გაეკარა ხაზს, ტრიბუნებს გმინვა და ყიჟინაც აღმოხდა, გათამაშება კი გაგრძელდა და 26-ე დარტყმაზე ბრაზილიელის გამარჯვებით დასრულდა.

„სამწუხაროა, რომ აქ გვერდითა მსაჯები არიან. მე იმ დარტყმის აუტად გამოვაცხადებდი — იხუმრა მატჩის შემდეგ რასელმა — ცუდად არ გავრჯილვარ, მაგრამ მეტისმეტად პასიური ვიყავი. ის მსოფლიოს პირველი ჩოგანი იმიტომ არის, რომ ასე იოლად არაფერს დაგითმობს. იქედან მოყოლებული მატჩი მისი იყო".

ბეწვზე გადარჩენამ კუერტენს მეორე სუნთქვა გაუხსნა. მესამე ხელის ტაი-ბრეიკზე მოგების შემდეგ მან კლასში თავისი უპირატესობაც საგრძნობი გახადა. სამსაათნახევრიანი შეხვედრის ბოლოს ის სიტუაციის სრული ბატონ-პატრონი გახლდათ 3:6, 4:6, 7:6 (7:4), 6:3, 6:1.

„ვერაფერი მოგიხერხე. ის ბურთი მატჩ-პოინტზე უნდა აგეცილებინა" — განუცხადა კუერტენს ამერიკელმა ბადესთან ხელის ჩამორთმევის დროს და ხუმრობით მუშტის დარტყმით დაემუქრა. ბრაზილიელი თავის მხრივ კორტზე დაბრუნდა, თიხნარზე გიგანტური გული დახატა, შიგ მუხლებზე დაეცა და გულშემატკივრებს საჰაერო კოცნა გაუგზავნა.

„მეგონა, რომ უკვე ველარაფერი გადამარჩენდა. ფსიქოლოგიურადაც და ფიზიკურადაც ძალიან დავიღალე, მაგრამ სწორედ ასეთი გამარჯვებების გულისთვის ღირს თამაში. ასეთი თბილი გრძნობები არც ერთი მატჩის შემდეგ არ მქონია" — განაცხადა კუერტენმა პრეს-კონფერენციაზე.

„ცოტა გამიკვირდა, მაგრამ თან ძალიან მესიამოვნა, რომ მსოფლიოს პირველ ჩოგანს ასე გაუხარდა ჩემი დამარცხება. ვიფიქრე, მეც ხომ არ გავიდე კორტზე და ვთქვათ, „ჯვარი და ნულები" დავხატო-მეთქი — დაუმატა რასელმა, რომელიც პირველი ჩოგბურთელი შეიქნა, ვინც კვალიფიკაციიდან ზედიზედ ოთხ დიდი სლემის ტურნირზე გააღწია — რა თქმა უნდა, იმედგაცრუებული ვარ, მაგრამ აქ მერვედფინალში გასვლის შემდეგ ამიერიდან ბევრ ტურნირზე ძირითად ბადეში პირდაპირ მოვხვდები და ზედმეტი წვალება აღარ დამჭირდება".

### კვერცხი კორტზე

შტეფი გრაფთან 1999 წლის ფინალში ბავშვური გამოხტომებისა და დაჯილდოების ცერემონიალზე ნიანგის ცრემლების გადმოყრის შემდეგ პარიზელმა მაყურებლებმა მსოფლიოს პირველი ჩოგანი მარტინა ჰინგისი საფუძვლიანად აითვალწუნეს. საკმარისია, 20 წლის შვეიცარიელმა მატჩის დროს ჩოგანი კორტზე დააგდოს, მსაჯის გადაწყვეტილება გააპროტესტოს, ან უბრალოდ, დაიყვიროს, რომ ტრიბუნებიდან მაშინვე გამაყრუებელი სტვენით უპასუხებენ.

მერვედფინალში ტურნირს შემორჩენილ ერთადერთ მასპინძელ დიაც სანდრინ ტესტიუსთან შეხვედრის წინ ჰინგისი წინასწარ შეემზადა მტრული მიღებისთვის, მაგრამ თავი დასაცავი მას კი არა, სწორედ 29 წლის ფრანგს გაუხდა.

პირველ სეტში 0:5 ჩამორჩენისა და გეიმებს შორის შესვენების შემდეგ ტესტიუ სკამიდან წამოდგა და მოსაწოდებლად გაემართა, როდესაც უკანა ხაზთან ტრიბუნებიდან ნასროლმა კვერცხმა გაადინა ტყაპანი. ტურნირის ორგანიზატორები და ბურთის მიმტანები რამდენიმე წუთის მანძილზე ასუფთავებდნენ კორტს ცილისა და ნაჭუჭებისგან.

„კიდევ კარგი, თავში არ მომხვდა. ბუნებრივია, გაკვირვებული დავრჩი, ყოველდღე ვერ ნახავ, ცენტრალურ კორტზე კვერცხი ვარდებოდეს. ეს მცირე კომიკური განტვირთვა გამოდგა, ამის შემდეგ მოვეშვი და უკეთ ავთამაშდი, თუმცა უნდა ვთქვა, რომ ზოგიერთ ქომაგს სტადიონზე არ უნდა უშვებდნენ" — განაცხადა ტესტიუმ.

„ძალიან გამიხარდა, რომ კვერცხი მე არ მესროლეს, განსაკუთრებით — აქ შევეცადე ამისთვის ყურადღება არ მიმექცია და ჩვეულებრივ გამეგრძელებინა თამაში" — აღნიშნა ჰინგისმა, რომელიც ზემოხსენებული ინციდენტის შემდეგ ტრიბუნებიდან ნასროლი რაიმე პროდუქტის სამიზნედ გადაქცევის შიშმა შესამჩნევად დაძაბა და გაანერვიულა.

მარტინა მხოლოდ მაშინ მოეშვა და გამოფხიზლდა, როდესაც ტესტიუმ სეტებში ანგარიში გაათანაბრა და თავისიანებს წარმატების იმედი ჩაუსახა. ჰინგისმა შეცდომებს უკლო, ფრანგი რამდენჯერმე საწინააღმდეგო მოძრაობაზე გამოიჭირა და მეოთხედფინალის საგზური გაიფორმა 6:1, 2:6, 6:2: „ვიცოდი, რომ არავითარ შემთხვევაში, არ შეიძლებოდა, დღეს წყობიდან გამოვსულიყავი, არც მაყურებლების, არც მეტოქის, არც რაიმე ინციდენტის გამო. ვცდილობ, ტიტულის მოპოვებაზე ბევრი არ ვიფიქრო და სიმშვიდე შევინარჩუნო".

**ქალები: ჯენიფერ კაპრიატი** — მეგან შონესი 7:5, 6:1; **სერენა უილიამსი** — ნადია პეტროვა 6:3, 6:1; **კიმ კლაისტერსი (12, ბელგია)** — ჰენრიეტა ნაგიოვა (სლოვაკეთი) 6:4, 4:6, 6:3; **ჟიუსტინ ენენი (14, ბელგია)** — ბარბარა შეტი (ავსტრია) 6:3, 6:4; **ლინა კრასნოროუცკაია (რუსეთი)** — სილვია ფარინა (იტალია) 6:2, 6:4; **ფრანჩესკა სკიავონე** — კარა ბლეკი 7:6 (7:2), 6:1; **პეტრა მანდულა** — რიტა გრანდე (იტალია) 6:2, 6:3.

**ვაჟები: ხუან კარლოს ფერერო (4, ესპანეთი)** — ტომას ენკვისტი (14, შვედეთი) 6:2, 6:4, 6:2; **ლეიტონ ჰიუიტი (6, ავსტრალია)** — გილერმო კანასი (არგენტინა) 3:6, 6:7 (3:7), 6:2, 6:3, 6:3; **ევგენი კაფელნიკოვი (7, რუსეთი)** — ტომი რობრედო (ესპანეთი) 6:3, 6:4, 1:6, 6:4; **ანდრე აგასი** — ფრანკო სკილარი 4:6, 6:2, 6:4, 1:6, 6:0; **სებასტიან გროჟანი** — გალო ბლანკო 6:3, 6:4, 6:1; **როჯერ ფედერერი (შვეიცარია)** — უეინ არტურსი 3:6, 6:3, 6:4, 6:2; **ალექს კორეჩა** — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 6:2, 6:3, 6:4.

*იუნიორ გოგონებში მოასპარეზე ახალგაზრდა ქართველმა სალომე დევაძემ, სამწუხაროდ, ერთეულებში პირველივე წრის მატჩი დათმო შვედ სოფია არველსონთან — 4:6, 5:7.*

**ავთანდილ სვანაძე**


სანდრინ ტესტიუს თავში კინაღამ კვერცხი უთავაზეს

REUTERS


ფაბრის სანტორომ ეს-ესაა, მარატ საფინი დასცა

# აყვავებული ნეხვის, გაუსვენებელი მიცვალებულის, საუკუნის ქურდობისა და სხვა ამბები



გრან პრი „რეზონანსს“ და მის გამომცემელ მალხაზ რამიშვილს



პრიზი საუკეთესო ფოტორეპორტაჟისთვის ავთანდილ გურასაშვილს



საუკეთესო სპორტული გამოცემის, გაზეთ „სარბიელის“ ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე



საუკეთესო რეპორტაჟი: პაატა ნაცვლიშვილი



საუკეთესო სპორტული ჟურნალისტი მერაბ რატიშვილი



საუკეთესო ჟურნალის, „ოლიმპიელის“ სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე ემზარ ზენაიშვილი

**სხვისი** არ ვიცით და, თექვსმეტი „ოქროს კალმის“ მოპარვის ამბავი ისე ალვიქვით, როგორც ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ამბავი. აბა, უჩვეულო ამაში რა უნდა ყოფილიყო, საქართველოში ხომ ყველაფერს იპარავენ და რამდენიმე წამით უყურადღებოდ მიტოვებულ თხუთმეტ „ოქროს კალამს“ ვინლა შეგვარჩენდა.

მაგრამ ამაზე აღარ შევჩერდებით, რადგან ეს „საუკუნის ქურდობის“ ამბავი საქართველოს ბეჭდურმა და ელექტრონულმა პრესამ ვრცლად გააშუქა.

საბედნიეროდ, კვირას ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გამართულ ქართული ბეჭდური ფესტივალის „ოქროს კალმის“ ნომინანტთა დაჯილდოებაზე უკალმოდ მაინც არ დავრჩით.

თურმე თბილისის პოლიციის სამმართველოს უფროსმა სოსო ალავიძემ გადაგვარჩინა. ეტყობა, იფიქრა, ამათ ყბაში ჩემი მტერი ჩავარდა, ის პრიზებიც და მათი მომპარავიც ჩემი მოსაძებნია, ავდგები და სახელდახელოდ „ოქროს კალმების“ დასამზადებელ მასალას თავად გავიღებო. გაიღო კიდეც. ჰოდა, ახლა იმაზე ვფიქრობთ, პოლიციელებმა სხვათა ნაქურდალი მუდამ თავად რომ აანაზღაურონ, მაშინ ხელმრუდეების წინააღმდეგ უფრო მედგრად იბრძოლებენ. თუმცა, უკეთესი იქნება, თუ ყველანი ქურდობის გამომწვევ მიზეზებს შევებრძოლებით.

ახლა, მანამ იმ მიზეზებზე „გამოძიება“ ჩაგვიტარებია და ამ ნომინაციაში გამარჯვებულ ინგა ალავიძესა და სოფიკო ჩხაიძეს „ოქროს კალამში“ შევცილებივართ, უმჯობესია, საქმეზე გადავიდეთ.

ინგა და სოფიკო „დრონის“ თანამშრომლები არიან. ვულოცავთ მათ ამ გამარჯვებას. ვულოცავთ სოფიკოს მეუღლე მერაბ რატიშვილსაც.

სოფიკო ჩხაიძე და მერაბ რატიშვილი გამარჯვებული ცოლ-ქმრული წყვილი აღმოჩნდა. მერაბმა გაიმარჯვა ნომინაციაში „საუკეთესო სპორტული ჟურნალისტი“. ეს ერთიორად გვახარებს, რადგან მერაბ რატიშვილი სარბიელელია, პრიზი კი დაიმსახურა ამავე სახელწოდების ჩვენივე ჟურნალში დასტამბული წერილისთვის „მწვანე ნეხვის აყვავება“.

ჩვენი თანამშრომლის „პირად პირველობაში“ გამარჯვებაზე არანაკლებ გვასიამოვნა „გუნდურ პირველობაში“ მოპოვებულმა წარმატებამ, რასაც გაზეთმა „სარბიელმა“ მიაღწია ნომინაციაში „საუკეთესო სპორტული გამოცემა“.

ძალიან გაგვიხარდა საერთოდ ჩვენი კოლეგების მიერ სპორტული ჟურნალისტის მუნდირის ღირსეული დაცვაც. ჟურნალ „ოლიმპიელთან“ ჩვენმა საზიარო თანამშრომელმა ავთანდილ გურასაშვილმა მოიპოვა „საუკეთესო ფოტორეპორტაჟისთვის“ განკუთვნილი „ოქროს კალამი“, რაც სპორტული თემატიკისთვის დაიმსახურა. კერძოდ, ეს იყო „ოლიმპიელში“ გამოქვეყნებული ფოტორეპორტაჟი, რომელიც სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე მოგვითხრობს.

ანალოგიურ თემაზე „საუკეთესო რეპორტაჟისთვის“ „ოქროს კალამი“ დაიმსახურა პაატა ნაცვლიშვილმა „დილის გაზეთში“ დასტამბული „გადანახული დროშებისთვის“.

ნომინაციაში „საუკეთესო ჟურნალი“ გაიმარჯვა ასევე სპორტულმა ჟურნალმა „ოლიმპიელმა“.

სპორტული ჟურნალისტებისთვის განსაკუთრებით სასიამოვნო იყო ის, რომ ამ ნომინაციაში გასული სამი ჟურნალიდან სამივე სპორტული აღმოჩნდა, ჩვენს ფრთებქვეშ დაფრთიანებულ „ოლიმპიელთან“ ერთად ეს იყო „სარბიელი“ და „ფეხბურთი“.

როგორც მერე ჟიურის ერთ-ერთმა წევრმა თქვა, ეს ჟურნალები ყველაზე აკადემიური და ყველაზე გამართული ქართულით დაწერილი ყოფილა.

ასე რომ, სპორტულმა ჟურნალისტებმა „სპორტული“ და „არასპორტული“ პრიზებიც მოიპოვეს, სულ — ხუთი „ოქროს კალამი“.

დანარჩენი თერთმეტი „ოქროს კალმის“ ლაურეატები გახდნენ: არჩილ სულაკაური („საუკეთესო კარიკატურა“), ინგა ალავიძე („საუკეთესო ანალიტიკა“, „დრონი“), ელისო ჩაფიძე და ლაშა ტუღუში („აღგილობრივი მოვლენების საუკეთესო გაშუქება“ — „რეზონანსი“), ქუთაისის გაზეთი P.S. („საუკეთესო რეგიონული გაზეთი“), დავით ბუხრიკიძე („საუკეთესო ინტერვიუ“, „მერიდიანი“), რეზო საყვარიშვილი („საუკეთესო პუბლიცისტიკა“, „ალია“), „პრაიმ ნიუსი“ („საუკეთესო სააგენტო“), „რეზონანსი“ და „დილის გაზეთი“ (მათ პირველობა გაიყვეს ნომინაციაში „საუკეთესო ყოველდღიური გაზეთი“), „დრონი“ („საუკეთესო ყოველკვირეული გაზეთი“); „კვირის პალიტრა“ (საზოგადოებრივი აზრის კვლევის ცენტრის „გორბის“ გამოკითხვის შედეგად ყველაზე პოპულარული გაზეთი“)

დაბოლოს, „გრან პრის“ მფლობელი გახდა „რეზონანსი“.

ამ მშვენიერ საღამოზე, რომელიც გალაკონცერტმაც გაალამაზა, „დილის გაზეთის“ რედაქტორმა მანანა კარტოზიამ შეგვახსენა, გაზეთი გაუსვენებელი მიცვალებულიაო. ჰოდა, ჩვენს ლაურეატ კოლეგებს ვულოცავთ „ოქროს კალმების“ მოპოვებას და იმ გაუსვენებელი მიცვალებულის ვერგასვენებას.

ასევე ულრმეს მადლობას მოვახსენებთ მოქანდაკე ირაკლი წულაძეს, რომელმაც პრიზების ხელახლა დასამზადებლად ორი დღე-ღამე გაასწორა. და, რა თქმა უნდა, ფესტივალის ორგანიზატორს, „მედია სახლს“.

**დავით სულხანიშვილი**

**ბადრი კეთილაძის ფოტოები**


**სარბიელი**

**სპორტული გაზეთი**

**გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან**

**გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს**

**მთავარი რედაქტორი** ზურაბ ფოცხვერია
**დირექტორი** გიორგი ოქრომჭედლიძე
**რედაქტორი** თამაზ მიგრიაული
**ტექნიკური რედაქტორი** ვახტანგ ბზიკაძე
**ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი** სოსო კოტორეიშვილი
**კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი** მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია** სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი **კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია** გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ლია ბესელია, თამაზ გოგებაშვილი, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, გურამ ხელაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge